

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა: ფილოლოგია

ვენერა კოჭლამაზაშვილი

სადისერტაციო ნაშრომის სათაური
ვნების შვიდეული საბას ლავრის ტიპიკონის XVII ს. არაბულ
თარგმანში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი მარიამ ნანობაშვილი

თბილისი

2025

აბსტრაქტი

მოცემულ სადისერტაციო ნაშრომში გამოკვლეულია XVII საუკუნის ქრისტიანული არაბული ლიტერატურის განვითარება და განხილულია მისი ერთ-ერთი ლიტერატურული ძეგლის მნიშვნელობა. XVII საუკუნეში ანტიოქიის საპატრიარქოში სამღვდელოებაცა და მრევლიც არაბულენოვანი ქრისტიანები იყვნენ და მთარგმნელობითი პროცესების განახლებამ ხელი შეუწყო სამღვდელოებაში განათლების დონის ამაღლებას მშობლიურ ენაზე. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში ყურადღება ეთმობა საბაწმინდური ტიპიკონის ახალ არაბულ თარგმანს, რომელსაც, როგორც სასულიერო ლიტერატურის ნიმუშს, დიდი მნიშვნელობა აქვს მართლმადიდებლურ ლიტურგიაში. ნაშრომში გაანალიზებულია XVII საუკუნის ძირითადი ხელნაწერები, რომლებიც ასახავს ხსენებული პერიოდის ლინგვისტურ და კულტურულ ტენდენციებს. კვლევის შედეგები მიუთითებს, ქრისტიანული არაბული ლიტერატურა არა მხოლოდ რელიგიური პრაქტიკის ნაწილია, არამედ ფართო კულტურულ და ლინგვისტურ კონტექსტში მნიშვნელოვანი ფენომენია, რაც მეტყველებს ბერძნულ-სირიული ტრადიციების გარდაქმნაზე არაბულ კულტურულ სივრცეში.

Abstract

The dissertation deals with the development of 17th century Christian Arabic literature and discusses the significance of one of its literary monuments. In the 17th century, both the clergy and the laity of the Patriarchate of Antioch were Arabic-speaking Christians, and the renewal of translation processes contributed to raising the level of education among the clergy in their native language. This study places particular emphasis on the new Arabic translation of the Typicon of Mar Sabas, which, as a significant example of ecclesiastical literature, plays an important role in the Greek Orthodox liturgical tradition. The dissertation analyzes the main manuscripts that reflect the linguistic and cultural tendencies of the period. The findings of the study indicate that Christian Arabic literature is not only a component of religious practice but also a significant phenomenon within a broader cultural and linguistic context, reflecting the transformation of Greco-Syriac traditions within the Arabic cultural sphere.

შინაარსი

აბსტრაქტი.....	II
Abstract.....	III
შესავალი.....	1
I თავი.....	4
ადრეული აღმოსავლური სამონასტრო წეს-განგება და საბაწმინდური ტიპიკონი.....	4
1.1. შესავალი	4
1.2. ქრისტოლოგიური დისპუტი	6
1.3. აღმოსავლური ბერმონაზვნობა	7
1.3.1. ეგვიპტის ბერმონაზვნობა.....	7
1.3.2. სირიის ბერმონაზვნობა	11
1.3.3. კონსტანტინოპოლის ბერმონაზვნობა	12
1.3.4. იუსტინიანეს კანონმდებლობა.....	13
1.3.5. პალესტინის ბერმონაზვნობა	14
1.4. საბას ლავრის საღმრთო ლიტურგია და ლიტურგიის ენა.....	20
1.5. საბას ლავრის ტიპიკონის შექმნა და მისი როლი ბიზანტიური ლიტურგიის წესის განვითარებაში	24
1.6. საბას ლავრის გავლენა მწიგნობრულ საქმიანობაზე და საბაწმინდური წეს- ჩვეულება რომში.....	29
1.7. ლიტურგიული ლიტერატურის არაბული თარგმანები	30
ა) საბაწმინდური ტიპიკონის არაბული თარგმანები	31
ბ) ბიბლიის არაბული ვერსიები.....	32
გ) წმინდანებისა და ახალმოწამეების კალენდარი არაბულ ენაზე	33
დასკვნა.....	35
II თავი	37
სოციალური, პოლიტიკური და კულტურული პროცესები XVII ს. სირიაში.....	37

1.1. შესავალი	37
1.2. ისტორიული მიმოხილვა	38
1.2.1. ქრისტიანი არაბები ისლამური მმართველობის ქვეშ.....	41
1.3. არაბიზაციის პროცესი და ენობრივი გარემო	45
1.4. ოსმალთა კანონმდებლობა და მართლმადიდებელ ქრისტიანთა მოსახლეობა..	50
1.5. ადგილობრივი ხელისუფალნი.....	61
1.6. ანტიოქიის საპატრიარქოს კავშირი რომთან და რუსეთთან	63
1.7. ანტიოქიის საპატრიარქოს ჩართულობა ინტელექტუალურ საქმიანობაში.....	74
დასკვნა.....	78
III თავი.....	80
საბაწმინდური ტიპიკონის ახალი (XVII ს.) არაბული თარგმანი	80
1.1. შესავალი	80
1.2. ხელნაწერი № 94 აღწერილობა.....	81
1.3. ვნების შვიდეულის მოკლე აღწერა (ორშაბათიდან კვირის ჩათვლით) და დიდი პარასკევის მსახურების ზედმიწევნითი თარგმანი.....	94
1.4. ტიპიკონის არაბული თარგმანის ბერძნულ ორიგინალთან შედარება	131
დასკვნა.....	132
IV თავი.....	134
ენობრივი თავისებურებანი	134
1.1. შესავალი	134
1.2. გამოყენებული ტერმინოლოგია.....	135
1.3. ბალამანდის ხელნაწერი №94 ურთიერთმიმართება ჰამატურის ხელნაწერთან №46	139
1.4. ლინგვისტური მახასიათებლები.....	146

დასკვნა.....	149
ძირითადი დასკვნები	150
ბიბლიოგრაფია.....	152

შესავალი

ქრისტიანული არაბული ლიტერატურა ორ ეტაპად იყოფა: პირველ ეტაპზე (VIII-XIII სს.) ქრისტიანული არაბული ლიტერატურა იკვებება ბიზანტიური და აღმოსავლური ქრისტიანული ტრადიციებით (ლიტერატურული ძეგლები ითარგმნებოდა ბერძნული, სირიული და კოპტური ენებიდან და იქმნებოდა ორიგინალური თხზულებებიც). მეორე ეტაპზე, რომელიც XIII საუკუნის შემდგომ იწყება და ინტენსიური განვითარების ფაზაში XVI საუკუნიდან შედის, აღმოსავლურის გარდა, ის უკავშირდება ლათინურ ტრადიციებსაც (ლათინურიდან და შემდგომ ევროპული ენებიდან ხორციელდებოდა თარგმანები). აღსანიშნავია, რომ ძველი (პირველი ეტაპის) ტრადიცია – თარგმნა ბერძნულიდან არაბულად – XVII საუკუნეში ანტიოქიის საპატრიარქოში ჯერ კიდევ მყარადაა შენარჩუნებული. ამ პერიოდში მელქიტა (მართლმადიდებელ ქრისტიან არაბთა) შორის ლიტერატურულ აღმავლობაზე არაერთი მკვლევარი საუბრობს. ანტიოქიის პატრიარქები თუ სხვა სასულიერო პირები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ბერძნულიდან არაბულ ენაზე მთარგმნელობით პროცესებში. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მელეეთიოს ქარმა და მაკარი ანტიოქიელი. მათი მოღვაწეობის დროს ანტიოქიის საპატრიარქოში იწყება თავმოყრა და შესწავლა გაფანტული ძველი ქრისტიანული არაბული ხელნაწერებისა. მიიღეს სპეციალური ზომები, რათა მრევლში და თვით სამღვდელოებაში განათლების დონე ამაღლებულიყო. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ძეგლია საბაწმინდური ტიპიკონის ახალი არაბული თარგმანი, რომელიც ბერძნულიდან არაბულ ენაზე 1612 წ. შესრულდა ალექსოს მიტროპოლიტ მელეეთიოს ქარმას მიერ. ლიტურგიის ერთადერთ ენად არაბული იქცა, ვინაიდან ანტიოქიის საპატრიარქოში ამ დროისათვის სამღვდელოებისა და მრევლის უდიდესი ნაწილი არაბულენოვანი იყო. მონასტრებში ღვთისმსახურება სხვადასხვა წესით სრულდებოდა, ამიტომ მშობლიურ ენაზე ტიპიკონის შექმნა ნიშნავდა, რომ უნდა დანერგილიყო საერთო წესი და ის გავრცელებულიყო ანტიოქიის საპატრიარქოს ყველა მონასტერში. წიანმდებარე სადისერტაციო ნაშრომის მიზანია, აჩვენოს ამ პერიოდის ლიტერატურული აღორძინება ანტიოქიის საპატრიარქოში, გამოიკვლიოს ტიპიკონის არაბული თარგმანი და წარმოაჩინოს მისი მნიშვნელობა მართლმადიდებლურ ლიტურგიაში. სამონასტრო ტიპიკონის არაბული თარგმანი დაცულია ლიბანში, ბალამანდის

მონასტრის ხელნაწერში № 94, რომელიც ინახება ბალამანდის მონასტრის წმ. იოსებ დამასკელის სახელობის ხელნაწერთა ცენტრში. იგი შედგება 169 გვერდისაგან და დაწერილია ნუსხური ხელწერით სალიტერატურო არაბულ ენაზე. გარდა ამისა, კვლევის მიზანია აჩვენოს ხსენებული ხელნაწერის ენობრივი თავისებურებანი. ამისთვის გამოყენებულია შემდეგი მეთოდოლოგიები:

ექსტრინზიკული ან კონტექსტუალისტური, ასევე ინტრინზიკული ან იზოლაციონისტური მეთოდოლოგიის სახეობა და მოიცავს შემდეგს:

1. ლიტერატურის მიმოხილვა: კვლევის ფარგლებში შესწავლილია სხვადასხვა წყარო, მათ შორის აღმოსავლური და ევროპული, რაც აყალიბებს ფართო საფუძველს ნაშრომში წარმოჩენილი პრობლემატიკის საერთო კონტექსტის განსაზღვრისთვის. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვამ საშუალება მოგვცა, შეგვეფასებინა XVII საუკუნეში ანტიოქიის საპატროარქოში არსებული ვითარება და დაგვეჩვენა გარკვეული ლიტერატურული აღმავლობა.
2. ტექსტოლოგიური ან ფორმალური მიდგომა: ნაშრომი ეფუძნება XVII საუკუნის არაბული თარგმანის ტექსტოლოგიურ ანალიზს, რაც გულისხმობს მისი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ლინგვისტური მახასიათებლების შეფასებას. კვლევა ძირითადად ეხება ტექსტის ფილოლოგიურ თავისებურებებსა და მისი მნიშვნელობის განსაზღვრას ქრისტიანული არაბული ლიტერატურის კონტექსტში. თარგმანის შემცველი ორი ხელნაწერის შედარების შედეგად გაღრმავებულია ენობრივი თავისებურებების ანალიზი.
3. შედარებითი კვლევა: აღწერილია როგორც ტიპიკონის შემქმნელის, ასევე მისი მთარგმნელის მოღვაწეობის ისტორიული კონტექსტი, ამ ორ ეპოქაში არსებული წყაროები და პარალელური შრომები ბერძნულ და არაბულ ენებზე, ხდება მათი შედარება.
4. ფილოლოგიური ანალიზი: ნაშრომი მოიცავს ძეგლის ენობრივი, სტილისტური და ლიტერატურული მახასიათებლების ანალიზს, რაც საშუალებას იძლევა, განისაზღვროს ხელნაწერის არაბული თარგმანის თავისებურებები და მისი გავლენა ქრისტიანულ არაბულ ლიტერატურაზე.

რაც შეეხება არსებულ წყაროებსა და ლიტერატურას, საკვლევ მასალას წარმოადგენს XVII საუკუნის ლიბანური წარმოშობის ბალამანდის ხელნაწერი № 94 და ამავე საუკუნეში გადაწერილი ხელნაწერი № 46 ჰამატურიდან. გარკვეული ნაწილის შედარება მოხდა ტიპიკონის ბერძნულ ორიგინალთან, რომელიც შესწორებულია კრეტელი მღვდლის მარკის მარას მიერ და დაბეჭდილია ვენეციაში ანდრია გლიკის მიერ (XVI ს.).

კვლევისთვის გამოყენებულია როგორც დასავლური, ასევე აღმოსავლური სამეცნიერო ლიტერატურა.

I თავი

ადრეული აღმოსავლური სამონასტრო წეს-განგება და საბაწმინდური ტიპიკონი

აღმოსავლური ბერმონაზვნობის ისტორია ეგვიპტეში, სირიასა და პალესტინაში ქრისტიანობის გავრცელების დღიდან დაიწყო. ბერებისთვის უდაბნოში დაყუდება სულიერების ამაღლებასა და ღმერთთან სიახლოვეს უკავშირდება. უდაბნოს ბერები გაერთიანებულ თემებს ქმნიდნენ სხვადასხვა რეგიონში, რის საფუძველზეც ნელ-ნელა ბერმონაზვნური საზოგადოებები ჩამოყალიბდა. აღნიშნულ საზოგადოებაში ბერების სიმრავლემ მოიტანა ყოველდღიური ცხოვრებისთვის წეს-განგების შექმნის საჭიროება, რომლის მიხედვითაც ყოველდღიური წესრიგი, საქმის განაწილება და ლოცვის განრიგი დგინდებოდა.

პირველ რიგში, უნდა გამოიყოს ე. წ. განდევილი ბერების ჯგუფი, რომლებსაც ბერმონაზვნურ ცხოვრებაში ანაქორეტულ სახეობას უწოდებენ. ბერები დიდი დასახლებიდან განდევილად ცხოვრობდნენ უდაბნოებში, მთებსა და ტყეებში, ძირითადად, სავანეებსა და გამოქვაბულებში. ხოლო ნახევრად ანაქორეტულს უწოდებენ ლავრულ სახეობას. ეს უკანასკნელი პალესტინელ ბერ-მონაზონთა შორის განვითარდა.

ასევე, აღსანიშნავია კენობიური სახეობა, რაც სამონასტრო კომპლექსში ბერების საერთო ცხოვრებასა და არსებული „დაწერილი“ წესების შესრულებას გულისხმობს.

ზემოხსენებულ რეგიონებში ჩამოყალიბებულმა წესებმა დიდი წვლილი შეიტანა ბიზანტიური ლიტურგიული ტრადიციის განვითარებაში, განსაკუთრებით აღსანიშნავია საბაწმინდური ტიპიკონის როლი.

1.1. შესავალი

ქრისტიანული სარწმუნოების დოქტრინის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მსოფლიო საეკლესიო კრებებმა. დადგინდა სხვადასხვა დოგმატურ-კანონიკური და იერარქიულ-ადმინისტრაციული საკითხი,

მაგ.: ნიკეის საეკლესიო კრებაზე (325 წ.) სამი მთავარი კათედრა და სამიტროპოლიტოები: რომის, ალექსანდრიისა და ანტიოქიის, ხოლო ქალკედონის კრებაზე (451 წ.) ხუთი საპატრიარქო კათედრა: რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის კათედრები დადგინდა. ქალკედონის კრებაზე დაიგმო მონოფიზიტობა, რის შემდეგაც დაიწყო ქრისტოლოგიური დავა, შედეგად კი ანტიოქიის, იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოები დაიყო პრე-ქალკედონიტებად და ქალკედონიტებად. ლიტურგიული თვალსაზრისით, გამოიყო რამდენიმე ტრადიცია,¹ მათ შორის – ანტიოქიისა, რომელშიც შედის სირიულ-დასავლური (სირიულ-ანტიოქიური და მარონიტული მიმართულება), სირიულ-აღმოსავლური (ქალდეური მიმართულება) და მცირე აზიური ტრადიცია (ბიზანტიური და სომხური მიმართულება) და მოიცავს ბერძნებს, ქართველებს, სლავებს, არაბებს (მელქიტებს), რუმინელებსა და სხვ. როგორც ცნობილია, ბიზანტიური ლიტურგიის წესის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა პალესტინურმა რიტუალურმა წესმა, რომელსაც ეწოდა „ნარევი“, ხოლო პალესტინური და შემდგომ საბაწმინდური მიმართულების ჩამოყალიბება უკავშირდება საბა განწმენდილსა და მის მიმდევრებს. აღმოსავლურ რეგიონში არსებული ბერმონაზვნური ცხოვრების სტილი და წეს-ჩვეულებები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. საბაწმინდური ტიპიკონის შექმნა საბა განწმენდილის ცხოვრებაშივე მოხდა, თუმცა მომდევნო საუკუნეებში იგი მოდიფიცირდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია XI საუკუნე, როდესაც სტუდიელთა ტიპიკონი შეერწყა საბაწმინდურ ტრადიციას და საბაწმინდური ტიპიკონის ვერსია ჩამოყალიბდა. ე. წ. ნეო-საბაწმინდური ტიპიკონი გავრცელდა ათონის მთაზე, რამაც საბოლოოდ ჩაანაცვლა არსებული წესი. XIV საუკუნიდან ზემოხსენებული ტიპიკონი გავრცელდა მართლმადიდებლურ სამყაროში და სხვადასხვა ენაზე ითარგმნა. ის გავრცელდა მელქიტურ, ქართულ, სლავურ და სხვა საზოგადოებებში.

¹ სულ ოთხი მიმართულება: ანტიოქიის, ალექსანდრიის, რომისა და გალიურ-ესპანური. ვრცლად იხ. Robert F. Taft, *The Byzantine Rite, A Short History*, The liturgical press, Collegeville, Minnesota, 1992; ასევე, Арранц. Око – Арранц М. «Око церковное» (История Типикона), Рим, 1998.

წინამდებარე თავის მიზანია, წარმოაჩინოს ადრეული ბერმონაზვნური წეს-განგება, მათ შორის, ტიპიკონის ისტორია და როლი ბიზანტიური ლიტურგიული წესის განვითარებაში.

1.2. ქრისტოლოგიური დისპუტი

მსოფლიო საეკლესიო კრებებზე სხვადასხვა მნიშვნელოვანი და არსებული საკითხი გადაწყდა და, ამავდროულად, დაიგმო სხვადასხვა მოძღვრება, რომელიც ძირითადად ქრისტეს მოვლენასა და მისი ბუნების შესახებ იყო. ნიკეის პირველ საეკლესიო კრებაზე (325 წ.) ჩამოყალიბდა მრწამსის ტექსტი და დაიგმო არიოზის მოძღვრება. უფრო მძაფრი დაპირისპირება სასულიერო პირებს შორის ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების (451 წ.) შემდეგ დაიწყო. კრების უმთავრესი თემა ქრისტიანული პრაქტიკისა და მოძღვრების განსაზღვრა იყო. კრებაზე წამოჭრილი საკითხი ქრისტეს ერთ ბუნებაზე დაიგმო და მის მომხრეებს მონოფიზიტები ეწოდა, ხოლო ქრისტეში ორი ბუნების მომხრეებს – დიოფიზიტები. მონოფიზიტურ სწავლებას მხარი დაუჭირა აღმოსავლეთის ზოგიერთმა ეკლესიამ, მაგალითად, სირიელებმა და კოპტებმა, ხოლო ბერძნებმა – დიოფიზიტობას. ბუნებრივია, რომ მონოფიზიტები საპატრიარქოებს გამოეყვნენ და შემნეს ცალკე დამოუკიდებელი მოძღვრება.

ქალკედონის კრებაზე მონოფიზიტობის დაგმობამ ჩამოაყალიბა სირიელთა შორის დამოუკიდებელი, იაკობიტთა ეკლესია (543-544). მონოფიზიტი პატრიარქის გადაყენების და ახალი მელქიტი პატრიარქის დანიშვნის შემდეგ ამ უკანასკნელს სირიელი მონოფიზიტები არ აღიარებდნენ, რის გამოც მათ საკუთარი პატრიარქი სერგიუსი თელიდან დანიშნეს. ქალკედონის კრების გადაწყვეტილება უარყვეს კოპტებმა, სირიელმა იაკობიტებმა და სომხურმა სამოციქულო ეკლესიამ, მოგვიანებით, ნესტორიანელებმა და მონოთელიტური მოძღვრების მიმდევარმა მარონიტებმა.

1.3. აღმოსავლური ბერმონაზვნობა

აღმოსავლურ სამონასტრო საზოგადოებაში შედის ალექსანდრიის, კონსტანტინოპოლის, ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოები. ბიზანტიური (ბერძნული ან კონსტანტინოპოლური) ლიტურგიის წესის ბერმონაზვნობა IV საუკუნეში ჩამოყალიბდა და V საუკუნეში მცირე აზიაში, პალესტინასა და სირიაში გაფართოვდა. მათგან ყველაზე ადრეულს წარმოადგენს ეგვიპტური და პალესტინური ბერმონაზვნობა. ცხადია, ბერების რაოდენობის ზრდასთან ერთად ჩამოყალიბდა წესები და განრიგი, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით. შეიძლება ითქვას, რომ III-V საუკუნეებში აღმოსავლურ ბერმონაზვნობაში თითქმის ერთნაირ განრიგს მისდევდნენ, თუმცა არის განსხვავებებიც. ქვემოთ წარმოდგენილია აღმოსავლური ბერმონაზვნობის ტერიტორიული განლაგება, მათი ყოველდღიური ცხოვრება და იმ დროისთვის არსებული მარეგულირებელი ინსტრუქციები.

1.3.1. ეგვიპტის ბერმონაზვნობა

როგორც უკვე აღინიშნა, ბერმონაზვნობა ეგვიპტის ტერიტორიაზე III-IV საუკუნეებში გავრცელდა. ეგვიპტელი ანაქორეტი ბერები უდაბნოს განმარტოებისთვის ირჩევდნენ და სახლობდნენ სხვადასხვა რეგიონის გამოქვაბულებში, მათ შორისაა ნიტრია, კელია და სკეტისი, რაც დასტურდება მოგზაურების (ევაგრიუსის, იოანე კასიანისა და პალადიუსის) ცნობებით „განდეგილების ცხოვრების შესახებ“, ასევე ჰაგიოგრაფიული შრომებითა და მოთხრობებით უდაბნოს მამების შესახებ. აღნიშნულ ცნობებში ბერი ამუნი ნიტრიაში, ბერი მაკარი სკეტისში, ანტონი დიდი და ბერი შენუთა მოიაზრებიან ადრეული ეგვიპტური ბერმონაზვნობის დამაარსებლებად (Hedstrom, 2017, pp. 139-179). ზემოხსენებული ანაქორეტი ბერები სახლობდნენ გამოქვაბულებში, რასაც ადასტურებს ათანასე თავის ნაშრომში. იგი ახსენებს სიტყვა „მონასტერს“, თუმცა ამ უკანასკნელში სამონასტრო კომპლექსი კი არა, გამოქვაბული იგულისხმება (Chitty, 1966, pp. 1-6). ჩვენს ხელთ არსებული მასალიდან გამომდინარე, ანაქორეტ ბერებთან რაიმე ინსტრუქციები და წეს-ჩვეულებები არ არის ნახსენები, ეს ბუნებრივიცაა,

ვინაიდან წესების ჩამოყალიბების ტრადიცია შეიქმნა მრავალრიცხოვან ბერთა საზოგადოებაში, სადაც გარკვეული წესების შემუშავების საჭიროება დგებოდა.

ეგვიპტელ ბერ-მონაზონთა შორის აღსანიშნავია ბერი შენუთა (348-465 წწ.). მან სამონასტრო ცხოვრება განავითარა „ზემო“ ეგვიპტის სამხრეთ ნაწილში (დღევანდელ სოჰაგში). თეთრი მონასტრის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია შენუთას ნაშრომები: ქადაგებები, წერილები და სამონასტრო ინსტრუქციები (უკანასკნელი ცნობილია „კანონები“-ს სახელწოდებით), ამ კანონებიდან ცხრა ტომი ეხება სამონასტრო წესებს,² რომლითაც საზოგადოებას ხელმძღვანელობდა.³ შენუთას ლიდერობის ნიჭი გააჩნდა, თუმცა ის არ არის ცნობილი, ვინაიდან მისი შრომები არ შედის ადრეული ეგვიპტის ბერმონაზვნობის ნარატივებში, რომლებიც გავრცელდა ბიზანტიის აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთისა და შუა საუკუნეების ქრისტიანულ დასავლეთში. შენუთას როლი დიდია გვიანანტიკური ბერმონაზვნობის განვითარებაში (Hedstrom, 2017, pp. 170-178).

რაც შეეხება კენობიურ სახეობას, ეგვიპტურ ბერმონაზვნურ საზოგადოებაში ეს მიმართულება პაქომის სახელს უკავშირდება. პაქომის შესახებ ცნობებს გვაწვდის მისი ბიოგრაფი თეოდორე ტაბენესელი. IV საუკუნეში პაქომის წესები არის ერთ-ერთი პირველი სისტემური მოდელი, რომლითაც ხელმძღვანელობდა საკმაოდ დიდ საზოგადოებას. მისი ტრადიცია მოიცავს საერთო ცხოვრების წესებს, ლოცვისა და ღვთისმსახურების განრიგს, შრომის განაწილებას, მორჩილებასა და სხვადასხვა წეს-ჩვეულებას.

323 წ. პახომმა დააარსა პირველი მონასტერი ტაბენესში. მისი გარდაცვალების დროს მამათა 9 და დედათა 2 მონასტერი უკვე დაარსებული იყო, რომელიც გაერთიანებული იყო პახომის საზოგადოებაში (კოინონიაში). ამ საზოგადოების (კოინონია) ეკონომიურ-ადმინისტრაციული საქმეები ებარა მონასტრის ხელმძღვანელს (ბერძნ. ოიკონომოს). ამ უკანასკნელს უწოდებდნენ „მამას“, უფრო იშვიათად „ილუმენს“, რომელიც ექვემდებარებოდა მდივანს (სეკუნდუსს). ასევე, აღსანიშნავია იმ ბერთა

² ბერი შენუთას სამონასტრო წესებისა და მისი კანონების შესახებ იხ. Bentley Layton , The Canons of our Fathers: Monastic Rules of Shenoute, Oxford Early Christian Studies; 2014.

³ აღსანიშნავია, რომ ბერი შენუთა იყენებდა ოთხი კოპტური დიალექტიდან ერთ-ერთს, თეზაიდის საჰიდურ დიალექტს, რომელიც გახდა კოპტური ლიტერატურის ენა. შუა საუკუნეებში ის ჩაანაცვლა ბოჰაირულმა დიალექტმა.

ჯგუფი, რომელთაც მინიჭებული ჰქონდათ სპეციალური სტატუსი – პატერეს ან მაიორეს (ბერძნ.), რომელიც ენიჭებოდა უზუცესსა და უფრო გამოცდილ ან სათნოებით გამორჩეულ ბერს (Patrich, 1995, p. 18).

რაც შეეხება მონასტრების განლაგებას, ისინი განთავსებული იყო ნილოსის ხეობის სასოფლო-სამეურნეო რეგიონში ან უდაბნოს გარეუბნებში. ჩვენ ხელთ არსებული მასალების საფუძველზე, თითოეულ მონასტერში 300 ბერი ცხოვრობდა. პახომის საზოგადოება წელიწადში ორჯერ (აღდგომასა და აგვისტოს თვეში) ხვდებოდა ერთმანეთს ფბოუს (Phbow) მონასტერში, სადაც თითოეული მონასტრის წარმომადგენელი თავისი საზოგადოების შესახებ ანგარიშს აბარებდა. ბერები ცხოვრობდნენ კელიებში / სავანეებში. თითოეულ სავანეს ჰყავდა სახლის მეპატრონე (ოიკიაკოს / პრაეპოსიტუს). პახომისეულ ამ სახეობაში დაცული იყო პირადი სივრცე, ერთმანეთის კელიაში ნებართვის გარეშე შესვლა დაუშვებელი იყო. ყოველ კვირა ერთ-ერთი სახლი ზრუნავდა ყოველდღიურ საჭიროებებზე, როგორიცაა საჭმლის მომზადება, დასუფთავება, სამუშაოს განაწილება, მასპინძლობა, ავადმყოფებზე ზრუნვა, ეკლესიაში მსახურება და სხვ. (Rousseau, 1985, p. 79).

პახომი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წიგნიერებას. ბერები ყოველდღიურად კითხულობდნენ წმინდა წერილს. მათთვის სავალდებულო იყო ახალი აღთქმისა და ფსალმუნების დიდი ნაწილის სწავლა და დაზეპირება. უმეტესად მონასტრებში წიგნებს, როგორც სამონასტრო ქონებას, „პრაეპოსიტუსი“ იცავდა და მათი გამოთხოვა / გამოწერა შეიძლებოდა კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. გარდა ამისა, ყოველდღიურ ცხოვრებაში ბერები სხვადასხვა საქმით / ხელსაქმით იყვნენ დაკავებულნი. „პრაეპოსიტუსი“ დილის ლოცვის შემდეგ მიმართავდა მონასტრის წინამძღვარს შესასრულებელი საქმის მითითებების მისაღებად. მათი ძირითადი საქმიანობა იყო კერვა, რკინაზე მუშაობა, ხალიჩის ქსოვა, აქლემის მხედრობა, მესაქონლეობა, მწყემსობა, მებაღეობა, მჭედლობა, ცხოვა, კალათების დაწვნა და ფეხსაცმლის შეკეთება. მათი ნაწარმი შემდეგ გასაყიდად მიჰქონდათ სხვადასხვა რეგიონში. ასევე, უნდა აღინიშნონ განათლებული ბერები, რომელთა საქმიანობა იყო წიგნების გადაწერა (Rousseau, 1985, pp. 81-83).

ბერები ცხოვრობდნენ ფიცრული ტიპის საცხოვრებელში. იგი მოიცავდა დარბაზს გაკვეთილებისთვისა და სხვადასხვა საკითხის განსახილველად, ასევე, სამლოცველო ადგილს. თავდაპირვლად თოთოეულ კელიაში თითო ბერი ცხოვრობდა, ხოლო მოგვიანებით სამი ბერი განთავსდა. მონასტერს ჰქონდა გალავანი და შესასვლელი კარი. სამონასტრო კომპლექსი მოიცავდა დარბაზს მლოცველებისთვის (პახომის მონასტრებში ის იწოდებოდა, როგორც სონაქსის (ბერძნ.) და არა ეკლესია (ბერძნ.)), საერთო სასადილო ოთახს (ტრაპეზა), სამზარეულოს, საცხოვს, საავადმყოფოს, საკვების საწყობს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესანახ ადგილს, სამუშაო ხელსაწყოებს, ნაგებობას საქონლისთვის, რომელსაც იყენებდნენ მოსახნავად და, ასევე, გადასაადგილებლად (Patrich, 1995, p. 20).

ზემოხსენებულ ყოველდღიურ განრიგსა და სხვადასხვა ვალდებულებას არეგულირებდა პახომის წესები. 404 წ. აღნიშნული წესები იერემიამ თარგმნა ლათინურ ენაზე. ამ თარგმანის შესახებ ცნობები აღმოჩენილია რამდენიმე ეთიოპიურ ხელნაწერში, ცნობილია, როგორც „ანგელოზის წესი“. ამ უკანასკნელი ნაშრომის შესახებ ცნობას გვაწვდის პალადიუსი ნაწარმოებში „ლავსაიკონი“, თუმცა არმან ვეიო (Armand Veilleux) აღნიშნავს, რომ პახომის თავდაპირველი წესები არ არის ამ წესებთან კავშირში (Veilleux, 1991, pp. 1859a-1864b). ჩვენ ხელთ არსებული მასალებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამ წესების რამდენიმე ვერსია არსებობს და მათში შეტანილია ცვლილებები სამონასტრო ცხოვრების განვითარებასთან ერთად.

შეიძლება ითქვას, რომ პახომმა დიდი როლი ითამაშა კოპტური ქრისტიანული მიმართულების განვითარებაში. პახომის გარდაცვალების შემდეგ წეს-განგების ჩამოყალიბებასა და მის გავრცელებაში დიდი წვლილი შეიტანეს ადგილობრივმა ბერებმა, მათ შორის, აღსანიშნავია ბერი თეოდორე და ჰორსისიოსი. ეს უკანასკნელი სათავეში ჩაუდგა ფბოუს მონასტერს და განაგრძო ხელმძღვანელობა.

პახომის მონასტრებში წესები ორიგანალურ ენაზე მიმდინარეობდა და, ასევე, პრაქტიკაში იყენებდნენ თარგმანებს ბერძნულ და ლათინურ ენებზე. თვითონ ბერები საუბრობდნენ საჰიდურ კოპტურ ენაზე. უფრო მოგვიანებით მათ შეუერთდნენ ბერძნულად მოლაპარაკე ბერები (Patrich, 1995, pp. 18-20).

შეიძლება ითქვას, რომ კენობიური სტილის დაარსებას მიაწერენ პახომს და მის მოდიფიცირებას უკავშირებენ შენუთას, რომლის გავლენაც კარგად ჩანდა „ზემო“ ეგვიპტეში მუსლიმთა დაპყრობებამდე.

1.3.2. სირიის ბერმონაზვნობა

ეგვიპტური ასკეტიზმისგან განსხვავებით, სირიული ასკეტიზმი მორჩილების ექსტრემალური ფორმის გამოვლინებაა, რაც გამოიხატება შემდეგნაირად: სხეულზე ჯაჭვების შემოხვევა, სხეულის შებოჭვა, ვიწრო და განცალკევებული საცხოვრებელი სივრცის არჩევა, ორმოებში დაყუდება, შეკიდულ გალიაში ცხოვრება, მესვეტეობა და სხვ.

V-VI საუკუნეებში სირიის ბერმონაზვნობა დასტურდება „პილატეს ისტორიაში“, იოანე ეფესელის „აღმოსავლელი წმინდანების ცხოვრებაში“ და სხვა ლიტერატურულ წყაროებში. IV საუკუნის შუა წლებამდე სირიის ბერმონაზვნობა განვითარებული იყო მესოპოტამიასა და სირიის რეგიონებში.

სირიული სამონასტრო ცხოვრების ანაქორეტული წესიდან კენობიურ წესზე გადასვლის პერიოდი უცნობია. ივლიან-საბადან იწყება ანაქორეტული ბერმონაზვნობა, ხოლო მისი მიმდევრები უკვე აარსებდნენ კვინობს. არტურ ვოობუსი აღნიშნავს, რომ ეს პროცესი გავრცელდა ეგვიპტიდან პალესტინის გავლით. მეორე მხრივ, აღნიშნავს, რომ მასზე გავლენა მოახდინა მანიქეველოზამ (Vöobus, 1960, pp. 19-35), ხოლო სხვა მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ბასილი დიდის გავლენაა. სირიული ბერმონაზვნობის ცხოვრება ემსგავსება კენობიურ სახეობას. სირიელი ბერები ერთობლივ ცხოვრებას ეწეოდნენ ყოველდღიურად და ლოცვაც ერთობლივად მიმდინარეობდა, მაშინ, როდესაც პალესტინის ლავრასა და ეგვიპტეში ისინი ერთმანეთს მხოლოდ შაბათ-კვირას ხვდებიან. კენობიურ ტრადიციაზე გადასვლა ნიშნავდა, რომ გარკვეული სამონასტრო წესები უნდა შექმნილიყო და ბუნებრივია, ეს პროცესი სირიულ სამონასტრო ცხოვრებაშიც დაიწყო. თავდაპირველად წესები გადაეცემოდა ზეპირი სახით, მოგვიანებით საჭირო გახდა მათი ჩაწერა. V-VI საუკუნეებში კენობიური სახეობა უფრო ფართოდ გავრცელდა, თუმცა ერთიანი

სისტემა არ არსებობდა და სხვადასხვა მონასტერში სხვადასხვანაირ ცხოვრების სტილს გამოიყენებდნენ (Vööbus, 1960, p. 61).

სირიელ ბერმონაზონთა შორის გავრცელდა რაბულა ედესელის კანონები. ისინი ყველაზე ადრეულ კანონებს წარმოადგენს, V საუკუნით თარიღდება და მოიცავს 26 კანონს. აღნიშნულ კანონებს ემატება არტურ ვოობუსის მიერ ნათარგმნი კიდევ 4 კანონი, რომელიც მან დანართის სახით წარმოადგინა. კანონები ძირითადად მოიცავს სხვადასხვა შეზღუდვას, როგორიცაა კონტაქტი საერო სამყაროსთან, კომერციული გარიგებები, ნათესავებთან ურთიერთობა და მსგავსი აკრძალვები.⁴ ასევე, აღსანიშნავია მოგვიანო პერიოდის კანონებიც, რომლებიც წარმოდგენილია ძირითადად კერძო რელიგიურ ფონდებში (Thomas, 2000, p. 39).

1.3.3. კონსტანტინოპოლის ბერმონაზვნობა

მცირე აზიაში კენობიური სახეობის სამონასტრო ცხოვრების დაფუძნება ბასილის სახელს უკავშირდება. ბასილი დიდი (329/30-379 წწ.), ერთ-ერთი „სამი კაბადოკიელი მამათაგანი“ დაიბადა კესარიაში არისტოკრატიულ ოჯახში. მან განათლება კონსტანტინოპოლსა და ათენში მიიღო. ის თვლიდა, რომ ასკეტური ცხოვრება არის ქრისტიანის ერთადერთი და შესაფერისი გზა, ხოლო კენობიური ტრადიცია საუკეთესო მიმართულებაა სამონასტრო ცხოვრებაში. პახომისგან განსხვავებით, ბასილმა მონასტრები დასახლებულ პუნქტებში, ქრისტიანულ ქალაქებსა და სოფლებში დააარსა. ბასილი დიდის მონაზვნური წესი უფრო რბილი და ნაკლებად მკაცრი იყო პახომის სისტემასთან შედარებით. ერთ კვინობში 30-40 ბერი ცხოვრობდა, რომელთაც ერთი წინამძღვარი ჰყავდათ. წინამძღვარს სხვადასხვა მოვალეობა ეკისრებოდა, ის შეკრების დროს განიხილავდა სხვადასხვა დისციპლინარულ საკითხს. ბერების ყოველდღიური ცხოვრება იყო ლოცვა და სამუშაოს შესრულება. ბასილმა დააწესა დღეში შვიდჯერ კანონიკური ლოცვა. როგორც სხვა საზოგადოების ბერები, ეს საზოგადოებაც დაკავებული იყო სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობით. ევსტათეს მიმდევრებისგან განსხვავებით, ბასილისთვის მონასტრებში ყოველდღიურად

⁴ ადრეული სირიული ასკეტური წესების შესახებ იხ. Vööbus, Arthur, *History of Asceticism in the Syrian Orient. A Contribution to the History of Culture in the Near East, II. Early Monasticism in Mesopotamia and Syria. (Corpus Scriptorum Christianorum Orientalium)*; 1960.

შესასრულებელი საქმე მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან ის სოფლის მეურნეობის პროდუქტებს თავისივე მონასტერს მოახმარდა და ღარიბებს ურიგებდა (Amand de mendieta, 1957 , pp. 39-54).

ბასილის „მასწავლებელი“ ევსტათე სებასტიელი იყო, რომელმაც ასკეტური ბერმონაზვნობა გაავრცელა სომხეთში, პაფლაგონიასა და პონტოში. ევსტათე ალექსანდრიაში სტუმრობისას გახდა არიოზის მოსწავლე და შესაძლოა, ეგვიპტური ბერმონაზვნობის გავლენის ქვეშ მოექცა. ის უფრო ემხრობოდა ანაქორეტული სახეობის ასკეტიზმს, ვიდრე საერთო სამონასტრო ცხოვრებას. როდესაც ბერებმა ბასილის გარშემო დაიწყეს შეკრება, მან დაინახა „საერთო“ ცხოვრების საჭიროება და ჩამოაყალიბა კვინობი. უნდა აღინიშნოს, რომ ბასილი ესტუმრა ეგვიპტეს, გაეცნო პახომის კვინობის სახეობას და გარკვეულწილად მისი გავლენის ქვეშ მოექცა. ბასილის კენობიურმა ტრადიციამ გავლენა მოახდინა პალესტინის კენობიურ ბერმონაზვნობაზე (Patrich, 1995, pp. 28-29).

ბასილის სამონასტრო სწავლება მოცემულია მის ნაშრომებში „ასკეტიკა“, „მორალი“ და „ორი წესი (მცირე და გრძელი)“. ყველაზე ადრეული წესი – „მცირე ასკეტიკა“ დათარიღებულია 258/259 წლით. მოგვიანებით, როდესაც ბასილი ევსტათეს გავლენის ქვეშ აღარ იყო, მან განავითარა კენობიური სისტემა. სხვა წესები, რომლებსაც უწოდებენ „მცირე წესს“, მოიცავს კვინობში ყოველდღიურ ცხოვრებასა და, ასევე, კითხვისა და წიგნიერების მნიშვნელობას. შესაბამისად, წმინდა წერილის კითხვა ყველას ევალებოდა. მცირე და გრძელ წესებს ერთად ეწოდება „დიდი ასკეტიკა“. შუა საუკუნეებამდე რამდენჯერმე მოხდა მისი რედაქტირება (Thomas, 2000, pp. 28-32).

1.3.4. იუსტინიანეს კანონმდებლობა

იმპერატორ იუსტინიანეს მიერ კანონმდებლობის გამოცემის (VI საუკუნის პირველი ნახევარი) ერთ-ერთი მიზანი იყო ეკლესიის ხელახალი გაერთიანება და სწორი დოქტრინის დაწესება. გაცემული კანონი არა საეკლესიო, არამედ სამოქალაქო კანონია. ეს იყო პირველი მცდელობა, შექმნილიყო სისტემური სახელმწიფო კანონმდებლობა, რომელიც მიმართულია სამონასტრო საქმეებზე. იუსტინიანეს კანონმდებლობა მოიცავს შემდეგ საკითხებს: ურთიერთობა მონასტრებსა და ეკლესიას

შორის, განსაკუთრებით, მონასტრების დაქვემდებარება მთავარეპისკოპოსზე და ეპისკოპოსზე; მონასტრის ადმინისტრაციული ორგანიზაცია: წინამძღვრის ავტორიტეტი და იურიდიული სტატუსი, ბერების საზოგადოება, სამონასტრო ფუნქციონირება; ეგზარქოსის უწყება, როგორც სამონასტრო ხელმძღვანელი ორგანო; მონასტერში კანდიდატთა მიღების წესი; მონასტრის დატოვება, განსაკუთრებით გაძევების ან სარწმუნოების შეცვლის დროს; დისციპლინა მონასტრებში და ურთიერთობა მონასტერსა და სახელმწიფოს შორის.

იუსტინიანეს კანონმდებლობაში წინამძღვრის აღმნიშნული ტერმინია „ილუმენი“, უფრო იშვიათად გამოიყენება არქიმანდრიტი. მის მიხედვით, ყველა მონასტერს უნდა ჰყავდეს „ილუმენი“, თუმცა დაუშვებელია ორი მონასტრის ერთდროულად ხელმძღვანელობა. ეს ტენდენცია იყო იმისთვის, რომ თავიდან აეცილებინათ ცენტრალური ძალაუფლების ჩამოყალიბება სამონასტრო კომპლექსებში. წინამძღვარს ეკრძალებოდა, გაესხვისებინა მონასტრის წლიური შემოსავალი (Frazee, 1982, pp. 271-276).

ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა მოწმობს, რომ ახალი წინამძღვრის არჩევა ხდებოდა მისი წინამორბედის მიერ გარდაცვალებამდე ან მას ბერები ირჩევდნენ. ბუნებრივია, ეს ზოგჯერ ბერებს შორის უთანხმოებას იწვევდა, რაც შიდა განხეთქილებამდე მიდიოდა. ზემოხსენებულის თავიდან აცილების მიზნით იუსტინიანემ ამ პროცესში პატრიარქს აქტიური როლი მიანიჭა. მან ჩამოაყალიბა წინამძღვრის არჩევის შესაძლებლობა, სადაც ყველა ბერი იღებდა მონაწილეობას ანონიმურად ან ხმათა უმრავლესობით. წინამძღვრის არჩევას ადასტურებდა ეპისკოპოსი. იუსტინიანეს კანონმდებლობა ასევე მოიცავდა იერარქიულ წყობასაც (Patrich, 1995, p. 33).

1.3.5. პალესტინის ბერმონაზვნობა

პალესტინაში ასკეტური ცხოვრება II საუკუნის ბოლოს დაიწყო. III-VI საუკუნეებში განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი სამონასტრო ცენტრი, ერთი მდებარეობს იერუსალიმსა და მკვდარ ზღვას შორის, იორდანეს ხეობასთან ახლოს (იუდეის უდაბნო) და მეორე, ღაზის გარშემო ტერიტორიაზე. არქეოლოგიური გათხრების

შედეგად იუდეის უდაბნოში აღმოჩენილია 19 ლავრა, კვინობი და გამოქვაბულები ბიზანტიის პერიოდიდან. ასევე, აღსანიშნავია მიტოვებული ციხე-სიმაგრეები, რომლებიც გადაკეთდა მონასტრებად. როგორც სხვა უდაბნოებში, იუდეის უდაბნოშიც ბერები გამოქვაბულებში განცალკევებით ცხოვრობდნენ. აღნიშნულ გამოქვაბულებში 4-5 წლის განმავლობაში ცხოვრების შემდეგ მათ მონასტრებად გარდაქმნიდნენ ხოლმე (მაგალითად, საბასა და ექვთიმეს შემთხვევა; მათ 5 წლის განდევნილობის შემდეგ იმავე ადგილებში მონასტრები დააარსეს). რაც შეეხება მამების ცხოვრებას, განდევნილი ბერები ემორჩილებოდნენ მონასტრის წინამძღვარს, ილუმენს. ამ უკანასკნელს ჰყავდა ან მოადგილე ან მმართველი, რომელიც განაგებდა ადმინისტრაციულ-ფინანსურ საკითხებს, ასევე, ამარაგებდა ბერებს ნედლეულით შემდგომი სამუშაოების შესასრულებლად და ყიდდა დაწულ კალათებსა და სხვა ნაწარმს. დიდ მონასტრებსა და ლავრებში არსებობდა სარიტუალო ოთახები, სადაც ღირსი მამები გამგებლად ინიშნებოდნენ. კვინობისგან განსხვავებით, ლავრებს არ ჰქონდა გალავანი და შესაბამისად, კარისკაციც არ ჰყავდა, მაშინ, როდესაც ის კვინობისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირს წარმოადგენდა. მაგალითად, ქოზიბას მონასტრის კარისკაცი ნახსენებია ანტონის ნაშრომებში, სადაც იგი ამბობს, რომ მნიშვნელოვანია კარისკაცს განვითარებული ჰქონდეს დიპლომატიის უნარი. ზოგადად, მონასტრებში არსებობდა საავადმყოფოები და იუდეის უდაბნოს მონასტრებიც არ იყო გამონაკლისი. გარდა იმისა, რომ ექიმები კურნავდნენ ავადმყოფ პილიგრიმს და ზრუნავდნენ მასზე, ასევე უვლიდნენ ფსიქიურად დაავადებულ მამებს (თეოდოსიუსის მონასტერი). რაც შეეხება ბერების განაწილებას კელიებში, აქ არსებობს ორი განლაგება: ერთ საცხოვრებელში რამდენიმე ბერის მოთავსება და მეორე შემთხვევაში თითო ბერის განცალკევებით ცხოვრება, ეს უკანასკნელი კი გამოცდილი და ასაკოვანი ბერებისთვის იყო განკუთვნილი (Hirschfeld, 1992, pp. 33-95).

პალესტინისა და ეგვიპტის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ლავრებია: ფარანის, იერემიას, კალამონისა და გერასიმეს ლავრები. „დიდი ლავრა“ დააარსა საბა განწმენდილმა, რომელმაც შემდგომ არა მხოლოდ პალესტინაში ლავრის ტიპი, არამედ ცალკე საბაწმინდური და პალესტინური მიმართულება განავითარა.

საბას შესახებ რამდენიმე ლიტერატურული წყაროა შემორჩენილი. ერთ-ერთია მისი ბიოგრაფის, კირილე სკვითოპოლელის მიერ დაწერილი „საბას ცხოვრება“, ასევე უნდა

აღნიშნოს იოანე დამასკელის / იბნ მანსურის (655-750 წწ.) შემოქმედება საბას შესახებ (Encyclopedia of Monasticism v. I, 2000, p. 1109). ხსენებულ პერიოდზე დეტალური დოკუმენტური მასალის რედაქტირება ეკუთვნის ედუარდ შვარცს. მან ამ მასალას უწოდა „საბაწმინდური კოლექცია“⁵.

საბა დაიბადა 439 წ. კაბადოკიაში, პატარა სოფელ მუტალასკაში (დღევანდელი თალასი), კესარიის პროვინციაში. მისი მშობლები სოფია და იოანე ქრისტიანები იყვნენ. როდესაც საბა ხუთი წლის იყო, მშობლები სამხედრო დანაყოფთან ერთად ალექსანდრიაში წავიდნენ და მასზე მზრუნველობა საბას ბიძას (დედის მხრიდან) დაევალა. შემდეგ საბა გადავიდა მეორე ბიძასთან (მამის მხრიდან), გრიგოლთან სოფელ სკანდოსში. სამი წლის შემდეგ ბიძებს შორის დაიწყო უთანხმოება საბასა და მისი მემკვიდრეობის გამო. საბა გაგზავნეს ფლავიანეს მონასტერში (მუტალასკასთან ახლოს), სადაც 60-70 ბერი ცხოვრობდა. მონასტრის წინამძღვრისგან საბამ ისწავლა სამონასტრო დისციპლინა და ფსალმუნები, რის გამოც იგი მონასტერში განაწესეს, როგორც ფსალმუნების მკითხველი, მედავითნე. ასევე, მან ისწავლა ბერების საერთო ცხოვრების წესები. საბამ მონასტერში გაატარა ათი წელი. 456 წ. იგი იერუსალიმში ჩავიდა, სადაც დახვდა ბერი და ფასარიონის მონასტერში წაიყვანა. საბას სურდა, რომ ეცხოვრა უდაბნოში, როგორც განდევნილ ბერს, წმ. ექვთიმეს მსგავსად. ელპიდესგან ნებართვის მიღების შემდეგ საბა გაგზავნეს ექვთიმეს ლავრაში თანმხლებ პირთან ერთად. იქ საბამ ექვთიმეს სთხოვა, გამხდარიყო მისი ერთ-ერთი ბერი. „ექვთიმეს ცხოვრების“ მიხედვით, იგი ჯერ დაეთანხმა, შემდეგ კი მისი სიყმაწვილის გამო გადაიფიქრა და აღნიშნა, რომ მისთვის უფრო შესაფერისია კვინობში რამდენიმე წელი ცხოვრება. „საბას ცხოვრების“ მიხედვით კი, მან თავიდანვე უარი უთხრა საბას ლავრაში დარჩენაზე და გააგზავნა თეოქტისტუსის კვინობში (Patrich, 1995, pp. 38-40).

457 წლიდან საბა თეოქტისტუსის მონასტერში დამკვიდრდა. კირილეს მიხედვით, იგი მკაცრად მისდევდა წესებს და ჩართული იყო სამონასტრო ცხოვრებაში. ასრულებდა სხვადასხვა მოვალეობას, როგორცაა წყლით მომარაგება, შეშის შეგროვება და ზოგჯერ სახედრებსაც უვლიდა. ლავრასა და კვინობის უდაბნოს ბერები მობილიზებულები იყვნენ იმისთვის, რომ აეღოთ მოსავალი, მაგ.: ბრტყელეკალას

⁵ E. Schwartz produced the Acta conciliorum oecumenicorum (The Acts of the Ecumenical Councils) from 1914 to 1940.

მსგავსი ბალახი. სხვა ბერებთან შედარებით, საბა ფიზიკურად უფრო მეტს შრომობდა (Scythopolis, 1991, pp. 36-40).

469 წ., როდესაც საბა 30 წლის გახდა, მან ლონგინოზს (ახალ წინამძღვარს) სთხოვა კვინობიდან „სიმშვიდეში“ ანუ განცალკევებულად, განდეგილად გადასვლა გამოქვაბულში, სამხრეთ ფერდობზე. ექვთიმესგან დასტურის მიღების შემდეგ საბას ბერობის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეტაპი. საბა გამოქვაბულში ხუთი დღე განმარტოებით ცხოვრობდა, საკვები აკრძალა და პალმის ყლორტისგან კალათებს წნავდა. შემდეგ, შაბათ-კვირას კვინობს უერთდებოდა და კალათებიც მიჰქონდა. ასე გაატარა საბამ ხუთი წელი. იგი მსახურობდა ლავრაში, თუმცა ცხოვრობდა განდეგილად გამოქვაბულში. ამგვარი ასკეტური ცხოვრების პრაქტიკას ქოზიბა მისდევდა. მისი ცხოვრების მომდევნო ეტაპი ექვთიმეს გარდაცვალების შემდეგ დაიწყო, როდესაც მან გადაწყვიტა უდაბნოში „მოხეტიალის“ როლი მოერგო. ამ პერიოდში საბა ცხოვრობდა იორდანის მახლობლად, კუტილასა და რუბას უდაბნოებში. მან ისწავლა, როგორ გაუმკლავდეს რთულ ლანდშაფტს, მოიპოვოს საარსებო რესურსი და გადალახოს უდაბნოში არსებული სირთულეები. ასკეტურ ცხოვრებაში სიძნელეებთან გამკლავება ნიშნავს სულიერ ამაღლებას, რასაც ხშირად განდეგილები აკეთებდნენ (Scythopolis, 1991, pp. 9-11).

ასეთი ცხოვრების ფორმა, იგულისხმება „ხეტიალი“ უდაბნოში, ფართოდ იყო გავრცელებული სირიის უდაბნოებში. ბერი უდაბნოში ერთი გამოქვაბულიდან მეორეში გადაადგილდებოდა და საარსებო წყაროს გზად ნახულობდა. ამ პერიოდში ასეთი ცხოვრების ფორმა იუდეის უდაბნოშიც გავრცელებული იყო.

რუბას უდაბნოში „ხეტიალის“ დროს საბა შეუერთდა ბერ ანტუსს. ის გაჩერდა თეოდოსისთან ერთად კატიზმის ეკლესიაში. ოთხი წლის შემდეგ საბა მივიდა ევთოკიის მაღლობზე, რომელიც მდებარეობს ჯებელ მუნთარის მწვერვალზე, იუდეის უდაბნოს ყველაზე მაღალ წერტილში. საბას ხილვა ჰქონდა ამ ადგილთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ანგელოზმა უჩვენა გზა სილოამიდან დამავალ ხეობაში გამოქვაბულისკენ, სადაც ის დასახლდა. ხუთი წლის შემდეგ საბამ ამ ადგილას დიდი ლავრა დააარსა.

შემდეგი პერიოდი საბას ცხოვრებაში ლავრის მშენებლობით დაიწყო. 483 წლიდან 486 წლამდე ლავრის დაარსების პერიოდია. მშენებლობაში პატრიარქი მარტირიუსი ეხმარებოდა. მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში ბერების რიცხვი ლავრაში 150-მდე გაიზარდა. საბას ამ წლებში მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა. მათ სცადეს მოლაპარაკება პატრიარქ სალუსტიუსთან, თუმცა ამ უკანასკნელმა საბას მხარე დაიჭირა.

490-501 წლებში ლავრა გაფართოვდა და საბას მმართველობა უფრო გამყარდა. ბერების რაოდენობაც გაიზარდა და მონასტრებიც აშენდა. 492 წ. კასტელიონის მონასტერი და 493 წ. პატარა კვინობები, ლავრაში გასაჩერებელი ადგილები, დიდი წყლის რეზერვუარი, ღუმელი, საავამდყოფო და დიდი ეკლესია აშენდა. ეს ყველაფერი გაკეთდა საბას გარდაცვლილი მშობლებისგან მიღებული მემკვიდრეობით და, ასევე, ქველმოქმედებით (Scythopolis, 1991, pp. 92-93). ზოგადად, ლავრის შემოსავალი არ იყო დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო მოსავალზე, როგორც ეს ხდებოდა პახომისა და სირიის მონასტრებში, არამედ მისი მთავარი შემოსავალი სხვადასხვა სახის ქველმოქმედება იყო, მათ შორის ვერცხლის და ოქროს მონეტები. მაგ.: პატრიარქ ელიასგან მიღებული ოქროთი ახალი ლავრა იყო აშენებული (Patrich, 1995, p. 194).

საბას ძალაუფლება და გავლენა დასტურდება იმით, რომ თეოდოსისთან ერთად აირჩიეს იერუსალიმის არქიმანდრიტად. ამის მიუხედავად, მოწინააღმდეგეების გამო საბა სამი წლით გადასახლდა ლავრიდან, ჯერ გადარას მდინარესთან მდებარე გამოქვაბულში, შემდეგ კი ნიკოპოლისის რეგიონში. ამასობაში მოწინააღმდეგეებმა დაანგრეს მონასტრის კოშკი და გავიდნენ საცხოვრებლად სავანეებში თეკოას მახლობლად, სადაც ცოტა ხნის შემდეგ საბამ ააშენა ე.წ. ახალი ლავრა. საბასა და პატრიარქ ელიას შორის ურთიერთობა უფრო გამყარდა, 511-512 წწ. იგი გაგზავნეს იმპერატორ ანასტასისთან, რათა პალესტინის ეკლესიის სახელით შუამდგომლობა გაეწია, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებითა და ელიასის მონოფიზიტური მომღვრებისგან დასაცავად. დაახლოებით 20 წლის შემდეგ საბა პატრიარქ პეტრეს სახელით სამარიტანელების აჯანყებასთან დაკავშირებით იმპერატორ იუსტინიანესთან ისევ წავიდა.

საბას იუსტინიანესთან განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა და იმპერატორისგან დიდ პატივისცემას იმსახურებდა, რასაც მოწმობს შემდეგი:

„იმპერატორმა დაიბარა წმინდა საბა და უთხრა: მამო, მე მსენია თქვენზე, რომ დააარსეთ ბევრი მონასტერი უდაბნოში. თუ რაიმე საჭიროებაა ბერებისთვის, შეგიძლიათ მოითხოვოთ, რათა მათ ილოცონ ჩვენი სახელმწიფოსთვის. საბამ უპასუხა: ისინი ისედაც ღოცულობენ, თქვენო უდიდებულესო, მათი წილი და საჭიროება უფალია, ვინც უდაბნოში ზეციდან პურს და მწყერს „ასხამდა“ ურჩ ხალხს. ჩვენ კი, ყოვლისშემძლე იმპერატორისგან ვითხოვთ, პალესტინის წმინდა ეკლესიების სამფლობელოებისთვის გადასახადების მოხსნას, სამარიტანელთა მიერ დამწვარი წმინდა ეკლესიების აღდგენასა და პალესტინის ღარიბი ქრისტიანებისთვის დახმარების გაწევას. ასევე, გთხოვთ, წმინდა ქალაქში მოიძიოთ საავადმყოფო უცხოელ ავადმყოფთათვის, ააშენოთ ღვთისმშობლის ეკლესია, რომელსაც რამდენიმე ხნის წინ საძირკველი ჩაუყარა ჩვენმა მთავარეპისკოპოსმა ელიასმა; და შემოსევების გამო, გვედრებით, თქვენო უდიდებულესო, უბრძანოთ, საჯარო ხარჯებით ააშენონ ციხე უდაბნოში, თქვენი თავმდაბალი მსახურის მიერ აშენებული მონასტრების „ძირში“. მე მჯერა, რომ ღმერთი ამ ხუთი საქციელისთვის კმაყოფილი დარჩება და თქვენ იმპერიას შეურთებს აფრიკას, რომსა და სხვა დანარჩენ რეგიონებს, რომლებიც დაკარგეს თქვენმა წინამორბედმა იმპერატორებმა; ამოძირკვეთ არიანელთა მოძღვრება,⁶ ნესტორსა⁷ და ორიგენესთან⁸ ერთად, გაათავისუფლეთ ქალაქი და ღვთის ეკლესია მწვალებლობისგან“ (Scythopolis, 1991, pp. 184-186).

საბას ყველა მოთხოვნა შესრულდა. იმპერატორმა განდევნა ორივე მოძღვრების წარმომადგენელი და ბრძანა განდევნილ იქნას სხვა მწვალებლობაც (Scythopolis, 1991, p. 186).

მნიშვნელოვანია, რომ აღინიშნოს ორიგენეს მიმდევრების დაპირისპირება საბაწმინდელებთან. ქალკედონიტებთან პირველი დაპირისპირება IV საუკუნის ბოლოს და მეორე დაპირისპირება VI საუკუნის ბოლოს მოხდა. ორიგენეს მოძღვრება

⁶ კირილე სკვითოპოლელის განმარტებით, არიანელები ახსენა იმიტომ, რომ იმ პერიოდში გუთები, ვესტგუთები, ვანდალები და გეპიდები იყვნენ არიანელები. მართავდნენ მთელ დასავლეთს და საბამ დანამდვილებით იცოდა, რომ იმპერატორი აპირებდა მათ დაპყრობას (Cyril of Scythopolis, *The lives of the Monks of Palestine*; Translated by R.M. Price; Cistercian Publications kalamazoo, Michigan; 1991; p. 185).

⁷ კირილე სკვითოპოლელის განმარტებით, ნესტორი ახსენა იმიტომ, რომ ერთ-ერთი ბერი, რომელიც თან ახლდა იმპერატორს, მხარს უჭერდა თეოდორე მოფსუესტელს, როდესაც ბაზილიკაში აპოსქისტთან კამათობდა (Ibid, p. 185).

⁸ კირილე სკვითოპოლელის განმარტებით, ორიგენეს მოძღვრება ახსენა იმიტომ, რომ იმპერატორთან ერთად მყოფი ბერძენი ბერი ემხრობოდა ორიგენეს მოძღვრებას ქალკედონის კრების დროს (Ibid, p. 185).

საბოლოოდ დაიგმო 553 წ. კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე (Hombergen, 2001, pp. 21-25). საბას გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ორიგენეს მიმდევრები მოღვაწეობდნენ ახალ ლავრაში, რის გამოც შემდეგ ისინი განდევნეს.

საბა 94 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს ლავრაში ორ ეკლესიას შორის. მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა იერუსალიმის პატრიარქებთან. ღვთისმოსაობის გამო იგი პალესტინის ქრისტიან მოსახლეობაში დიდი პატივისცემით სარგებლობდა. კირილე სკვითოპოლელი აღნიშნავს საბასთან დაკავშირებულ სასწაულებს, როგორიცაა: წვიმის მოსვლა უდაბნოში, ავადმყოფების განკურნება და სხვ. ასევე, აღნიშნავს, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი სხეული უხრწნელი დარჩა და მან ეს თავისი თვალთი იხილა. მისი მიმდევრები და, ზოგადად, პილიგრიმები მოდიოდნენ მის საფლავზე და „ხსნას“ შესთხოვდნენ (Patrich, 1995, p. 44).

საბას ხელმძღვანელობით 50 წლის განმავლობაში დაარსდა როგორც დიდი ლავრა, ასევე სამი სხვა ლავრა, ექვსი კენობიური მონასტერი და სამი საქველმოქმედო დაწესებულება.

პალესტინის სამონასტრო საზოგადოება ემორჩილებოდა საბას მიერ დადგენილ წესებს.

1.4. საბას ლავრის საღმრთო ლიტურგია და ლიტურგიის ენა

როგორც ჰაგიოგრაფიული წყაროები, ასევე არქეოლოგიური ძეგლები და ლიტერატურული შრომები მოწმობს, რომ ბერმონაზვნობა საბას ლავრაში იმ პერიოდში (V საუკუნე) აღზევებული იყო, რაც დასტურდება VIII საუკუნის ლიტურგიული ხელნაწერებით.

ლავრული სამონასტრო ცხოვრების ძირითადი პრაქტიკა იყო ბერების განმარტოებით ლოცვა კელიებში, ხოლო შაბათ-კვირა მონასტრის ძირითად ეკლესიაში საერთო მსახურება. ამან წარმოშვა „ღამისთევის“ ლოცვის პრაქტიკა, რაც კენობიურ სახეობაში არ აღინიშნება. პალესტინაში შაბათის „ღამისთევის“ პრაქტიკის შესახებ აღნიშნულია „საბას ცხოვრებასა“ და „სტეფანე საბაელის ცხოვრებაში“. რაც შეეხება არაბთა დაპყრობების შემდეგ პერიოდს XI საუკუნემდე, ჰაგიოგრაფიული

ტექსტები საბას ლავრის ლიტურგიის შესახებ ზუსტ ინფორმაციას არ გვაძლევს, თუმცა „სტეფანე საბაელის ცხოვრებიდან“, რომელიც ითარგმნა ჯერ არაბულ ენაზე (903 წ.) და არაბულიდან ქართულ ენაზე (983 წ.), აღინიშნება შემდეგი: „მამების ძველი ტრადიციის მიხედვით, ღვთისმსახურება განხორციელდა შაბათს და ღამისთევს ლოცვა მიმდინარეობდა კვირას დილამდე“ (Galadza, 2019, pp. 119-120).

VIII და IX საუკუნეებში საბას ლავრაში მწიგნობრობა გააქტიურებული იყო ქართველებს შორის, კავკასიის ფარგლებს გარეთ. ქართული ბიბლიის პირველი რედაქცია ცნობილია, როგორც საბაწმინდური, შეიქმნა VIII საუკუნესა და X საუკუნეებს შორის. X საუკუნის შემდეგ ქართველი მწიგნობრები სინას მთაზე გადავიდნენ. კონტაქტი ქართველებსა და საბას ლავრის საზოგადოებას შორის აღინიშნება გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში. გიორგი მერჩულეს ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებიდან „შრომაჲ და მოლუაწებაჲ ღირსად-ცხოვრებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი, არქიმანდრიტისაჲ ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაჲ და მის თანა კსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ“ ჩანს, რომ გრიგოლმა საბას წმინდა წესი ჩამოატანინა და თავის მონასტერში დააწესა. გიორგი მერჩულეს ნაწარმოებში დეტალურად არის აღწერილი საბას ლავრის წესები და ღამისთევა (მე-17 თავი): „ყოველთა ღამის თევათა შემწუხრებითგან განთენებამდე ლოცვად, და ღამის თევათა წინადღით დღისა ჟამთა ყოველთა ლოცვად, და ჟამისწირვად ჟამსა ცხრა ჟამისასა, და კვერექსთა შემატებაჲ. ხოლო ჟამისწირვასა ყოველსა „წმიდაო ღმერთოსა“ წინა კვერექსი ზეცით გარდამოდ და კვირიაკეთა ჟამისწირვასა „წმიდაო ღმერთოდ“ ექვსი. და საკურთხეველისა მსახურებასა ფესვედითა სამოსლითა და ტყავითა არა იკადრებოდა მსახურებაჲ“ (მერჩულე, 951) (Galadza, 2019, p. 123).

რაც შეეხება საბას ლავრაში ლიტურგიის ენას, „საბა განწმენდილის ცხოვრებაში“ ჩვენ ვკითხულობთ, რომ სომეხი ქალკედონიტი ბერები მსახურობდნენ თავიანთ ენაზე, მაგრამ წირვის დროს უერთდებოდნენ ბერძნებს. ეს არის ერთ-ერთი მაგალითი, რომელიც ადასტურებს მულტილინგვური საზოგადოების არსებობას საბას ლავრაში (Galadza, 2019, p. 117).

მუსლიმთა დაპყრობების შემდეგ საბას ლავრა გახდა ბერძნულ-ბიზანტიური ინტელექტუალური აღორძინების ცენტრი პალესტინაში. ცხადია, რომ სირიულ- და არაბულენოვანი ბერები VII საუკუნეში საბას ლავრაში იმყოფებოდნენ. IX ან X საუკუნეებამდე პალესტინაში სირიული მსახურება აერთიანებდა არამეულად და არაბულად მოლაპარაკე ქრისტიან პალესტინელებს (Leeming, 2003, p. 241). თუმცა წმინდა საბას შესახებ სხვა ცნობების თანახმად, ისინი არ იყვნენ დაშვებული ლავრაში და სირიულ ენაზე არასდროს შესრულებულა წირვა საბას ლავრის სამონასტრო კომპლექსში. ამით შეიძლება აიხსნას სირიულ ენაზე შესრულებული ლიტურგიული ხელნაწერების სიმცირე, მონასტერში შესრულებული ტექსტების სირიულ ენაზე მნიშვნელოვანი თარგმანების მიუხედავად (Galadza, 2019, pp. 121-122).

IV საუკუნიდან მოყოლებული აბასიანთა პერიოდამდე (IX საუკუნე), პალესტინელი მელქიტებისთვის საღმრთო ლიტურგია ქრისტიანულ პალესტინურ არამეულ ენაზე მიმდინარეობდა. ადრეული ქრისტიანული არაბული ლიტერატურის არქივის მიხედვით, ამ პერიოდში შექმნილია „საეკლესიო წიგნები“, წმინდა წერილი, პატრისტიკული შრომები, ქადაგებები, წმინდანების ცხოვრება და აპოლიგეტური ტრაქტატები. არაბთა დაპყრობების შემდეგ, უკვე აბასიანთა პერიოდში, როდესაც დედაქალაქი გადავიდა ბაღდადში, პალესტინელი მელქიტები დაშორდნენ ბიზანტიას და დაიწყო არაბიზაციის პროცესი, ვინაიდან სახალიფოში არაბული ენა ოფიციალურ ენად გამოცხადდა (Griffith S. H., 1988, pp. 1-6). თუმცა მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ზემოხსენებული შრომები გამოიყენებოდა არა ღვთისმსახურებისთვის, არამედ მხოლოდ მეცნიერული თვალსაზრისით (Graf G., 1905, pp. 8-21); (Griffith S. H., 1985, pp. 126-167).

IX საუკუნიდან იწყება ქრისტიანული ლიტერატურის თარგმნა ბერძნული და სირიული ენებიდან არაბულ ენაზე, რაც ძირითადად განხორციელდა პალესტინასა და სირიაში მელქიტურ საზოგადოებაში. უნდა აღინიშნოს, რომ IX საუკუნეში პალესტინაში, წმინდა საბას ლავრაში, მელქიტები ცოცხალ სალიტერატურო ენად გამოიყენებდნენ არაბულ ენას, ამას მოწმობს ქართული ხელნაწერები, რომლებიც თარგმნილია არა ბერძნული, არამედ არაბული ვერსიებიდან (მაგ.: წმინდა საბას ლავრის ოცი წმინდანის წამება 797 წ.) (Griffith S. H., 1988, გვ. 14-15).

IV საუკუნიდან IX საუკუნემდე ორენოვანი ღვთისმსახურება დასტურდება საბას ლავრაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, არაბები ესწრებოდნენ სირიულენოვან ღვთისმსახურებას, ხოლო ძირითადი დღესასწაულებისა და გალობის დროს – ბერძნულ ღვთისმსახურებას (Leeming, 2003, გვ. 242).

ორენოვანობა აისახა ამ პერიოდის ხელნაწერებშიც, როგორცაა ფსალმუნები და სახარებები. მათში მოცემულია ორენოვანი, ბერძნული და არაბული ფსალმუნების ტექსტი, სადაც ბერძნული ასოებით ფონეტიკურად გადმოცემულია არაბული ტექსტი (Pigulevskaya, 1954, pp. 59-90).

IX საუკუნის ხელნაწერის აღმოჩენამ სინას მთაზე, წმინდა ეკატერინეს ტაძარში ცხადჰყო, რომ ამ პერიოდში არაბებს შესაძლოა საბას ლავრაში ჰქონოდათ თავიანთი ეკლესია, სადაც ღვთისმსახურება არაბულ ენაზე მიმდინარეობდა. ხელნაწერი მოიცავს საგალობლებს დიდი პარასკევის ღვთისმსახურებისთვის.

საბას ლავრაში საღმრთო ლიტურგიაზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს ლიტურგიული ხელნაწერები. წყაროები ადასტურებენ, რომ საბას დროსვე ლავრაში უკვე არსებობდა მნიშვნელოვანი ბიბლიოთეკა. XVIII საუკუნეში ხანძრის გამო ბიბლიოთეკის უმეტესი ნაწილი დაიწვა. ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ხელნაწერი, რომელიც საბას ლავრას უკავშირდება, არის IX საუკუნით დათარიღებული „ჰამნი“ (Horologion, Sinai Gr. 863), რომელიც შეისწავლა იოანე მათეოსმა. ასევე, უნდა აღინიშნოს კონდაკი, რომელიც შემორჩენილია ლექციონარში მხოლოდ ქართულ ენაზე (Sinai Geo. O 53; IX - X საუკუნეები). ლიდია პერრია ვარაუდობს, რომ გადაწერილია საბას ლავრაში ან ბეთლემში. იადგარი ბერძნულ და ქართულ ენებზე შექმნილია საბას ლავრაში (Galadza, 2019, pp. 125-130).

ლავრების ბიბლიოთეკებისა და არქივების არსებობაზე მკლევარი იაზჰარ ჰირთშფელდიც საუბრობს. იგი აღნიშნავს, რომ იუდეის უდაბნოს მონასტრებში ლიტერატურულ საქმიანობაზე ნაკლები მტკიცებულება არსებობს, მაგრამ კირილე სკვითოპოლელი „საბას ცხოვრებაში“ საუბრობს კალიგრაფის შესახებ დიდ ლავრაში. წიგნების გადაწერა ინტენსიურად მიმდინარეობდა ლავრებში, პალესტინაში მონასტრების შიგნით გამოსაყენებლად. ასევე, აღსანიშნავია ორიგინალური ნაშრომებიც, რომლებიც იქმნებოდა ლავრაში, მაგ.: კირილე სკვითოპოლელი,

რომელმაც თავისი შრომები საბას ლავრაში შექმნა. VI საუკუნეში, საბას ლავრის ერთ-ერთმა ბერმა დიდი როლი ითამაშა ორიგენელთა წინააღმდეგ დაპირისპირებაში, რომელიც მათ შესახებ წერილებს და ბროშურებს აგზავნიდა სხვადასხვა მონასტერში. ამ წერილების ანალიზმა აჩვენა, რომ იგი გამოიყენებდა ბევრ პატრისტიკულ და პოლემიკურ ლიტერატურაში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ პალესტინაში დიდ სამონასტრო კომპლექსებსა და ლავრებში არსებობდა ბიბლიოთეკები და არქივები (Hirschfeld, 1992, pp. 77-78).

1.5. საბას ლავრის ტიპიკონის შექმნა და მისი როლი ბიზანტიური

ლიტურგიის წესის განვითარებაში

საბას ლავრის წესები საბა განწმენდილის ცხოვრებაშივე შეიქმნა. კირილე სკვითოპოლელის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებიდან „საბას ცხოვრება“ ჩანს, რომ საბამ ლავრის ბერები დაიბარა სიკვდილის წინ და ბერ მელითას წერილობით გადასცა სამონასტრო ტრადიციები და სთხოვა მათი ხელშეუხებლად დატოვება (Scythopolis, 1991, p. 191); (Encyclopedia of Monasticism v. I, 2000, p. 1108). თუმცა იმ დროს არსებული სამონასტრო წესები, რომლებიც მოკლე შინაარსის იყო, განსხვავდება თანამედროვე პერიოდში არსებული საბაწმინდური სამონასტრო ტიპიკონისგან. თავდაპირველად ის მოკლე ცნობის სახით იყო, რომელიც შემდეგ სტუდიელთა წესებს შერწყა და წარმოიშვა საბაწმინდური ტიპიკონი.

ჯეიმს თომასი აღნიშნავს, რომ ტიპიკონი და სამონასტრო ანდერძები ერთად ცნობილია, როგორც ბიზანტიური სამონასტრო სადამფუძნებლო საბუთები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულებებია ბიზანტიური ბერმონაზვნური ინსტიტუციის ისტორიაში VII საუკუნიდან XV საუკუნემდე. იგი აღნიშნავს, რომ საბაწმინდურ ტრადიციას დიდი გავლენა ჰქონდა ბიზანტიის მონასტრებზე და ეს დადასტურებულია ამ ტექსტებით. სვიმეონ სალონიკელი (1429 წ. გარდაიცვალა), ამტკიცებდა, რომ ბიზანტიურ ლიტურგიას შესაძლოა სათავე ჰქონდეს პალესტინური ბერმონაზვნობიდან, რომელიც ხარიტონმა განავითარა. V საუკუნეში წეს-განგება ზეპირად ჯერ ექვთიმეს და იმავე საუკუნეში საბას გადაეცა. გადაცემის ასეთი ქრონოლოგია არ არის დადასტურებული. სვიმეონი, ასევე, ამტკიცებდა, რომ

წმინდა საბას წესები დაიკარგა 614 წ. სასანიანთა შემოსევების დროს, მაგრამ მისი ხელახალი ფორმულირება მოხდა იერუსალიმის პატრიარქ სოფრონეს (634-638 წ.) და იოანე დამასკელის (VIII საუკუნე) მიერ. ეს მტკიცება დამაჯერებელია, მას შემდეგ, რაც გადარჩენილ ხელნაწერში ტიპიკონის ავტორად სოფრონე არის აღწერილი და იოანე დამასკელი განიხილება, როგორც საბას ლავრის ბერი. აღნიშნული მოსაზრება შეიძლება არ გამოირიცხოს (Thomas, 2001, pp. 72-75); (Patrich, 1995, p. 273).

იმისათვის, რომ უკეთ წარმოჩინდეს ტიპიკონის შექმნის ისტორია, აუცილებელია ბიზანტიური ლიტურგიის პერიოდიზაციის განხილვა, რომელსაც რობერტ ტაფტი წარმოგვიდგენს:

1. პალეო-ბიზანტიური პერიოდი (ძვ. IV ს-მდე) – ადრეული ქრისტიანული ეკლესიის ფორმირების ეტაპი, როცა ლოცვის ტრადიციები ჯერ კიდევ არ იყო დაწერილი, მაგრამ უკვე ებრაულ ღვთისმსახურებას ეყრდნობოდა. ებრაული ლოცვის პრაქტიკას დაამატეს ღმრთისმსახურების ლოცვა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა რვა ლოცვა, დღიური ლოცვის სტრუქტურა, რომელიც საფუძვლად დაედო მომავალ ტიპიკონებს. გამოჩნდა განსხვავება მონასტრულსა და საეკლესიო (კათედრალურ) ლოცვას შორის: მონასტრულში შედის ფსალმუნების დიდი რაოდენობა და ღმრთისმსახურება, ხოლო კათედრალურში – ერთობლივი და მოკლე (Taft, 1992, pp. 18-19).

2. იმპერიული პერიოდი (დაახლოებით IV–VII სს.) – ქრისტიანული ლიტურგია ფუნდამენტურად იცვლება. ებრაული ტრადიციის გავლენით, განცალკევებით ლოცვას ამ პერიოდში ცვლის საზეიმო, საჯარო ღვთისმსახურება. 313 წლის მილანის ედიქტით გამოცხადდა ქრისტიანობის თავისუფალი აღმსარებლობა, რის შემდეგაც იწყება ეკლესიების აშენება და ლოცვების ორგანიზება დიდ ტაძრებში. კონსტანტინოპოლი, როგორც ახალი დედაქალაქი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცენტრი ხდება და მისი მთავარი ტაძარი, ჰაგია სოფია (აგებული 537 წელს), იმპერიული ლიტურგიის ეტალონად იქცა. ტარდება ყოველდღიური საღამოს და დილის ლოცვები, ხოლო ევქარისტია ძირითადად – კვირას და დღესასწაულებზე. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ანტიფონები და ტროპარიონი, რაც შემდგომში მთელ ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიას უდებს საფუძველს. ლოცვის სტრუქტურაც თანდათან სისტემატიზდება. ამ პერიოდმა მკაფიოდ გამოიწვნა კათედრალური და მონასტრული

ტრადიციები. კათედრალური მსახურება ხასიათდებოდა საზეიმო ფორმითა და ერთობლივი ლოცვით, ხოლო მონასტრული – ფსალმუნების სრული ციკლის წაკითხვითა და ღამის ლოცვებით. ბასილი დიდის გავლენით მონასტრული ლოცვის ელემენტები შემოდის ქალაქურ მსახურებაშიც, მათ შორის შუაღამის ლოცვა. საბოლოოდ, ამ პერიოდში შეიქმნა ლოცვის ყოველდღიური ციკლი (Taft, 1992, pp. 18-19).

3. ხატმებრძოლობის შემდგომი პერიოდი (843 წლიდან) – ამ ეტაპზე მონასტრები წარმოადგენს ეკლესიის სულიერ ცენტრს, ლოცვა კი მკაცრად რეგულირებული ასკეტური პრაქტიკაა. განსაკუთრებული როლი აქვს კონსტანტინოპოლის სტუდიელთა მონასტერსა და მის იღუმენს, წმ. თეოდორე სტუდიელს. ის აწესებს ლოცვის საერთო წესს, რომელშიც პალესტინური ფსალმუნების ციკლი შერწყმულია კონსტანტინოპოლურ ლიტანიებსა და საგალობლებთან. იქმნება ჰიმნოგრაფიული წიგნები (ტროპოლოგიონი, ტრიოდioni, მენაიონი), რაც ლიტურგიას შინაარსობრივად ამდიდრებს. ამავე პერიოდში იწერება პირველი ლიტურგიული ტექსტები, რაც შემდგომ ტიპიკონის ჩამოყალიბებას უდებს საფუძველს. სტუდიელთა ტიპიკონი ვრცელდება ათონის მთასა და რუსეთში (Taft, 1992, pp. 18-19).

ჩვენთვის ცნობილია, რომ ბიზანტიის სამონასტრო რეფორმატორმა თეოდორე სტუდიელმა მისწერა იერუსალიმის პატრიარქს (807-821) თხოვნით, გამოეგზავნა ბერები საბაწმინდური საგალობლების წარსადგენად. მხოლოდ ეს ასპექტი იყო, სადაც ჩანს პალესტინური წყაროების, ინსტიტუციის და მსახურების გავლენა თეოდორეს სამონასტრო რეფორმებზე. სტუდიელთა ტიპიკონის ფორმირება, რომელიც 842 წლამდე არ იყო წერილობითი სახით წარმოდგენილი, ლიტურგიის მკვლევართათვის იყო მთავარი მოვლენა ლიტურგიაში ბიზანტიური მიმართულების ისტორიულ განვითარებაში, რომელსაც სავარაუდოდ, საბაწმინდური ტიპიკონის (VII და VIII საუკუნეები) და ჰაგია სოფიას საკათედრო ტაძრის ადრეულმა ვერსიებმა შეუწყო ხელი. XI და XII საუკუნეებში წმინდა საბას მონასტერს და პალესტინის სხვა მონასტრებს გააჩნდათ სტუდიელთა ტიპიკონის ადაპტირებული ელემენტები, რომლებმაც მიიყვანა ე. წ. ნეო-საბაწმინდურ მიმართულებამდე (Taft, 1992, p. 75).

4. ნეო-საბაწმინდური სინთეზი (XIII–XV სს.) – პერიოდი, როცა სტუდიელთა ტიპიკონი გადამუშავდა. კონსტანტინოპოლის ზეგავლენით, განსაკუთრებით ხალიფა ალ-ჰაქიმის მიერ ქრისტიანული წმინდა ადგილების დარბევის (1009 წ.) და ჯვაროსნული ომების შემდეგ, აღმოსავლეთის საპატრიარქოებმა, მათ შორის პალესტინამ, დატოვეს თავიანთი ადგილობრივი ტრადიციები და მიიღეს ბიზანტიური წესი. პალესტინურ მონასტრებში დანერგეს სტუდიელთა სვინაქსარი და კონსტანტინოპოლური ლექციონარი, რაც ტიპიკონის ისტორიაში ახალ ეტაპად იქცა. ამ პერიოდში პალესტინურ მონასტრებში სტუდიელთა წესი ადგილობრივ პრაქტიკას შეერწყა და გაჩნდა ნეო-საბაწმინდური სინთეზი, რომლის ცენტრიც იყო წმ. საბას ლავრა. ეს ის პერიოდია, როდესაც საბაწმინდური ტიპიკონი იქმნება. მისი მთავარი მახასიათებელი იყო ღამისთევის მსახურება და ფსალმუნები. ნეო-საბაწმინდური ტიპიკონი გავრცელდა ათონის მთაზე და საბოლოოდ ჩაანაცვლა სხვა წესი. XIV საუკუნიდან ზემოხსენებული ტიპიკონი ყველაზე გავრცელებული გახდა მართლმადიდებლურ სამყაროში, ხოლო XV ს.-ის ბოლოს რუსეთშიც იკავებს მთავარ ადგილს, რაც საფუძველს უყრის თანამედროვე ტიპიკონს (Taft, 1992, pp. 18-19).

ჩვენამდე შემორჩენილი საბაწმინდური ტიპიკონი XII საუკუნით თარიღდება. ამასთან დაკავშირებით დანიელ გალაძა აღნიშნავს, რომ ყველაზე ადრინდელი დათარიღებული ტიპიკონი XII საუკუნისაა. ტიპიკონი დაცულია 1096-ე ხელნაწერში წარმოშობით სინადან და შედის „საბაწმინდის ლავრის ყოველდღიური მსახურების“ კოლექციაში. ამ კოდექსის სათაური არის „საეკლესიო მსახურების ტიპიკონი ჩვენი ღირსი მამისა, საბას ლავრისა იერუსალიმში“. ხელნაწერში აღწერილია საბას ლავრის ლიტურგიული მსახურება, დრო, სხვა საღვთისმსახურო ასპექტები და ყოველდღიური ცხოვრება მონასტერში. ხსენებულ ხელნაწერში ნათლად ჩანს, რომ ტიპიკონი განკუთვნილი იყო საბას ლავრაში გამოსაყენებლად. საბაწმინდის სამონასტრო ტიპიკონი გავრცელდა სხვა მონასტრებშიც, როგორიცაა მონასტერი სინას მთაზე. ამას ადასტურებს მეორე ყველაზე ადრეული ბერძნული ხელნაწერი, რომელიც ასევე სინური წარმოშობისაა (ხელნაწერი 1097, დათარიღებული 1214 წლით, ალექსეი დმიტრიევსკის მიხედვით, ტიპიკონის სინური რედაქცია) (Galadza, 2019, pp. 126-127).

ალექსეი დმიტრიევსკი თავის ნაშრომებში აღნიშნავს საბაწმინდური ტიპიკონის 5 ხელნაწერის შესახებ, რომელიც თარიღდება XII და XIII საუკუნეებით. მათი კლასიფიცირება მოხდა, როგორც იერუსალიმური რედაქცია, და სხვა 119 ტიპიკონი ეკუთვნის XIII–XVI საუკუნეებს, რომელთა კლასიფიცირება მოხდა, როგორც იერუსალიმურ-კონსტანტინოპოლური რედაქცია. ხელნაწერების ეს ტრადიცია ამტკიცებს, რომ საბაწმინდური ლიტურგიის ტრადიციას ბიზანტიური მიმართულების განვითარებაში მთავარი როლი მიუძღვის (Thomas, 2001, p. 74).

5. თანამედროვე პერიოდი (XVII საუკუნიდან დღემდე) – იწყება იმ მომენტიდან, როცა ტიპიკონი იბეჭდება. პირველი ბეჭდური ტიპიკონი გამოიცა ვენეციაში 1545 წელს და 1610 წლიდან გავრცელდა მოსკოვში. ამან შესაძლებელი გახადა ტიპიკონის სტანდარტიზაცია, რაც მანამდე ხელნაწერ ტექსტებზე იყო დამოკიდებული. XVII საუკუნეში რუსეთში განხორციელდა საეკლესიო რეფორმები, განსაკუთრებით ცნობილი ნიკონის რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავდა ბერძნულთან შესაბამისობის აღდგენასა და ლიტურგიული წესების ერთგვაროვნებას. ამ დროიდან საბაწმინდური ტიპიკონი ოფიციალურად მტკიცდება, როგორც მართლმადიდებლური ტიპიკონის უნივერსალური სტანდარტი, განსაკუთრებით რუსულ ეკლესიაში. ამავე პერიოდში, პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, ტიპიკონის შემოკლებაც იწყება. XIX–XX საუკუნეებში ტიპიკონი შენარჩუნებულია, როგორც სამონასტრო ღვთისმსახურების ძირითადი წიგნი, თუმცა ზოგიერთ ადგილობრივ ეკლესიაში, განსაკუთრებით, ქალაქებში მისი გამოყენება ოდნავ სახეცვლილია. ამავდროულად, ბევრი ეკლესია უბრუნდება ტიპიკონის სიღრმისეულ შესწავლასა და აღდგენას - განსაკუთრებით, ათონის მთასა და სხვა მონასტრებში. დღეს ტიპიკონი წარმოადგენს ცოცხალი ღვთისმსახურების წიგნს, რომელიც განსაზღვრავს საეკლესიო წლის მიმდინარეობას, დღესასწაულების განლაგებას, ფსალმუნებისა და ჰიმნოგრაფიის განრიგს. მისი მნიშვნელობა არ შემცირებულა, ის დღემდე რჩება მართლმადიდებლური ლიტურგიის პრაქტიკულ წესად ⁹.

⁹ თანამედროვე მკვლევარი ალექსანდრ ანდრეევი ტაფტის პერიოდიზაციას ამატებს ბოლო, თანამედროვე პერიოდს.

1.6. საბას ლავრის გავლენა მწიგნობრულ საქმიანობაზე და საბაწმინდური წეს-ჩვეულება რომში

საბას ლავრა წარმოადგენდა მშვიდ, იზოლირებულ ადგილს, სადაც მლოცველები ტრადიციული წესით ლოცულობდნენ და ქრისტიანულ ცოდნას იღებდნენ. მაგალითისთვის, იოანე დამასკელი (წარმოშობით სირიელი), საბას ლავრის ბერი VIII საუკუნეში, ერთ-ერთი გამორჩეული მეცნიერია, რომელმაც შექმნა თეოლოგიური ნამუშევრები. დაახლოებით მის 150 ნაშრომს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არის „ცოდნის წყარო“, რომელიც ქრისტიანული ფილოსოფიისა და დოქტრინის სინთეზია. მან გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების ლათინური მიმართულების აზროვნებაზე და გახდა მართლმადიდებლური თეოლოგიის ძირითადი სახელმძღვანელო.

იოანე დამასკელმა თავისი ძირითადი შრომები შექმნა საბას ლავრაში, როდესაც თავი შეაფარა ხატმებრძოლებისგან გამოწვეულ არეულობას. 726 წ. იერუსალიმის პატრიარქმა ის საბას ლავრაში ბერად აკურთხა. საბას ლავრის ბერის ანტიოქეს ნაშრომებმა მის შემოქმედებაზე გავლენა იქონია. ხშირად საუბრობენ იმ საკითხზე, რომ იოანეს შრომები მოკლებულია ორიგინალურობას და ისინი წინა ავტორების შრომების ფრაგმენტებია, თუმცა უნდა აღინიშნოს მისი საგალობლები, რომლებიც სავსეა ბიბლიური და სამოძღვრო შინაარსით (Potter, 1959, pp. 435-42).

ენდრიუ ლაუთი აღნიშნავს, რომ იოანე დამასკელი, როგორც საბას ლავრის ბერი, იყო არა უბრალოდ მწერალი, არამედ ბიზანტიური ღვთისმეტყველების სისტემატიზატორი, რომელმაც მწიგნობრული საქმიანობით შექმნა დაცული (ძველი ეკლესიის მამების ტრადიციის შენარჩუნება), დამუშავებული (გააერთიანა ტექსტები) და პრაქტიკულად გამოყენებადი თეოლოგიური ტრადიცია. მისი მოღვაწეობა აჩვენებს, რომ მონასტერი შეიძლება იქცეს არა მხოლოდ სალოცავად, არამედ ინტელექტუალურ ცენტრად (Louth, 2005, pp. 396-398).

აღსანიშნავია, რომ ქალკედონური მიმართულების სამღვდელოება აღმოსავლეთში მჭიდროდ იყო დაკავშირებული კონსტანტინოპოლთან და რომთან. V საუკუნეში იმპერატორმა იუსტინიანემ ჩამოაყალიბა რომის კანონმდებლობა (იუსტინიანეს კოდექსი), რომლის მიხედვითაც ერთ-ერთი მიზანი იყო არაქალკედონიტებთან

ბრძოლა. უკანასკნელთა საკითხის გადაჭრის მიზნით ჩატარდა 5 კრება კონსტანტინოპოლში და ერთი იერუსალიმში, სადაც დაიგმო ორიგენეს, არიანელებისა და სხვა მწვალებლობები. აღსანიშნავია, რომ არაქალკედონიტებმა (მონოფიზიტებმა) ჩამოაყალიბეს ეკლესია, მაგალითისთვის სირიული ეკლესია ახლო აღმოსავლეთში და, შესაბამისად, თანაცხოვრობდნენ ქალკედონიტურ ეკლესიასთან. როგორც კონსტანტინოპოლის სინოდის ატქები მოწმობს, ახლო აღმოსავლეთის ეკლესიის ბერებმა მონაწილეობა მიიღეს ზემოხსენებულ სხდომებში. ისინი, ფაქტობრივად, იქ ცხოვრობდნენ და მთავარი გავლენა მოახდინეს სინოდის გადაწყვეტილებებზე (Millar, 2008, pp. 62-82).

ასევე უნდა აღინიშნოს საბაწმინდელი ბერების გავლენა რომშიც. ისლამური დაპყრობების შემდეგ საბას ლავრის ბერებმა თავი შეაფარეს რომს და დააარსეს სავანე, სადაც განამტკიცეს საბას წეს-ჩვეულება. სან საბა VIII და IX საუკუნეებში იყო ერთ-ერთი პრესტიჟული ბერძნული მონასტერი რომში. XVI საუკუნეში ის იეზუიტებს გადაეცა.

1.7. ლიტურგიული ლიტერატურის არაბული თარგმანები

არაბთა დაპყრობების შემდეგ არაბიზაციის პროცესი აქტიურად დაიწყო და არაბულ ენაზე ინტენსიურად ითარგმნებოდა სხვადასხვა შრომა და იქმნებოდა ორიგინალური ნაშრომებიც, მათ შორის, ითარგმნა ლიტერატურა სხვადასხვა დარგში, როგორიცაა ფილოსოფია, მედიცინა და სხვ. ფაქტია, რომ ქრისტიანული არაბული სამყარო ჩამოსცილდა მთავარ საყრდენს, ბიზანტიას, მიუხედავად ამისა, VII საუკუნიდან მელქიტურ საზოგადოებაში არაბიზაციის პროცესთან ერთად დაიწყო ბიზანტინიზაციის პროცესიც და ეს პროცესები დასრულდა XVII საუკუნეში. ამ პერიოდში შეიქმნა დიდი სასულიერო ლიტერატურა, მათ შორის ლიტურგიული, რომლითაც დგინდება ორენოვნება ღვთისმსახურებაში. აღსანიშნავია რამდენიმე ლიტურგიული ნაშრომი, როგორიცაა ტიპიკონი, ბიბლია, წმინდანების კალენდარი და სხვ., რომელთაც მნიშვნელოვანი როლი მიუძღვით მელქიტური ლიტურგიული ლიტერატურის განვითარებაში.

ა) საბაწმინდური ტიპიკონის არაბული თარგმანები

საბაწმინდური ტიპიკონი მრავალ ენაზე ითარგმნა, მათ შორის არაბულზე. არაბული ტიპიკონების სხვადასხვა ვერსიის გამო მონასტრებში განსხვავებული წესები არსებობდა. ლიტურგიული ტექსტების თარგმნამ სისტემატური სახე მიიღო XVIII საუკუნიდან. მელქიტებმა IX საუკუნიდან დაიწყეს არაბული ენის ათვისება და მისი გამოყენება, როგორც საეკლესიო ენისა. სინას ახლად აღმოჩენილ ხელნაწერებში შედის ლიტურგიული შრომები, მათ შორის, არაბული ტიპიკონებიც, რომლებიც თარიღდება XIII - XV საუკუნეებით.

აღსანიშნავია, რომ არაბული ტიპიკონის თარგმნა არა ცენტრალიზებული, არამედ ინდივიდუალური პროცესი იყო, შეიძლება ითქვას, ცალკეული ბერების ინიციატივა. ამ საკითხზე საუბრობს მარტინ ლუსთრეთენი და აღნიშნავს, რომ სხვადასხვა მონასტერში ერთი და იმავე ნაშრომის პარალელური თარგმანები არსებობდა, შესაბამისად, არსებობდა ნაშრომების რამდენიმე ვერსია. იგი ხაზს უსვამს, რომ პატრიარქები არ იყვნენ ამ საქმეში ჩართულნი. მონასტრები თვითონ წყვეტდნენ, როგორ ეთარგმნათ ბიზანტიური ლიტურგიული წიგნები, გადაეწერათ და გაეცვალათ ისინი (Lüstraeten, 2021, p. 7). ბუნებრივია, მრავალი დიდი წიგნთსაცავი შეიქმნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია პალესტინა, ასევე, სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერი, სადაც განსხვავებული კულტურის მატარებელი და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ბერები ცხოვრობდნენ. თუ კონკრეტულ შემთხვევაში რომელიმე კულტურის / ენის წარმომადგენელი უმეტეს ნაწილს წარმოადგენდა, მაშინ ღვთისმსახურება მათ ენაზე მიმდინარეობდა. იოსებ ნასრალლა აღნიშნავს, რომ ხელნაწერები მრავლად იწერებოდა, მაგრამ, მონასტრების მდგომარეობიდან გამომდინარე, ბევრი მათგანი განადგურდა (Nasrallah, 1981, pp. 80-82).

ყველაზე ადრეული არაბული ტიპიკონი XIII საუკუნით თარიღდება და შედის სინას ხელნაწერში № 265. ზოგიერთი ტიპიკონი, როგორიცაა Sbath 76, Sinai ar. 267 ორენოვანია: არაბული და სირიული. ზოგი მათგანი გადაწერილია, მაგ.: მარ ელიას შვაია 34, რომელიც წარმოადგენს Sinai ar. 264-ის ასლს.

არაბულ ენაზე არსებული ტიპიკონები თარგმნილია ბერძნულიდან ან სირიულიდან. თუმცა მათი ტექსტები დროთა განმავლობაში შეიცვალა და განახლდა.

სწორედ ამიტომ ბერძნული და სირიული ორიგინალური წყაროების ზუსტი დადგენა ხშირად რთულია. საბაწმინდური ტიპიკონების ერთ-ერთი მახასიათებელი სათაურში წმინდა საბასა და მისი ლავრის მოხსენიებაა (Lüstraeten, 2021, pp. 1-2).

XVII საუკუნის საბას ლავრის ტიპიკონის თარგმანი შესულია ლიბანური წარმოშობის არაბულ ხელნაწერში, რომელიც ბალამანდის მონასტრიდან მომდინარეობს (Ms. Balamand 94). 1612 წ. ალექსოს მიტროპოლიტმა მელეეთიოს ქარმამ თარგმნა ბერძნული ენიდან არაბულ ენაზე. მელეეთიოს ქარმამ 1612 წ. არაბული ტიპიკონის შესავალში აღნიშნა არასისტემატური პროცესისა და სხვადასხვა ვარიანტის არსებობის შესახებ. იგი ამბობს, რომ მონასტრებში განსხვავებული წესების არსებობის გამო საბაწმინდური ტიპიკონი ერთიანი წესის დასამკვიდრებლად თარგმნა. ზემოხსენებული საკითხი უფრო დაწვრილებითაა განხილული მომდევნო თავებში.

ასევე, აღსანიშნავია ჰამატურის მონასტრის (აგრეთვე ლიბანში) ხელნაწერი № 46, რომელიც დათარიღებულია 1692 წლით. იგი შედგება 187 გვერდისგან და დაწერილია ნუსხური ხელწერით.

ბ) ბიბლიის არაბული ვერსიები

ბიბლიის მრავალი არაბული ვერსია არსებობს, რომლის თარგმანებიც შესრულებულია სხვადასხვა ენიდან. XIX-XX საუკუნეებში არაბული ბიბლიის შესწავლა აქტიურად დაიწყო. თავდაპირველად, XIX საუკუნის შუა რიცხვებში არსებობდა ვერსია, რომ არაბული ბიბლია დაფუძნებულია ლათინურ ტრადიციაზე, ხოლო შემდეგ, XX საუკუნიდან, არაბული ბიბლიის შესწავლისას მეტი ყურადღება გამახვილდა პრე-ისლამური პერიოდის არაბული თარგმანის აღმოჩენაზე იმისთვის, რომ ეკამათათ სრულიად არაბიზებული ქრისტიანების არსებობაზე პრე-ისლამურ ხანაში (Schulthess, 2012, pp. 520-22).

საკითხის საფუძვლიანი შესწავლა სამირ ხალილ სამირმა 1980 წლიდან დაიწყო. ყველაზე მნიშვნელოვანი მონოგრაფია ამ საკითხთან დაკავშირებით შექმნა ჰიქმათ ქაშუმა – „სახარებების არაბული ვერსიები“. ავტორმა VIII-XIX საუკუნეებში ასობით

გადაწერილი ბიბლიის ვერსიებიდან ამოიღო რვა პასაჟი, შეადარა ერთმანეთს და დააჯგუფა. მან, ასევე, სხვადასხვა ენიდან ნათარგმნი ბიბლიის ვერსიები შეადარა ერთმანეთს შესაბამისი ორიგინალის დასადგენად. ხელნაწერები სხვადასხვა წიგნიდაა, როგორც მთლიანი ბიბლია, ასევე ლექციონარებიცაა შესული. შეიძლება ითქვას, რომ სინური ხელნაწერის № 264 მთარგმნელმა გამოიყენა ბიბლიის ყველაზე გავრცელებული ე. წ. ალექსანდრიის ვულგატა, რომელიც ეყრდნობა სირიულ ან ბერძნულ ორიგინალს და შემდეგ შესწორებულია ბიბლიის კოპტური ვერსიის მიხედვით (Lüstraeten, 2021, p. 9).

ჩვენამდე არ მოუღწევია ბიბლიური ტექსტების არც ერთ არაბულ თარგმანს, რომელიც შესრულებული იქნებოდა ისლამამდელ ეპოქაში. ზოგიერთი მეცნიერი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ასეთ თარგმანებს უნდა ეარსება. ეს სადავო საკითხი ბევრი მკვლევრისთვის ინტერესის სფერო აღმოჩნდა, თუმცა მათი აზრები ხანდახან ურთიერთგამომრიცხავია (Massignon, 1997, p. 89). VIII-IX სს.–მდე ბიბლიის არაბული თარგმანები, თუ კი ისინი არსებობდა, შეიძლება მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათისა ყოფილიყო. ეს ფრაგმენტები იქნებოდა ლიტურგიისათვის აუცილებელი ტექსტები, მაგალითად, ძველი აღთქმიდან – ფსალმუნები, რაც დაადასტურა კიდევ ბრუნო ვიოლეტის უდიდესმა აღმოჩენამ. მან დამასკოში, ომაიანთა მეჩეთში მიაკვლია ხელნაწერს, რომელიც შეიცავს 78–ე ფსალმუნის 20–61 მუხლებს როგორც ბერძნულად, ასევე არაბულად, თუმცა ეს უკანასკნელიც ბერძნული ასოებითაა ჩაწერილი და ზედმიწევნითაა ნათარგმნი პარალელური ბერძნული ტექსტიდან. ბრუნო ვიოლეტმა როგორც ბერძნული, ასევე არაბული ტექსტის თავისებურებათა გათვალისწინებით დაასკვნა, რომ ფრაგმენტები განეკუთვნება VIII ს.–ის ბოლოს. ეს მოსაზრება საყოველთაოდაა გაზიარებული ყველა მეცნიერის მიერ (Violet, 1902, p. 429).

გ) წმინდანებისა და ახალმოწამეების კალენდარი არაბულ ენაზე

ისლამის გამოჩენასთან და გავრცელებასთან ერთად ქრისტიანების უფლებები და თავისუფალი ყოფა შეიზღუდა. ზოგიერთმა მელქიტმა ისლამი მიიღო და შემდგომ ისევ ქრისტიანობას დაუბრუნდა, რაც ნიშნავს რელიგიისგან განდგომას და,

შესაბამისად, მსგავსი ქმედება სიკვდილით ისჯებოდა. ამ მიზეზით VII საუკუნიდან XI საუკუნემდე მუსლიმთა თავდასხმებს ვინც შეეწირა, მათ მოწამეები ეწოდათ.

მელქიტი წმინდანების ცხოვრება და მათი ხსენების დღე აღნიშნულია კრებულში – სვინაქსარი, განსხვავებით ტიპიკონისაგან, სადაც ხსენებულ დღეს ღვთისმსახურების წესია აღწერილი. მელქიტურ სვინაქსარში წმინდანების კალენდარი შეისწავლა იოსებ მარი სოჟემ თავის ნაშრომში „Premières Recherches sur l’Origine et les Caractéristiques des Synaxaires Melkites“, სადაც ერთმანეთს ადარებს სხვადასხვა პერიოდის (XI და XVIII საუკუნეები) 19 მელქიტურ სვინაქსარს. მან დაასკვნა, რომ ყველა დამუშავებული სვინაქსარი გადაწერილია და გავრცელებული ერთი და იმავე არქეტიპიდან, ხოლო ორიგინალი არის XI საუკუნის ბიზანტიური სვინაქსარის თარგმანი. თუმცა იგი მოიცავს ისეთ წმინდანებს, რომლებიც არ არის ხსენებული ბიზანტიურ სვინაქსარში (Sauget, 1969, pp. 40-171).

აღსანიშნავია, რომ მელქიტურ სვინაქსარში არსებული ახალმოწამეების ხსენება არ არის შეტანილი არაბულ ტიპიკონში. ამას აქვს შემდეგი ახსნა, რომ სვინაქსარის ტრადიცია ცალკე, დამოუკიდებლად განვითარდა, ხოლო ტიპიკონი – ცალკე. მეორეს მხრივ, შესაძლოა, უარყოფილ იქნა ლიტურგიული რეფორმის გატარება და არაბულმა ტიპიკონმა უფრო მეტი მელქიტური პრაქტიკა შეინარჩუნა. სინამდვილეში, ტიპიკონი ნაკლებად გავრცელებული იყო, ვიდრე სვინაქსარი. არაბული ტიპიკონის ხელნაწერებში სულ მცირე ერთი ხელნაწერი მაინც არის გადაწერილი წმ. ეკატერინეს ტაძარში სინას მთაზე და შესაძლოა ემსახურებოდა კონსერვატული არაბული ტიპიკონის ტრადიციის გამრავლებას. ახალმოწამეები არ არიან ხსენებული კონსტანტინოპოლურ სვინაქსარში, შესაბამისად, არც ბიზანტიურ ღვთისმსახურებაში, რაც მელქიტებს გამოჰყოფს ბიზანტიის ეკლესიისა და იმპერიისგან. თუმცა აღსანიშნავია, რომ არა მხოლოდ მელქიტი ახალმოწამეების ხსენება არის უგულებელყოფილი, არამედ სხვა მნიშვნელოვანი მოვლენებიც, როგორიცაა სარკინოზების წინააღმდეგ გამარჯვება 16 აგვისტოს, რომელიც ნახსენებია მელქიტურ და კონსტანტინოპოლურ სვინაქსარებში, მაგრამ არა მელქიტურ ტიპიკონში (Lüstraeten, 2021, p. 13).

დასკვნა

შეიძლება ითქვას, რომ IV–V საუკუნეები ქრისტიანობის ისტორიაში მისი დოქტრინის ჩამოყალიბების პერიოდია. ამავე პერიოდში მსოფლიო საეკლესიო კრებების შედეგად ჩამოყალიბდა სხვადასხვა საკითხი, თუმცა მოხდა განხეთქილებაც ქრისტოლოგიური ფორმულირების გამო. ამან გამოიწვია განხეთქილება დიოფოზიტებსა და მონოფიზიტებს შორის.

მიმდინარე მოვლენების ფონზე, ეგვიპტეში, პალესტინასა და სირიაში ნელ-ნელა ყალიბდება და ვითარდება ბერმონაზვნობა. კენობიური საზოგადოების გაფართოებასთან და განვითარებასთან ერთად, იქმნება რეგულაციები წესრიგის და განრიგის დასაცავად. ასეთი რეგულაციები შეიქმნა პახომის, ბასილისა და პალესტინის ბერმონაზონთა შორის. აღსანიშნავია, რომ პალესტინის სამონასტრო საზოგადოებაში ჩამოყალიბდა ლავრული სახეობაც და მას ხელმძღვანელობდა წმინდა საბა. დიდი ლავრის აშენების შემდეგ ლავრის საზოგადოება უფრო გაფართოვდა და საჭირო გახდა წერილობითი წესების ჩამოყალიბება, რაც საბა განწმენდილმა ჩამოაყალიბა თავის სიცოცხლეში.

საბას ლავრის ტიპიკონი ბიზანტიური მონასტრული ტრადიციის ჩამოყალიბებაში ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილად უნდა ჩაითვალოს. იგი არ წარმოადგენს მხოლოდ სამონასტრო ცხოვრებისთვის საჭირო პრაქტიკულ წესებს, არამედ მისი ტექსტი გამოხატავს სისტემატიზებულ და ღრმად გააზრებულ ლიტურგიულ-სულიერ ხედვას. ამ მხრივ, ტიპიკონი ფუძემდებელ როლს ასრულებს იმ მოდელის ფორმირებაში, რომელმაც მოგვიანებით გავლენა იქონია ათონის, კონსტანტინოპოლის, სლავური და ქართული მონასტრული პრაქტიკების სტრუქტურაზე.

არაბთა დაპყრობების შემდეგ არაბული ენა გახდა როგორც სამწერლობო, ასევე ზეპირმეტყველების ენა. არაბული ენის, როგორც საეკლესიო ენის გამოყენება VIII საუკუნიდან მელქიტურ საზოგადოებაში დაიწყო. მას შემდეგ, რაც სახალიფოს დედაქალაქი გადავიდა ბაღდადში, აღმოსავლეთის საპატრიარქოები იზოლირებულნი აღმოჩნდნენ ბერძნული სამყაროსგან და, შესაბამისად, ბერძნული ენაც, როგორც ლიტურგიის ენა, ნელ-ნელა ჩაანაცვლა არაბულმა. ზემოხსენებულ

მიზეზთა გამო დადგა საჭიროება, რომ თარგმნილიყო ტიპიკონი არაბულ ენაზე. არაბული ტიპიკონის თარგმანი არ იყო ცენტრალიზებული პროცესი და პატრიარქები არ იყვნენ ამ საქმეში ჩართულნი. ყველაზე ადრეული არაბული თარგმანი XIII საუკუნით თარიღდება.

II თავი

სოციალური, პოლიტიკური და კულტურული პროცესები XVII

ს. სირიაში

არაბულენოვანი ქრისტიანული საზოგადოება იმ სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური პროცესების ნაწილი იყო, რომელიც ახლო აღმოსავლეთში VII საუკუნიდან მიმდინარეობდა. ამ ფართო პროცესის ფონზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ქრისტიანული კულტურის, კერძოდ, ლიტურგიული პრაქტიკის ადგილობრივ რეალობასთან ადაპტაციამ. მელქიტებისთვის, რომელთაც ბიზანტიური საეკლესიო ტრადიცია აერთიანებდა, აუცილებელი გახდა საკულტო ტექსტების და წესების მათთვის გასაგებ (მშობლიურ) ენაზე გადმოტანა. ეს არა მხოლოდ ენობრივი გარდაქმნა, არამედ ღრმა კულტურული და იდენტობის დაცვის პროცესიც იყო.

ლიტურგიული ტიპიკონის არაბულ ენაზე თარგმნა ამ მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი გამოვლინება იყო. იგი მჭიდროდ უკავშირდება იმ ინტელექტუალურ აღორძინებას, რომელიც მელქიტურ საზოგადოებაში XVII საუკუნიდან დაიწყო. ლიტურგიის ბიზანტიური ტრადიციის შინაარსობრივი შენარჩუნება არაბული ტიპიკონის სახით და მისი ადაპტაცია ადგილობრივ კულტურულ სივრცესთან, რელიგიური და ადმინისტრაციული ზეწოლის მიუხედავად, წარმოადგენდა მცდელობას, ქრისტიანული ცხოვრების წესი გაგრძელებულიყო ახალ რეალობაში.

ამ პროცესის კვლევა გვამღევს საშუალებას, უკეთ გავიაზროთ, როგორ უპასუხა არაბულენოვანმა მართლმადიდებელურმა ეკლესიამ ისტორიულ პროცესებს და როგორ იქცა ლიტურგიული ტექსტების თარგმნა კულტურული თვითშეგნების სიმბოლოდ.

1.1. შესავალი

არაბულ სამყაროში ქრისტიანული საზოგადოების ენობრივი გარდაქმნა ლიტურგიაში VII საუკუნიდან ისლამურ ექსპანსიას ემთხვევა. ეს გრადუალურად გარდამტეხი აღმოჩნდა ქრისტიანული იდენტობის შენარჩუნებისა და

გადახალისებისთვის. ბერძნული და სირიული ენების გავლენის შემცირებამ არაბულენოვან ქრისტიანულ თემებში წარმოშვა ეკლესიური პრაქტიკის ადაპტაციის საჭიროება. აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით გამოიკვეთა მელქიტურ თემში, სადაც ლიტურგიული ერთიანობისა და გაგების უზრუნველსაყოფად დადგა ბიზანტიური ტიპიკონის არაბულ ენაზე თარგმნის საჭიროება. XVI-XVII საუკუნეებში ანტიოქიის საპატრიარქოში დაწყებულმა ინტელექტუალურმა გამოცოცხლებამ, რომელიც განპირობებული იყო როგორც შიდა, ისე გარე, დასავლური საეკლესიო და კულტურულ-მისიონერული ზეგავლენით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქრისტიანული არაბული ლიტერატურული მემკვიდრეობის სისტემატიზაციასა და განახლებაში. სწორედ ამ პროცესების პარალელურად შეიქმნა და დამკვიდრდა არაბული ტიპიკონი, როგორც არა მხოლოდ თარგმნილი ლიტურგიული ტექსტი, არამედ ადგილობრივი ეკლესიის ენობრივი რეალობისა და იდენტობის პირდაპირი გამოძახილი. არაბული ტიპიკონის გავრცელება და გამოყენება განიხილება, როგორც ერთიანი საეკლესიო წესების შენარჩუნების მექანიზმი, რომლის მიზანს წარმოადგენდა ღვთისმსახურების შინაარსობრივი სიღრმის შენარჩუნება და მისი გადმოცემა მშობლიურ ენაზე. შეიძლება ითქვას, რომ ტიპიკონის არაბულ ენაზე თარგმნა უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ როგორც ლიტურგიული საჭიროება, არამედ – კულტურულ-რელიგიური თვითმყოფადობის შენარჩუნების დასტური, რომელიც მელქიტმა ქრისტიანებმა გამოავლინეს მუსლიმური მმართველობისა და ოსმალური ადმინისტრაციული ჩარჩოების პირობებში.

1.2. ისტორიული მიმოხილვა

XVI-XVIII საუკუნეებში ახლო აღმოსავლეთში მართლმადიდებელი საზოგადოების ისტორია უკავშირდება ოსმალეთის იმპერიას. XVI საუკუნის დასაწყისში ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე ერთმანეთს დაუპირისპირდა სამი დიდი ისლამური სახელმწიფო: სეფიანთა ირანი, სირია-ეგვიპტის მამლუქთა სასულთნო და ოსმალეთი. ამ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირება რელიგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათისაა. დაპირისპირების მიზანი სავაჭრო მაგისტრალზე კონტროლის დაწესების სურვილი

იყო. თანამშრომლობა ორ სუნიტურ (ოსმალეთი და მამლუქთა სასულთნო) სახელმწიფოს შორის, ერთი შეხედვით, შესაძლებელი იყო, მაგრამ საკუთარმა პოლიტიკურმა მიზნებმა დაჩრდილეს რელიგიური ფაქტორი. რეალური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი მამლუქთა სასულთნოსა და ოსმალეთს შორის მიუღწეველი დარჩა. მოგვიანებით სეფიანთა ირანი მამლუქებს ოსმალეთის წინააღმდეგ შეუერთდა (ტიკაძე, 2012, გვ. 10-12).

XV საუკუნის ბოლოს მამლუქებმა ლაშქრობა ჩრდილოელი მეზობლების წინააღმდეგ გამართეს, თუმცა 1492 წლიდან 1514 წლამდე ამ ორ ძალას შორის შედარებით კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. XVI საუკუნეში ოსმალეთის იმპერიას დაპყრობილი ჰქონდა ანატოლიის, ჩრდილოეთი აფრიკის, ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპისა და კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ პერიოდში სრულიად ცენტრალური ევროპის დაპყრობის საფრთხე წარმოიშვა, თუმცა XVII საუკუნის დასასრულისთვის დაიწყო ოსმალეების განდევნა ევროპიდან და რამდენიმე საუკუნე გაგრძელდა. ამ პერიოდში ოსმალეთის იმპერიის გაფართოებაში დიდი წვლილი მიუძღვით შემდეგ სულთნებს: მეჰმედ II (1451–1481), სელიმ I (1512–1520), სულეიმან ალ-კანუნი (1520–1566 წწ.), სელიმ III (1566–1574 წწ.), მურად II (1574–1595 წწ.) და მოჰამად III (1595–1603 წწ.).

1514 წ. სელიმმა სეფიანთა ირანი ჩილდირანთან ბრძოლაში დაამარცხა, რის შედეგადაც მიეცა შესაძლებლობა, თავისუფლად ემოქმედა მამლუქების წინააღმდეგ, რომლებიც კანსავ ალ-ღურის (1501-1516 წწ.) ხელმძღვანელობით ალექსოში შეიჭრნენ. მას თან ახლდა ხალიფა ალ-მუთავაქქილ III და ბილად აშ-შამის ოთხი მოსამართლე. ბრძოლა მოხდა ალექსოს ჩრდილოეთით მარჯ დაბიკთან, სადაც სელიმმა გაიმარჯვა. მან გააგრძელა ლაშქრობები დამასკოს მიმართულებით. საბოლოოდ, 1516 წელს დაიპყრო სირია და შემდეგ დაიძრა ეგვიპტისკენ. მან წითელ ზღვაზე დააარსა ფლოტი, რომელიც იცავდა ჰიჯაზს პორტუგალიელებისგან (ტიკაძე, 2012, გვ. 12-13).

ოსმალთა გამოჩენის პერიოდში ბიზანტია, ბულგარეთი და სერბეთი ისეთი დასუსტებული იყო, რომ ქრისტიანულ თემს უნდა აერჩია ან მუსლიმური აღმოსავლეთი ან კათოლიკური დასავლეთი. ამ უკანასკნელის შემთხვევაში მათ უნია – ლათინური დოგმატები უნდა მიეღოთ და დამორჩილებოდნენ პაპს. სწორედ ამ

მიზნით ჩატარდა ფერარა-ფლორენციის კრება (1438-1439 წწ.), სადაც ბერძენ მართლმადიდებელთა სასულიერო პირებმა უარი თქვეს უნიის მიღებაზე. ბერძენმა მიტროპოლიტმა მარკოზ ეფესელმა ფლორენციის კრებაზე განაცხადა: „არ გვინდა არც ლათინების დახმარება და არც მათი უნია! უმჯობესია, ჩავბარდეთ თურქებს, ვიდრე ლათინებს!“ (Малышевский, 1872, p. 34).

ზემოხსენებულ პოლიტიკურ ვითარებაში ანტიოქიის საპატრიარქოს მეღქიტურ (მართლმადიდებლურ) საზოგადოებაში¹⁰ XVII საუკუნიდან დაიწყო კულტურული აღორძინება. ეს პერიოდი ანტიოქიის საპატრიარქოს გაყოფის (მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიის) საწყის ეტაპად ითვლება, რომელიც 1724 წ. დასრულდა. მკვლევარებს შორის გავრცელებულია მოსაზრება, რომ ამ გაყოფამდე მიიყვანა ევროპულ ძალებთან ურთიერთობამ. ამ პერიოდში ევროპელი მისიონერები ლევანტის ტერიტორიაზე გააქტიურდნენ. მათ ხშირი მიმოსვლა ჰქონდათ სირია-ლიბანში. ასევე, აღმოსავლელი სამღვდელოებაც რომში მიდიოდა სხვადასხვა მიზნით: როგორიცაა სწავლა, მუშაობა და პოლიტიკური მიზნები.

XVI-XVII საუკუნეებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ანტიოქიის საპატრიარქოში იწყება არსებული და გაფანტული ქრისტიანული არაბული მემკვიდრეობის თავმოყრა. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ძვ. ქრისტიანული არაბული ხელნაწერების შეგროვება, შესწავლა. სასულიერო პირებმა მიიღეს სპეციალური ზომები მრევლში და თვით სამღვდელოებაში, რათა განათლების დონე ამაღლებულიყო. სწორედ XVII საუკუნეში არაბული ენა გამოცხადდა ლიტურგიის ერთადერთ ენად. მანამდე სირიულის პოზიციები ლიტურგიაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო. XVII საუკუნეში იქმნება სრული სახით ბიზანტიური ლიტურგიის, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, არაბული ტიპიკონი. ის ითარგმნა ბერძნულიდან არაბულ ენაზე. ასევე, შესრულდა ახალი თარგმანები უშუალოდ ბერძნულიდან სასულიერო მწერლობის სხვა დარგებშიც (ბიბლიის თარგმანები, თეოლოგიური და ისტორიული ნაშრომები და

¹⁰ სიტყვა მეღქიტი მოდის სირიულიდან „მლაქა“ ან არაბულიდან „მალიქ“. ორივეს მნიშვნელობაა მეფე ან მმართველი. ეს ტერმინი მონოფიზიტებმა შემოიღეს 451 წ. ქალკედონის კრების შემდეგ. მათ დაცინვით მიმართეს იმ ქრისტიანებს, რომელნიც ერთგულნი დარჩნენ ბიზანტიის იმპერატორების მიმართ. საბოლოოდ, სიტყვა მეღქიტი აღნიშნავდა ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის საპატრიარქოში შემავალ ბიზანტიური წესის მართლმადიდებელ ქრისტიანს [New Catholic Encyclopedia – v. IX, Washington, (1966), p. 627].

სხვ.). იქმნებოდა ახალი კომპილაციები და ორიგინალური შრომებიც ისტორიაში, ჰაგიოგრაფიასა და თეოლოგიაში შესაბამისად, იზადება კითხვა, არის თუ არა ეს პერიოდი ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, სირიაში სამონასტრო ცხოვრების აღორძინების დასაწყისი? (კოჭლამაზაშვილი, 2022, გვ. 117-132)¹¹.

1.2.1. ქრისტიანი არაბები ისლამური მმართველობის ქვეშ

ზოგადად, ახლო აღმოსავლეთი უძველესი ქრისტიანების წარმოშობის ადგილია. წმინდა წერილის თანახმად, ქრისტიანთა პირველი საზოგადოება სწორედ ახლო აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა. ისლამური დაპყრობების დროს, VII საუკუნეში ქრისტიანები აღმოსავლეთში უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ისინი ლაპარაკობდნენ სხადასხვა ენაზე, მათ შორის ბერძნულ, სირიულ, კოპტურ, ეთიოპურ, სომხურ, ქართულ, საშუალო სპარსულ და სოლდურ ენებზე. არაბულ ენაზე მოლაპარაკე არაბთა ტომები ძირითადად არაბეთის ნახევარკუნძულზე, პალესტინაში, სირიასა და ერაყში სახლობდნენ. მათ ქრისტიანობა მეოთხე, მეხუთე და მეექვსე საუკუნეებში მიიღეს.

არაბი ქრისტიანები ყურანში მოხსენებული არიან, როგორც „წიგნის ხალხი“, რომელშიც ერთიანდებიან ქრისტიანები, იუდეველები და ზოროასტრელები. ყურანში ტერმინი „ნაზარეველის მიმდევარი“ თოთხმეტჯერ არის ნახსენები, რაც თანამედროვე მკვლევართათვის ქრისტიანებს აღნიშნავს (Griffith S. H., 2008, p. 7).

ისლამური დაპყრობების პერიოდსა და ქრისტიანების ვითარებაზე ალექსანდრე ტრეიგერი აღნიშნავს შემდეგს: „ისლამური დაპყრობების შემდეგ ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოების, სასანიანთა იმპერიის, ჩრდილოეთ აფრიკისა და ესპანეთის ქრისტიანული თემი აღმოჩნდა ისლამური მმართველობის ქვეშ. ამან შექმნა ახალი რეალობა რამდენიმე მიმართულებით:

პირველი: ისლამურ იმპერიაში ქრისტიანები, ებრაელები და სხვა რელიგიური თემები იქცნენ „დაქვემდებარებულ ხალხად“. თუმცა მათ მიენიჭათ რელიგიური ავტონომია და სამხედრო სამსახურიდან გადასახადის (ჯიზია) სანაცვლოდ

¹¹ ციტირებული მასალა ემყარება ავტორის წინა პუბლიკაციას (კოჭლამაზაშვილი, 2022)

თავისუფლებოდნენ. მიუხედავად ამისა, მათ შეეხოთ მთელი რიგი მკაცრი შეზღუდვები. ეს შეზღუდვები მოიცავდა ახალი ეკლესია-მონასტრების აშენებასა და განახლებას.

სახალიფოში ხალიფა ომარ II-ის (717–720 წლები) მმართველობის პერიოდში, ომარის პაქტის მიხედვით,¹² ქრისტიანებს დაუწესდათ სამართლებრივი შეზღუდვები, რომლებიც ეხებოდა როგორც მათი რელიგიური პრაქტიკის თავისუფლებას, ისე საზოგადოებრივ და კულტურულ ქცევებს.

მეორე: ისლამური ექსპანსიის შედეგად გაწყდა ან გამწვანდა კავშირების შენარჩუნება ყოფილ აღმოსავლეთ ბიზანტიურ პროვინციებსა და დანარჩენ ბიზანტიაში არსებულ ქრისტიანულ თემებს შორის. შედეგად, ამ თემებმა პირველი მნიშვნელოვანი ინტეგრაცია განიცადეს აღმოსავლეთ ქრისტიანებთან, რომლებიც ცხოვრობდნენ ყოფილი სასანური იმპერიის ტერიტორიაზე და განსხვავდებოდნენ ბიზანტიელთა დოქტრინალური მიმართულებებისგან, კერძოდ, იმ ქრისტიანთაგან, ვინც მხარს უჭერდა ქალკედონიტობას და დევნიდა მონოფიზიტებსა და ნესტორიანელებს.

მუსლიმი მმართველებისთვის ქრისტიანულ ჯგუფებს შორის დოქტრინალური განსხვავება პოლიტიკურ ფაქტორად მიიჩნევა. შესაბამისად, ისლამური მმართველობის პირობებში სხვადასხვა ქრისტიანული კონფესია იბრძოდა პოლიტიკური გავლენისთვისა და საჯარო აღიარებისთვის. ამ პირობებში შიდა ქრისტიანულ და ქრისტიანულ-მუსლიმურმა პოლემიკამ შეიძინა განსაკუთრებული მნიშვნელობა და ისლამური პერიოდის ქრისტიანული რელიგიური ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული მიმართულება გახდა. პოლემიკის მიზანს წარმოადგენდა

¹² ომარ II-ის მიერ დაწესებული სამართლებრივი დოკუმენტი, ცნობილი როგორც „ომარის პაქტი“, ქრისტიანთა უფლებების მარეგულირებელი მექანიზმი გახდა. ეს პაქტი სრულად დაიცვა აბასიანთა ხალიფა ალ-მუთავაქქილმა (847–861 წლები) და ფატიმიანთა ხალიფა ალ-ჰაკიმმა (996–1021 წლები) (Tritton, 1930, pp. 1-100). ომარის პაქტი მოიცავდა შემდეგ აკრძალვებს: ქრისტიანებს არ ჰქონდათ უფლება, გადაეყვანათ მუსლიმები თავიანთ რეზულზე და გაეგრძელებინათ ქრისტიანობა. აკრძალული იყო მუსლიმთა რელიგიური ტექსტების, მათ შორის ყურანის სწავლება, ისევე როგორც მუსლიმური ტანსაცმლის სტილის გამოყენება. არამუსლიმ მოსახლეობას აკრძალული ჰქონდა ემოქმედა მუსლიმური შარიათის ნორმების შესაბამისად, ევლო ცხენებით ან ეტარებინა იარაღი, მათ შორის ხმალი. მათთვის განსაზღვრული იყო სპეციალური სამოსი, ხოლო საჯარო სივრცეში ისინი ვალდებული იყვნენ, ეტარებინათ ე.წ. „ზუნნარი“ - სპეციალური ქამრის ტიპი, რომელიც მათ რელიგიურ იდენტობას აღნიშნავდა (Treiger, 2012, გვ. 90-92).

როგორც საკუთარი რწმენის დოქტრინალური მხარდაჭერა, ისე პოლიტიკური და კულტურული იდენტობის გამყარება მრავალრიცხოვან და დამაბულ რელიგიურ გარემოში.

მესამე: მუსლიმთა დაპყრობების შემდეგ ქრისტიანებში არაბული ენის გავრცელების პროცესი დაიწყო. პაულუს ალვარუს (დ. 860) მუსლიმურ ესპანეთში ჩიოდა, რომ ქრისტიანები ივიწყებდნენ ლათინურს და სწავლობდნენ არაბულს. იგივე შეიძლება ითქვას კოპტების მიმართაც, რაც დასტურდება ეგვიპტურ აპოკალიფსში, სამუელ კალამუნის ტექსტში. მეორე მხრივ, VIII საუკუნეში ქალკედონიტებში პალესტინის მონასტრებში გავრცელდა არაბული ენა, როგორც ლიტერატურული ენა, რაც იყო მნიშვნელოვანი პროცესი თეოლოგიური მიმართულების განსავითარებლად, რომელიც თანდათან ჩაანაცვლებდა ბერძნულ და არამეულ ენებს. ისლამურ აღმოსავლეთში ქრისტიანულმა თემებმა მიიღეს არაბული ენა. მეცხრე საუკუნისთვის უკვე არსებობს მრავალფეროვანი ქრისტიანული სასულიერო ლიტერატურა არაბულ ენაზე.

მეოთხე: არაბიზაციას თან ახლდა გაცილებით ნელი, მაგრამ მუდმივი პროცესი

– ისლამიზაცია. სოციალურმა და ეკონომიკურმა ფაქტორებმა განაპირობა ქრისტიანების, განსაკუთრებით აზასიანთა პერიოდის დასაწყისში (750 წ.), ახალ რელიგიაზე გადასვლს: ისლამმა ისინი გაათავისუფლა გადასახადისგან და გააუმჯობესა მათი სოციალური მდგომარეობა. ისლამური კანონების თანახმად, ისლამისგან განდგომა ისჯებოდა სიკვდილით, მრავალმა ქრისტიანმა მიიღო ისლამი, შემდეგ დაუბრუნდა ქრისტიანობას და მოწამეობრივად აღესრულა. შესაბამისად, ადრეულ ისლამურ პერიოდში ქრისტიანები უმეტესწილად მუსლიმთა დაპყრობების სიმძიმეს აპოკალიფსურ ნაშრომებში გამოხატავდნენ. დაპყრობები მიაჩნდათ, როგორც სამყაროს გარდაუვალი აღსასრულის ნიშანი და ღვთაებრივი სასჯელი მათი ცოდვებისთვის. ქრისტიანები ადაპტირდნენ ახალ რეალობაში. სამართლიანი იქნება იმის თქმა, რომ ქრისტიანები, მუსლიმები, ებრაელები და სხვა რელიგიური ჯგუფები აგრძელებდნენ თანაცხოვრებას საუკუნეების განმავლობაში ერთგვარ „პლურალისტურ წონასწორობაში“ (ეს ტერმინი ეკუთვნის უილიამ დალრიმპლს), სადაც ქრისტიანებს შეეძლოთ მყარად დგომა, როგორც რელიგიურ საზოგადოებას,

მნიშვნელოვანი სოციალური ზეწოლის მიუხედავად. რელიგიათაშორისი სტატუსი ზოგადად შენარჩუნებული იყო, მაგრამ გამოიყო უხეში დარღვევებიც, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანულ თემებს და გამოიწვია მათი რაოდენობის თანდათანობითი შემცირება“ (Treiger, 2012, pp. 90-92).

XI საუკუნიდან ლევანტის ტერიტორიაზე ჯვაროსნების გამოჩენის შემდეგ მართლმადიდებელი ქრისტიანები აღმოჩნდნენ უცხოელი ქრისტიანების მმართველობის ქვეშ. მიქაელ სირიელის მიხედვით,¹³ ჯვაროსნები მართავდნენ ანტიოქიას და მათი მმართველობის პერიოდში დევნიდნენ ბერებს, ნიშნავდნენ მათ დაქვემდებარებაში მყოფ პატრიარქებსა და ეპისკოპოსებს (53 صفحة، 2008، ديك). .

ახლო აღმოსავლეთის საქრისტიანოს ისტორიაში მამლუქების მიერ სირიის დაპყრობა ყველაზე მძიმე პერიოდი იყო. XIII საუკუნის ბოლოს სირია შევიდა ეგვიპტის მამლუქთა სასულთნოში და თითქმის სამი საუკუნე დარჩა მისი მმართველობის ქვეშ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სულთან ბაიბარსის (1260–1277 წწ.) ქრისტიანობის მიმართ მტრულად განწყობილი პოლიტიკური მმართველობა.

შეიძლება ითქვას, რომ მამლუქთა ეპოქა, რომელიც გაგრძელდა XVI საუკუნის დასაწყისამდე, განსაკუთრებით ბოლო საუკუნენახევარი, ქრისტიანული აღმოსავლეთის მაქსიმალური დაცემის პერიოდი იყო. ტექსტებისა და წყაროების არასაკმარისი რაოდენობა არ გვაძლევს საშუალებას, მოვიძიოთ უფრო მეტი ინფორმაცია ამ საუკუნეებზე.

კონსტანტინე პანჩენკო მამლუქების მმართველობის ბოლო ასწლეულს აღწერს, როგორც მართლმადიდებლური აღმოსავლეთის დაცემის პერიოდს და გვთავაზობს დადმავლობის გამომწვევ რამდენიმე მიზეზს: გლობალური ეკოლოგიური კრიზისი სირია-პალესტინის რეგიონში, პორტუგალიური ჰეგემონიის ჩამოყალიბება სამხრეთ ზღვებში და სხვ. აშკარაა, რომ კრიზისმა მოიცვა ქრისტიანული თემი: XV საუკუნის ბოლოსთვის კოპტურ მონასტრებში ერთი საეკლესიო მოღვაწე რჩებოდა, ხოლო ნესტორიანული მონასტრები სრულად განადგურდა. მამლუქების ძალაუფლება XV - XVI სს. სუსტდებოდა და წინააღმდეგობას ვეღარ უწევდა სხვა უფრო ძლიერ გარე

¹³ მიქაელ სირიელი (ცნობილია, როგორც მიქაელ დიდი) (1126–1199 წწ.), სირიელ იაკობიტთა ეკლესიის პატრიარქი 1166 – 1199 წ., შუა საუკუნეების ქრონიკების ავტორი სირიულ ენაზე.

ძალებს. ეს პერიოდი არა მხოლოდ ქრისტიანული არაბული, არამედ არაბულ-ისლამური კულტურისაც დაცემის პერიოდადაც ითვლება. არაბული კულტურის დადმავლობა მონღოლთა შემოსევების შემდეგ დაიწყო, დამანგრეველმა ლაშქრობებმა გაანადგურა ის. შეიძლება ითქვას, რომ პირველი ცხრა ასწლეულის განმავლობაში მუსლიმთა მმართველობის ქვეშ მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიანთა სოციალური მდგომარეობა პროგრესულად უარესდებოდა, რაოდენობა მცირდებოდა და კულტურული თვალსაზრისით ეცემოდა. ამ პროცესებმა მამლუქთა სასულთნოში უმაღლეს მწვერვალს მიაღწია და ისინი ჩაანაცვლა ოსმალეთის იმპერიამ, რომლის მმართველობაც გაგრძელდა ოთხი საუკუნის განმავლობაში (Панченко, 2012, стр. 94).

მაშასადამე, სამონასტრო ცხოვრება არაბულ სამყაროში ჯერ კიდევ ისლამამდელ პერიოდში დაიწყო და ვითარდებოდა არაბთა სახალიფოშიც. ლიტერატურულ-შემოქმედებითი თვალსაზრისით, ქრისტიანული ლიტერატურის განვითარების პირველი ეტაპისთვის XIII საუკუნე არის განვითარების პიკი, XV და XVI საუკუნეები დადმავლობის პერიოდად მიიჩნევა, ხოლო XVII საუკუნე ითვლება „განახლების“, „ახალი ეტაპის“, „გამოღვიძების“ ხანად. განსაკუთრებით აქტუალური იყო ამ პერიოდში მთარგმნელობითი პროცესების წამოწყება (ძირითადად ბერძნული ენიდან არაბულ ენაზე), რასაც ენობრივმა გარემომ შეუწყო ხელი. ლიტურგია სრულად ჩანაცვლდა არაბული ენით, რაც არაბული ტიპიკონის თარგმანის მეშვეობით მოხდა. მანამდე ლიტურგია ბერძნულ და სირიულ ენებზე წარიმართებოდა. ამის შესაბამისად, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ, თუ სამონასტრო ცხოვრება არაბთა დაპყრობებამდე დაიწყო, მაშინ საჭიროებდა მართლმადიდებლური თემი ტიპიკონის თარგმანს არაბულ ენაზე?

1.3. არაბიზაციის პროცესი და ენობრივი გარემო

არაბიზაციის პროცესი სირიაში VIII საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო და არაბული, როგორც საეკლესიო ენა, პირველად შევიდა მელქიტურ საზოგადოებაში, რაც VIII საუკუნიდან უფრო და უფრო გაიზარდა. IX საუკუნისთვის იერუსალიმის, სინას და პალესტინის მონასტრებში ქრისტიანული არაბული ტექსტები სალიტერატურო არაბულისგან განსხვავებულ ენაზე შეიქმნა. ძირითადად დიალექტური ფორმები

გამოიყენებოდა და ტექსტებში სირიულ-არამეულის და ბერძნულის გავლენა ჩანს. ჯოშუა ბლაუს ეკუთვნის ერთ-ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი მონოგრაფია ქრისტიანულ არაბისტიკასა და არაბული ენის ისტორიის სფეროში. ნაშრომში გამოკვლეულია ადრეული ქრისტიანული არაბული ხელნაწერები, კერძოდ, მათში წარმოდგენილი ძეგლების ლინგვისტური ანალიზი. მან 60-ზე მეტი ნაშრომი დაამუშავა, რომელთაგანაც 5 არის ორიგინალური აპოლიგეტური ტრაქტატი, დანარჩენი ტექსტები კი – თარგმანები. ისინი მოიცავს ქადაგებებს, წმინდანების ცხოვრებას, მარტვილობებსა და პატრისტიკულ თხზულებებს. თარგმანი შესრულებული იყო ადგილობრივ ენაზე – სალაპარაკო არაბულზე. მათი თარგმნა ჯერ კიდევ ისლამის გამოჩენამდე დაიწყო და შემდეგ გაგრძელდა. კოლოფონების მიხედვით, ჩანს, რომ არაბული ტექსტები გავრცელებული იყო პალესტინაში, ედესა / ჰარანში, ანტიოქიაში, ბაღდადში, დამასკოში, სინასა და ალექსანდრიაში (Griffith S. H., 1988, pp. 6-13). IX საუკუნის შუა წლებში მელქიტები, იაკობიტები და ნესტორიანელები უკვე მაღალ დონეზე ფლობდნენ არაბულ ენას, ხოლო X საუკუნის შუა წლებში ის კოპტებშიც გავრცელდა (Noble & Smith, 2005, p. 201).

რაც შეეხება ბერძნულ ენას, ომაიანებმა შეინარჩუნეს ბიზანტიური მმართველობითი სისტემა და გარკვეული პერიოდი ბერძნული ენა ბიუროკრატიის ენად დატოვეს, რაც ნიშნავს, რომ ბერძნულ ენაზე მოლაპარაკე მართლმადიდებელი ქრისტიანები (მაგალითად, იოანე დამასკელი) ინარჩუნებდნენ სოციალურ პრესტიჟსა და გავლენას, ისინი მოღვაწეობდნენ ომაიანთა ადმინისტრაციაში. იოანე დამასკელი VIII საუკუნეში, ისლამური მმართველობის პერიოდში მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, რომელიც ბერძნულად წერდა (Cragg, 1991, p. 77).

VIII საუკუნის შუა რიცხვებში დაიწყო არაბული ქრისტიანული ლიტერატურის ჩამოყალიბება. განათლებული საზოგადოება აგრძელებდა ბერძნულ ენაზე საუბარს. მათ თარგმნეს ბერძენი ავტორების შრომები და პატრისტიკული წიგნები. ის ხალხში აღარ ითვლება სალაპარაკო ენად. ანტიოქია დარჩა უფრო ერთგული ბერძნულისა, ვიდრე სხვები და მეათე საუკუნეში ბერძნული ენა, ბიზანტიელთა დაბრუნების შემდეგ კვლავ აღდგა. „ქრისტიანული ანტიოქიის ცხოვრება“ ავტორმა XI საუკუნეში დაწერა ჯერ ბერძნულ ენაზე და შემდეგ ის არაბულ ენაზე თარგმნა. სამღვდელოებამ,

განსაკუთრებით მელქიტებმა, ბერძნული ენა ლიტურგიული პრინციპების გასაგებად და კონსტანტინოპოლთან ურთიერთობის გამო ისწავლეს (166 صفحة، 2008، ديك).

რაც შეეხება სირიულს, სირიელი იაკობიტები ბერძნულ ენას აღარ იყენებდნენ მას შემდეგ, რაც სირიულ ენაზე ითარგმნა ძველ ბერძენ ავტორთა შრომები, პატრისტიკული წიგნები და რელიგიური პრინციპები. ზოგადად, სირიული ენა სირიელებსა და მელქიტებს შორის უფრო მეტად იყო გავრცელებული როგორც სასაუბრო ენა, ვიდრე ბერძნული. დამასკოს გარშემო რეგიონებში აღმოჩენილია ბიზანტიური წესის ლიტურგიული ხელნაწერები სირიულ ენაზე. იაკობ სპარსის მონასტრის კედელზე XIII საუკუნის წარწერაში წმინდანთა სახელები მითითებულია ბერძნულ და სირიულ ენებზე. თეოდორე აბუ კურამ VIII საუკუნის ბოლოს და IX საუკუნის დასაწყისში შექმნა შრომები ბერძნულ, არაბულ და სირიულ ენებზე. სირიული ენა იაკობიტებს შორის ცოცხალი ენა იყო შუა საუკუნეებამდე, თუმცა აღსანიშნავია, რომ მოგვიანო პერიოდში, XIII საუკუნეშიც მიქაელ სირიელი სასულიერო ლიტერატურას სირიულ ენაზე ქმნიდა (67-166 الصفحات، 2008، ديك).

სირიაში არაბული ენა ეტაპობრივად ყველა ქრისტიანისთვის მშობლიურ ენად იქცა. სამონასტრო ცხოვრებაში სირიული და ბერძნული ენების გამოყენება პარალელურად გრძელდებოდა. X საუკუნიდან მელქიტებმა ლიტურგიის წარმართვა არაბულ ენაზე ზოგიერთ რეგიონში ნაწილობრივ ბერძნულის და სირიულის შენარჩუნებით დაიწყეს. სიდნეი გრიფიტი აღნიშნავს, რომ არაბთა დაპყრობების დროს აღმოსავლურ ქრისტიანთაგან, მელქიტებს განსაკუთრებული როლი მიუძღვით მართლმადიდებლური ქრისტიანული დოქტრინისა და პრაქტიკის სუფთა სალიტერატურო არაბულზე შექმნაში. IX საუკუნეში მელქიტი მეცნიერები იერუსალიმის მონასტერსა და იუდეის უდაბნოში არაბულ ენაზე ქმნიდნენ წმინდა წერილს, წმინდანების ცხოვრებასა და პატრისტიკულ ტექსტებს. ამავე საუკუნის მეორე მესამედში ჩვენამდე მოღწეულია უცნობი ავტორის მიერ შექმნილი ყველაზე ადრეული ქრისტიანული თხზულება, რომელსაც თანამედროვე მკვლევარებმა უწოდეს „ღვთის სამეული ბუნების შესახებ“. აღნიშნულ ნაშრომში დაცულია სამებისა და განკაცების დოქტრინების სანდოობა, რომელიც მტკიცდება ციტატებით ძველი და ახალი აღთქმიდან, ასევე, ყურანიდან (Griffith S. H., 2012, p. 423).

IX-XIII სს. მელქიტი მეცნიერები ცდილობდნენ, ქრისტიანული რწმენა არაბულ ენაზე გამოეხატათ. არაბულ ენაზე აბასიანთა ეპოქის კლასიკური ინტელექტუალური ცხოვრების ევოლუციაში მელქიტმა მოაზროვნეებმა მცირე წვლილი შეიტანეს, რომელიც არაბულ ენაზე ინტელექტუალური ცხოვრების მაღალი განვითარების პერიოდი იყო. მელქიტი რელიგიური მოაზროვნე აბუ კურადან (755-830 წწ.) დაწყებული პავლე ანტიოქელით (1220) დამთავრებული, ქრისტიანული თეოლოგია არაბულ ენაზე „ისლამის გონებით“ იქმნებოდა (Griffith S. H., 2012, p. 425).

აბასიანთა ეპოქაში დაიწყო მასშტაბური მთარგმნელობითი პროცესი ბერძნული ენიდან არაბულ ენაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ხალიფები და სასულიერო პირები (განურჩევლად რელიგიისაგან), ასევე ადგილობრივი საზოგადოება. ორი საუკუნის განმავლობაში ითარგმნა ძველი ბერძნული, რომაული და გვიანანტიკური მემკვიდრეობა და არაბული, ბერძნულისა და ლათინურის გვერდით, კლასიკური მნიშვნელობის ენა გახდა. აღნიშნული პერიოდი, შეიძლება ითქვას, ბევრად ეფექტური და ნაყოფიერი იყო ბერძნულ-არაბულ მთარგმნელობითი საქმიანობისთვის, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით სირიულენოვან ქრისტიანებს, რომლებიც კარგად ფლობდნენ ბერძნულ და არაბულ ენებს.

არაბთა დაპყრობების შემდეგ ბერძნულენოვანი მელქიტები იაკობიტების, კოპტების, სომხებისა და აღმოსავლური ეკლესიისგან განსხვავებულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. ამ უკანასკნელებმა შეინარჩუნეს თავიანთი ტრადიციული ენები როგორც საეკლესიო, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამავდროულად, მელქიტებისთვის ბერძნული გახდა სპეციალიზებული ენა აღმოსავლეთის საპატრიარქოებში, რომელიც გამოიყენებოდა როგორც საეკლესიო პირებს, ასევე მკვლევრებს შორისაც. როგორც ჩანს, ბევრ მათგანს IX საუკუნის შემდეგ სჭირდებოდა სახელმძღვანელოები ბერძნული ენის შესასწავლად. აბასიანთა პერიოდის პირველი საუკუნის დასასრულს მელქიტები არაბულად საუბრობდნენ და წერდნენ არა მხოლოდ ყოველდღიურ ცხოვრებაში, არამედ ეკლესიასთან დაკავშირებულ საკითხებზეც. XIII საუკუნეში ბერძნულიდან არაბულ ენაზე ითარგმნა თეოლოგიური, კანონიკური და სხვა საეკლესიო ნაშრომები. ამ პროცესებით არაბულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ დიდ შედეგს მიაღწია (Griffith S. H., 2012, p. 438).

რაც შეეხება XVI და XVII საუკუნეებს, ანტიოქიის საპატრიარქოს უდიდესი ნაწილი არაბულენოვანი იყო და ეს დღესაც ასეა (მრევლიც და სამღვდელოებაც არაბულენოვნები არიან). მაშინ, როდესაც იერუსალიმისა და ალექსანდრიის საპატრიარქოში ბერძნებს დიდი გავლენა აქვთ. სასულიერო პირთა მცირე რაოდენობა იყო ეთნიკურად ბერძენი, რომლებიც ცხოვრობდნენ ადნაში, ბაიასსა და ერზრუმში. ერზრუმსა და მის შემოგარენში სომხურენოვანი მორწმუნეები ანტიოქიის პატრიარქის იურისდიქციის ქვეშ მყოფ ქრისტიანთა უმრავლესობას შეადგენდნენ. სირიული ენა, როგორც სასაუბრო ენა, მხოლოდ რამდენიმე სოფელში გამოიყენებოდა, ხოლო არაბული – როგორც სასაუბრო, ასევე ლიტურგიული და ლიტერატურული ენა იყო. ამასთანავე, XVII-XVIII საუკუნეებში განათლებული სასულიერო პირები ფლობდნენ ბერძნულ ენას, რასაც მოწმობს ბერძნული ლიტერატურის თარგმანები არაბულ ენაზე. ლიტერატურული სირიული სასულიერო პირთა შორის მხოლოდ მცირე რაოდენობამ იცოდა და ზოგიერთი მათგანი დაკავებული იყო სირიული ლიტურგიული წიგნების გადაწერით. თუმცა საეჭვოა, რომ აღნიშნული წიგნები მელქიტ მკითხველთა გამოსაყენებლად ყოფილიყო შექმნილი (Walbiner C. M., 1999, p. 127).

ამასთან დაკავშირებით კოროლევსკი აღნიშნავს, რომ XII საუკუნიდან დღემდე ლიტურგიის ენის თვალსაზრისით ორი პერიოდი გამოიყოფა. პირველ პერიოდად ასახელებს სირიულ-ბიზანტიურს (XII-XVII სს.), რომელიც მელქიტებისთვის ფუნდამენტურ ენას წარმოადგენდა. სირიული და ბერძნული მცირე რაოდენობამ იცოდა, ხოლო არაბული ნელ-ნელა მკვიდრდებოდა, როგორც ლიტურგიის ენა. მეორე პერიოდად კოროლევსკი ასახელებს არაბულ-ბიზანტიურს (XVII საუკუნიდან დღემდე), რომლის დროსაც სირიული, როგორც სამეტყველო ენა, თითქმის გამქრალი იყო. ამ პერიოდში არაბულმა სრულად ჩაანაცვლა სირიული. კოროლევსკიმ 200-ზე მეტი სირიულ-მელქიტური ხელნაწერის სია შეადგინა და დაასკვნა, რომ სირიული ენა მელქიტური ლიტურგიიდან XVII საუკუნის შუა წლებიდან გაქრა, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდში მოხდა სირიულ-მელქიტური ლიტურგიული წიგნების გადაწერა, როგორიცაა: ლიტურგიკონი, ტრიოდინი, ფსალმუნები, სახარებები, საგალობლები და სხვ. აქვე აღნიშნავს, რომ XVII საუკუნის შუა წლებში ხელნაწერებში სირიულსა და ბერძნულს თანაბარი ადგილი ეთმობოდა, რაც გულისხმობდა, რომ ხმამაღლა წარმოსათქმელი ლოცვები ორ სვეტად იყო განლაგებული სირიულისთვის და

არაბულისთვის, ხოლო დაბალ ხმაზე წარმოსათქმელი ლოცვები მხოლოდ არაბულ ენაზე იყო წარმოდგენილი. იგივე შეიძლება ითქვას ბერძნულზეც, თუმცა პატრიარქი მაკარი III აზ-ზაიმი ამბობს: „ჩვენ ვლოცულობთ ბერძნულად და სირიულად ჩვენს ეკლესიებსა და სახლებში“. კოროლევსკის მტკიცებით, ბერძნული ენა სირიის ტერიტორიის ზოგიერთ ნაწილში კვლავ გამოიყენებოდა. რაც შეეხება მეორე პერიოდს, სირიული და ბერძნული ენებიდან თარგმნა არაბულ ენაზე ინტენსიურად დაიწყო. ამ პერიოდის ძირითადი შრომები ეკუთვნით მეღვთისმცოდნის ქარმას, მაკარი აზ-ზაიმსა და ათანასე ად-დაბბასს (Korolevsky, 2000, pp. 27-82).

შეიძლება ითქვას, რომ ანტიოქიის საპატრიარქოს სამღვდელოება XVII საუკუნემდე არ საჭიროებდა ტიპიკონის არაბულ ენაზე თარგმნას. მანამდე სირიის მონასტრებში არაბული ენა ნაწილობრივ იყო გავრცელებული, ანტიოქიის საპატრიარქოში ბერძნული და სირიული გავლენა მაინც რჩებოდა. XVII საუკუნეში არსებული ენობრივი გარემო იქამდე მივიდა, რომ საბოლოოდ ანტიოქიის საპატრიარქოში არაბული, როგორც ლიტურგიის ენა, სრულად დამკვიდრდა.

1.4. ოსმალთა კანონმდებლობა და მართლმადიდებელ ქრისტიანთა მოსახლეობა

ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე მმართველობითი სისტემა არამუსლიმი თემისთვის ნელ-ნელა გამკაცრდა. სამხედრო-ლენური სისტემის¹⁴ დამკვიდრების შემდეგ მწვავე რეაქცია მოჰყვა არა მხოლოდ დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობაში, არამედ ოსმალებს შორისაც, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ მმართველობის ასეთი ფორმა არღვევდა ტრადიციულ სისტემას. ამან გავლენა მოახდინა ბაიაზიდის პოლიტიკაზე და 1402 წ. ქ. ანკარაში, თემურ ლენგთან ბრძოლაში მას განუდგნენ ვასალები, რის შედეგადაც იგი დამარცხდა (Inalcik, 1954, pp. 104-105).

სირიაში ჩამოყალიბდა ოსმალური ადმინისტრაციული სისტემა, რომლის უმაღლეს ადმინისტრაციულ ერთეულს ეწოდა ეიალეთი. იგი, თავის მხრივ, მოიცავდა რამდენიმე სანჯაყს, რომელიც იყოფოდა უფრო მცირე ერთეულებად – კადაა და ნაჰია.

¹⁴ პირველად ეს სისტემა გაატარა სულთანმა ბაიაზიდ I (1389-1402 წწ.).

XVI საუკუნეში ბილად აშ-შამ დაიყო დამასკოს (აშ-შამ), ალექოს (ჰალაბ) და ტრიპოლის (ტარაბლუს შამ) ეიალეთებად. XVII საუკუნეში გაჩნდა საიდას (სიდონის) ეიალეთი, რომელიც მალე გაუქმდა, მაგრამ 1660 წელს საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც ადმინისტრაციული ერთეული. პალესტინას სირიის ოსმალურ ადმინისტრაციულ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა, არა მხოლოდ სტრატეგიული თვალსაზრისით, არამედ რელიგიური სტატუსის გამო, როგორც „წმინდა მიწას“. სირიის ოსმალურ ეიალეთებში ისევე, როგორც მთელ იმპერიაში სახელმწიფო, სასამართლო და ფისკალური სისტემა სულთნების მიერ გამოცემულ „კანუნ-ნამეებს“ ემყარებოდა. ამასთან ერთად, დაიწყო შარიათის ნორმების განმტკიცება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რაც იმპერიის შემდგომი ისლამიზაციის მაჩვენებელი იყო. ყოველი ეიალეთის სათავეში იდგა ვალი, რომელსაც ნიშნავდა სულთანი ერთი წლით, ხოლო ვალი ნიშნავდა ყოველ ქალაქში ადმინისტრაციულ მმართველს, რომელსაც უწოდებდნენ „მუთასალლიმ“-ს, რაც „მიმღებს“ ან „მმართველს“ ნიშნავდა. ოსმალთა ბატონობა სირიაში ემყარებოდა იქ დანერგილ სამხედრო-ლენურ (თიმარულ) სისტემას, რაც, პირველ რიგში, თიმარებისა და ზეამეთების არსებობას გულისხმობდა. ყოველ ეიალეთს იცავდა ჯარი, რომლის მეთაურებიც შედიოდნენ „დივანში“. თვითონ დივანს დიდი ძალაუფლება ჰქონდა იმპერიაში, დივანის თანხმობის გარეშე ვალის ბრძანებას ძალა არ ჰქონდა (ტიკამე, 2012, p. 48); (رستم، 1988، الصفحات 3-15).

უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის, ეს სისტემა შეიძლება შევადაროთ ე. წ. „ზიმიების“ სისტემას, რომლებიც ჯიზიის სანაცვლოდ იღებდნენ პოლიტიკურ ლოიალურობას. ისევე, როგორც არაბი დამპყრობლები, ოსმალეთის იმპერიაც დიდ ფინანსურ ინტერესს ნახულობდა დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობისგან (კოჭლამაზაშვილი, 2022, გვ. 117-132).

XVII საუკუნის ბრიტანელი დიპლომატი პოლ რიკატი, რომელიც კონსტანტინოპოლში მსახურობდა, ბრიტანეთის საელჩოში, თავის წიგნში „ოსმალთა იმპერიის თანამედროვე სახელმწიფო“ (1656 წ.) გვთავაზობს ზიამების და თიმარების რაოდენობას სანჯაყების მიხედვით, მაგ.: დამასკოს ბეგლარბეგის (ვალი) მთავრობის ქვეშ 7 სანჯაყი იყო, აქედან 128 ზიამეთი და 873 თიმარეთი; ტრიპოლის ბეგლარბეგის მთავრობის ქვეშ იყო 5 სანჯაყი, აქედან 63 ზიამეთი და 570 თიმარეთი; ალექოს

ბეგლარბეგის მთავრობის ქვეშ 5 სანჯაყი იყო, აქედან 117 ზიამეთი და 1044 თიმარეთი. თავისი მონოგრაფიის ერთ-ერთი ტომის დასკვნაში გვაუწყებს: „ამ სამი წიგნის მიხედვით, ნათელი ხდება, თუ რა სახის პოლიტიკას ატარებენ თურქები, რა რელიგია აქვთ მათ და რა საშინელია მათი „ძალადობრივი“ მოქმედება, რომელიც ქრისტიანულ სამყაროს შიშს ჰგვრის. ასევე, აღსანიშნავია, რომ ხელისუფალი ომის დროს მოიპოვებდა თანხას მიწის მეშვეობით ისე, რომ თვითონ არ მონაწილეობდა; მსგავსი უპირატესობა მე არ მსმენია და არც წამიკითხავს. სიფაჰები ყოველთვის იხდიდნენ გადასახადებს ომსა და მშვიდობაში; ზეამებს და თიმარებს ჰქონდათ თავიანთი მიწები სარჩენად და ჯარი სარგებლობდა ფიქსირებული შემოსავლით“ (Rycaut, 1668, p. 217).

ოსმალეთის ექსპანსიის შემდეგ პირველი 150 წლის განმავლობაში სირიაში მოსახლეობის უმრავლესობას ქრისტიანები შეადგენდნენ. ადგილობრივმა არისტოკრატებმა შეინარჩუნა მიწები და სულთნებს ისევე ემსახურებოდნენ, როგორც წინა მმართველებს. ამასთან დაკავშირებით სვეტოსლავ რიბოლოვი თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ ბიზანტიელ და ოსმალ ხელისუფალთა სისტემებს შორის განსხვავება იყო ის, რომ, ერთის მხრივ, ოსმალები ისლამის მიღებისაკენ უბიძგებდნენ, თუმცა, მეორე მხრივ, სახელმწიფოს ფინანსური ინტერესი ჰქონდა, ვინაიდან არამუსლიმი საზოგადოება იხდიდა გადასახადს, რითაც სახელმწიფო ფინანსურ სტაბილურობას ინარჩუნებდა (Ribolov, 2013, p. 8); (კოჭლამაზაშვილი, 2022, გვ. 117-132). ოსმალთა იმპერიამ ჩამოაყალიბა ე. წ. „მილეთების სისტემა“, რომელიც წარმოადგენდა ადმინისტრაციულ და იურიდიულ მექანიზმს არამუსლიმური რელიგიური თემების სამართავად. ამ სისტემის მიხედვით, იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანები, ებრაელები და სხვა რელიგიური ჯგუფები ორგანიზებულნი იყვნენ საკუთარი „მილეთის“ ანუ თემის ფარგლებში, რომელსაც ხელმძღვანელობდა შესაბამისი რელიგიური ლიდერი (მაგალითად, მართლმადიდებელი პატრიარქი ან მთავარი რაბინი).

მილეთი ითვლებოდა ნახევრადავტონომიურ ერთეულად, რომელსაც ენიჭებოდა უფლება, შიდა საკითხებთან დაკავშირებით საკუთარ რელიგიურ კანონებზე დაყრდნობით ემოქმედა, მაგალითად, ქორწინება, მემკვიდრეობა, განათლება და რელიგიური წეს-ჩვეულებები. ამის სანაცვლოდ, მოსახლეობა ვალდებული იყო, ემსახურა იმპერიის ფინანსური ინტერესისთვის, გადაეხადათ გადასახადები (მათ

შორის ჯიზია – არამუსლიმთა საგადასახადო ვალდებულება) და უზრუნველყოთ პოლიტიკური ერთგულება.

მილეთების სისტემა ოსმალეთის მრავალეთნიკურ და მრავალრწულიან საზოგადოებაში რელიგიური თანაარსებობისა და იმპერიული სტაბილურობის უზრუნველყოფის ერთგვარ ინსტრუმენტად იქცა, თუმცა, ამავდროულად, გაამძიერა თემთაშორისი სეპარაცია და ხელი შეუწყო რელიგიური იდენტობების ინსტიტუციონალიზებას. ახლო აღმოსავლეთში არამუსლიმების სამი ძირითადი მილეთი არსებობდა: რუმ მილეთი (მართლმადიდებლები), იაჰუდ მილეთი (ებრაელები) და ერმენ მილეთი (სომხები), ამ უკანასკნელში შედიოდნენ მარონიტები და ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები კათოლიკეები.

რაც შეეხება ქრისტიანთა მიმართ ოსმალეთის მმართველობის დადებით და უარყოფით მხარეებს, დადებითად შეიძლება ჩაითვალოს XVI საუკუნის დასაწყისში სირიის, პალესტინისა და ეგვიპტის გაერთიანება ოსმალეთის იმპერიის ქვეშ. ოსმალეთს დაპყრობილი ჰქონდა კონსტანტინოპოლი (1453 წ.) და ბალკანეთი, რაც ნიშნავდა VII საუკუნის შემდეგ ახლო აღმოსავლეთის არაბი მართლმადიდებელი ქრისტიანების ერთი მმართველის ქვეშ ამ რეგიონის სხვა მართლმადიდებელ ქრისტიანებთან ერთად ხელახლა გაერთიანებას. ერთის მხრივ, გადაადგილება და კომუნიკაცია სხვადასხვა საპატრიარქოს შორის (კონსტანტინოპოლი, ალექსანდრია, ანტიოქია და იერუსალიმი) მარტივი იყო და მეორე მხრივ, რთული იყო ოსმალეთის მმართველების მიერ დაწესებული მკაცრი გადასახადების გადახდა, ასევე პატრიარქებისა თუ ეპისკოპოსების დანიშვნისას ქრთამის აღება, განსაკუთრებით კი ანტიოქიის საპატრიარქოში. არაბ მართლმადიდებელ ქრისტიანებს ესაჭიროებოდათ როგორც საზღვარგარეთის დაფინანსების მოპოვება, ასევე განათლების დონის ამაღლება სამღვდელმთავროებში, რამაც ბიძგი მისცა ანტიოქიის პატრიარქებს, გამგზავრებულიყვნენ საზღვარგარეთ და კავშირი დაემყარებინათ სხვა ქრისტიანებთან – მართლმადიდებლებთან და კათოლიკეებთან (კოჭლამაზაშვილი, 2022, გვ. 117-132).

ზემოხსენებული გადასახადების გარდა, ცალკე გადასახადს იხდიდა პატრიარქიც. კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ (1453 წ.) პატრიარქი უფრო დამოკიდებული

გახდა სულთანზე. ყოველი კანდიდატი იხდიდა გადასახადს, „ფეშქეშ“. XVI საუკუნიდან გადასახადს სისტემატური სახე მიეცა და XVIII საუკუნეში უკვე საპატრიარქო ვალის სახით უხდიდა ოსმალთა იმპერიას (კოჭლამაზაშვილი, 2022, გვ. 117-132).

თეორიულად ითვლებოდა, რომ პატრიარქები თავისუფლად მოქმედებდნენ და ოსმალ მმართველებს უფლება არ ჰქონდათ, ჩარეულიყვნენ მართლმადიდებელთა შიდა საქმეებში, გაეპროტესტებინათ პატრიარქებისა და ეპისკოპოსების სასამართლო გადაწყვეტილება, ან გაეჩხრიკათ ეკლესიები და მონასტრები. ამასთანავე, პატრიარქები კონტროლს უწევდნენ გარდაცვლილი ბერებისა თუ არქიეპისკოპოსებისგან მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ ქონებას, რომელიც ეკუთვნოდა სასულიერო დაწასებულებებს (Иванов, 1992); (კოჭლამაზაშვილი, 2022, გვ. 117-132) .

იმავეს ამტკიცებენ სულთნის ბერათებიც (აქტები), რომ ქრისტიანები თავისუფლად ახორციელებდნენ ღვთისმსახურებას, თუმცა კონსტანტინე პანჩენკო აღნიშნავს, რომ რეალურ ცხოვრებაში ბერათების უმეტესობას არ იცავდნენ და სულ სხვა სურათის წარმოდგენაა შესაძლებელი. პატრიარქები კონსტანტინოპოლში სულაც არ იყვნენ ხელშეუხებელნი და არც განსაკუთრებული პატივისცემით ექცეოდნენ მათ. ზოგი მათგანი ჩამოახრჩეს, ზოგი აწამეს და ზოგიც დააკავეს (Панченко, 2012, стр. 100-101); (კოჭლამაზაშვილი, 2022, გვ. 117-132).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მართლმადიდებელი სამღვდელოებისთვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას ტაძრების მშენებლობასა და რემონტთან დაკავშირებული მაღალი ხარჯები წარმოადგენდა. ნებართვას ამ სამუშაოებზე კონსტანტინოპოლის პატრიარქი იღებდა მუსლიმთაგან და მისი მიღება ხშირად დამატებით ფინანსურ რესურსებს საჭიროებდა, ზოგჯერ უფრო მეტს, ვიდრე თავად მშენებლობა ან რემონტი. ამის გამო ტაძრების შენარჩუნება და განვითარება მრავალი თემისთვის სირთულეს წარმოადგენდა, რაც მნიშვნელოვნად ართულებდა ეკლესიური ინფრასტრუქტურის არსებობას.

ცხადია, ოსმალეთის ექსპანსიის შემდეგ ანტიოქიის, იერუსალიმისა და ალექსანდრიის საპატრიარქოების ინსტიტუციური ძალაუფლება მნიშვნელოვნად

შემცირდა. პოლიტიკური და ადმინისტრაციული რეალობის ცვლილებების ფონზე, აღნიშნულმა საპატრიარქოებმა დაკარგეს თავიანთი სრულფასოვანი ავტოკეფალური სტატუსი და ფაქტობრივად დაექვემდებარნენ კონსტანტინოპოლის ეკლესიურ იერარქიას. მართალია, მათ ფორმალურად შეინარჩუნეს პატრიარქის ტიტული და გარკვეული იურისდიქცია, თუმცა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კონსტანტინოპოლის პატრიარქი გახდა დომინანტური ძალა, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, როგორიც იყო ეპისკოპოსთა არჩევა, საეკლესიო დავების გადაწყვეტა და საპატრიარქო კათედრების საქმიანობის კოორდინაცია. აღნიშნული ცვლილება ნაწილობრივ გამოწვეული იყო იმითაც, რომ ანტიოქია, იერუსალიმი და ალექსანდრია აღმოჩნდნენ მუსლიმური ხელისუფლების იურისდიქციაში და საჭიროებდნენ კონსტანტინოპოლთან მჭიდრო ურთიერთობას ქრისტიანული თემების უფლებებისა და ინსტიტუციური სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით. შედეგად, აღმოსავლეთის ეს უძველესი საპატრიარქოები ფორმალურად კვლავ არსებობდნენ, მაგრამ რეალურად მოქმედებდნენ კონსტანტინოპოლის ეკლესიის ძლიერი გავლენის ქვეშ.

რაც შეეხება XVII საუკუნეში სირია-ლიბანის ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანთა მოსახლეობისა და მონასტრების შესახებ ცნობებს, მათი რაოდენობა მცირეა. უფრო მოგვიანო პერიოდის წყაროები არსებობს, მაგალითად, როგორიცაა მოგზაური ვასილი გრიგოროვიჩ-ბარსკის მონასტრების აღწერა, რომელიც ეკუთვნის 1728 წელს. ამის გამო რთულია, გავიგოთ XVII საუკუნეში სამონასტრო ცხოვრების განვითარების დინამიკა. ბარსკიმ აღწერა ანტიოქიის საპატრიარქოს 11 მოქმედი მონასტერი (კოჭლამაზაშვილი, 2022, გვ. 117-132).

ასევე, აღსანიშნავია ინგლისელი მოგზაური მაუნდრელი, რომელმაც XVII საუკუნის ბოლოს იმოგზაურა რეგიონში და გარკვეული მონასტრები მოინახულა. იგი აღწერს არსებულ ვითარებას მონასტრებში.

უფრო მოგვიანო პერიოდის სირია-ლიბანის მონასტრებს (18 მონასტერი) აღწერს რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ეპისკოპოსი და ასევე პროფესიით აღმოსავლეთმცოდნე პორფირე უსპენსკი. იგი წარმოგვიდგენს მათ მდგომარეობას XIX საუკუნის პირველ ნახევარში, რის შედეგადაც შესაძლებელია, უკეთ დავინახოთ

მონასტერთა განვითარების თუ, პირიქით, დაცემის დინამიკა. არსებობს ცალკეულ მონასტრთა ქრონიკებიც.

1700 წლის მონაცემებით, დამასკოში მოსახლეობის 11% წარმოადგენდნენ ქრისტიანები 60-65 ათასი მოსახლისგან (Панченко, 2012, стр. 121) დამასკოს ქრისტიანები იყოფოდნენ 5 საზოგადოებად – მართლმადიდებლები, იაკობიტები (150 ოჯახი 1719 წლისთვის), მარონიტები (50 ოჯახი 1710 წლისთვის), სომხები (სხვადასხვა მონაცემით, 13 ოჯახიდან 30 ოჯახამდე XVI საუკუნეში) და ე. წ. ფრანკები (ევროპელ ვაჭართა კოლონიები) (Heyberger, 1994, p. 19); (Григорович-Барский, 1747, pp. 314-319) . მართლმადიდებლები შეადგენდნენ ქრისტიანული საზოგადოების უდიდეს ნაწილს. მათ ჰქონდათ 3 ეკლესია – ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარი, წმ. ნიკოლოზის, კვიპრიანესა და იუსტინეს ეკლესიები. ოსმალთა ეპოქის დასაწყისში ქრისტიანებს დამასკოში ეკუთვნოდათ წმ. ანანიას სახელობის ეკლესია, რომელიც გაერთიანებული იყო მუსლიმურ მეჩეთთან. შემდგომ ის ქრისტიანებმა დაკარგეს XVI საუკუნის შუა რიცხვებიდან XVII საუკუნის შუა რიცხვებამდე. რაც შეეხება მოგვიანო პერიოდს, მოგზაური ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკი აღწერს მას, როგორც მიტოვებულ შენობას (Григорович-Барский, 1747, p. 316); (კოჭლამაზაშვილი, 2022, გვ. 117-132).

სოციოლოგი და დემოგრაფი ფილიპ ფარგუსი თავის კვლევაში აღწერს ახლო აღმოსავლეთში არაბ ქრისტიანთა დემოგრაფიას და ერთმანეთს ადარებს სხვადასხვა ქალაქების მოსახლეობას 1580 და 1881 წლის მონაცემებით. დამასკოს შემთხვევაში ვხედავთ შემდეგ სურათს: 1580 წლისთვის ქრისტიანთა (ყველა კონფესია) რაოდენობა იყო 39,335 (მთლიანი მოსახლეობის 7.9%), ხოლო 1881 წლისთვის ქრისტიანთა რაოდენობა 61,576 (მთლიანი მოსახლეობის 15.1%) აღწევდა. თავის სტატიაში ფილიპ ფარგუსი არ გვაძლევს კონკრეტული კონფესიის რაოდენობას, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანთა რაოდენობა დამასკოში XVI საუკუნიდან XIX საუკუნემდე თითქმის გაორმაგდა (კოჭლამაზაშვილი, 2022, გვ. 117-132).

ოსმალეთის ჩანაწერების მიხედვით, 1585 წ. ალექსოში დაფიქსირდა 309 ქრისტიანული სახლი, რომელიც წარმოადგენს ქალაქის მოსახლეობის 4%. თუმცა ბოლო საუკუნენახევრის განმავლობაში ჩრდილოეთი და ცენტრალური სირიიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთი ანატოლიიდან მიგრაციის შედეგად ქრისტიანთა მოსახლეობა

საგრძნობლად გაიზარდა. ოსმალთა ჯიზის გადამხდელთა სიაში 1640 წლისთვის ნახსენებია 2500 სული ქრისტიანი, 1695 წლისთვის 5391 სული, 1740 წლისთვის 8120 სული, 1800 წლისთვის ქრისტიანთა რაოდენობა შეადგენდა მთლიანი მოსახლეობის 20% (الدمشقي، 1930، الصفحات 125-124) და 1881 წლისთვის მთლიანი მოსახლეობის 12.4 % (Fargues, 1998, p. 54).

ქრისტიანთა კომპაქტური დასახლების მხრივ, მეორე რაიონად ითვლებოდა დამასკოს ჩრდილოეთი არეალი – კალამუნის ფერდობი. XVI საუკუნის წყაროები აღნიშნავენ, რომ ამ ადგილას 14 ქრისტიანული დასახლება არსებობდა. დამასკოდან 30 კმ ჩრდილოეთით მდებარეობდა ცნობილი საიდნაიას მონასტერი თვითონ საიდნაიას დასახლებაში, სადაც, 1569 წლის ჩანაწერების მიხედვით, 1380 მაცხოვრებელი იყო და XVII საუკუნის ბოლომდე ეს ციფრი არ შეცვლილა. ასევე, აღსანიშნავია მაართა საიდნაია და მალულას დასახლება. მალულაში გრიგოროვიჩ-ბარსკი მოიხსენიებს 5 მღვდელს და 3 ეკლესიას (Григорович-Барский, 1747, p. 321).

ასევე, უნდა დავასახელოთ კარას დასახლება, სადაც ქრისტიანები ცხოვრობდნენ, თუმცა, სხვა რაიონებთან შედარებით, აქ შერეული მოსახლეობა იყო. ქრისტიანები მოსახლეობის ნახევარს შეადგენდნენ. ქრისტიანთა შორის იყვნენ მართლმადიდებლები და იაკობიტები. კონსტანტინე პანჩენკო ადარებს ერთმანეთს XVI საუკუნის ოსმალურ დეფთერებსა და გრიგოროვიჩ-ბარსკის XVIII საუკუნის კვლევას, სადაც ჩანს, რომ ქრისტიანთა რაოდენობა საგრძნობლად არის შემცირებული კარაში. იგი აღნიშავს, რომ ქრისტიანთა მოსახლეობის შემცირება ამ დასახლებაში დაიწყო XVII საუკუნის პირველ ნახევარში და უკვე 1645 წლისთვის გაუქმდა საეპისკოპოსო ტახტი. ბარსკიმ თავის მოგზაურობის პერიოდში ვერ ნახა მოქმედი ეკლესიები, მხოლოდ ნანგრევები მოინახულა. მის მიხედვით, წმ. ნიკოლოზის ეკლესია გადაკეთდა მეჩეთად. პავლე ალექსოელი (ალექსოს არქიდიაკონი 1627-1669 წ. და მემატიანე) კი 90 წლის წინ ამ ეკლესიების ხსენებისას არ საუბრობს მათ ასეთ მდგომარეობაზე (Панченко, 2012, стр. 127).

ცენტრალური სირიის ქრისტიანთა შესახებ ცნობები ცოტა შემორჩა. ცნობილია, რომ ჰომსი იყო იაკობიტების მთავარი კერა, სადაც 3 ეკლესია მდებარეობდა. ბარსკი ასევე აღნიშნავს 2 მართლმადიდებლურ ეკლესიას (Григорович-Барский, 1747, p. 329);

(Heyberger, 1994, p. 21). XVI საუკუნეში ჰამაში მოსახლეობა შეადგენდა 12 ათასს, ქრისტიანები უმცირესობაში იყვნენ. XIX -XX საუკუნეებში, უცხოური წყაროების მიხედვით, ქრისტიანები შეადგენდნენ მოსახლეობის მესამედს. ძველი ტაძრები გადაკეთდა მეჩეთად, დარჩა მხოლოდ ერთი ეკლესია. ასევე, XVIII საუკუნეში ქალაქ იდლიზში დაახლოებით 100 მართლმადიდებელი ქრისტიანი და 4-5 მღვდელი ცხოვრობდა. აღსანიშნავია, ასევე, შუგრე, სადაც 60 მართლმადიდებელი და ერთი მღვდელი ცხოვრობდა (Григорович-Барский, 1747, p. 344); (კოჭლამაზაშვილი, 2022, გვ. 117-132).

მოგზაურის ცნობით, 1623 წელს ქალაქ ტრიპოლში სულ მოსახლეობა იყო 9000. აქედან ქრისტიანთა რაოდენობა აღწევდა 2600 სულს, ე.ი მოსახლეობის 30%, რომელშიც შედიოდნენ მარონიტები, მართლმადიდებლები, ბერძნები და ჩამოსული “ფრანკი” ვაჭრები. წყარო, გვამცნობს, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში ქალაქში ლათინური, მარონიტული და მართლმადიდებლური (წმ. გიორგის სახელობის) ეკლესიები მომრავლდა (Григорович-Барский, 1747, გვ. 292). ასევე, ტრიპოლის გარშემო ჯბეილს, ტარტუსსა და ჰომსის მიდამოებში ქრისტიანები კომპაქტურად დასახლებულნი იყვნენ. ჯბეილი, ბატრუნი და ჯუბატ ბშარი ცნობილია როგორც მარონიტების ისტორიული სამშობლო, სადაც თავი შეაფარეს ყველაზე “ზნელ” პერიოდს, როდესაც ჯვაროსნები დამარცხდნენ და ოსმალეთმა დაიპყრო სირია. სწორედ აქ მდებარეობს მონასტერი კანუბინ, სადაც მარონიტმა პატრიარქებმა XV საუკუნეში გადაიტანეს რეზიდენცია, რათა თავი დაეღწიათ მამლუქებისგან. XVII საუკუნეების წყაროების მიხედვით, ჩრდილოეთით აკკარის ფერდობზე და ჯებელ ალავიში არსებობს სოფლები, რომელშიც დასახლებულნი არიან მართლმადიდებელი ქრისტიანები, მაგალითად: სისნია, ბუვაიდა, საფიტა, ტანურინ, მარმარიტა, ჰისნ, ანაზ და სხვა (Heyberger, 1994, p. 24). ამ მიდამოებში არსებობდა საეპისკოპოსოები, რომელსაც პატრიარქი მაკარი აზ-ზაიმი მოიხსენიებს XVII საუკუნის შუა რიცხვებში: “მეუბნებოდა მე ხური (მღვდელი) მასაად ალჰუსნი, რომ ალჰუსნიში, საფიტეში და მარმარიტეში ჩვენი სახლები 5000-ზე მეტი იყო; მარმარიტეში იყო 3 ეკლესია, პირველში მსახურობდა 24 მღვდელი და დიაკონი, მეორეში 12 მღვდელი და დიაკონი და მესამეში 8 მღვდელი და დიაკონი, თუმცა მათი რაოდენობა შემცირდა” (Панченко, 2012, стр. 125).

ფილიპ ფარგუსის კვლევის მიხედვით, 1580 წლისთვის ბეირუთისა და ტრიპოლის ქრისტიანთა რაოდენობა იყო 58,840 (მთლიანი მოსახლეობის 23.0 %), ხოლო 1881 წლისთვის ქრისტიანთა რაოდენობა აღწევდა 367,701 (მთლიანი მოსახლეობის 40.5 %) (Fargues, 1998, pp. 54-56).

რაც შეეხება სამხრეთ ლიბანს, XVI საუკუნის 20-60-იან წლებში ოსმალთა ჩანაწერები არ ახსენებენ ქრისტიანთა არსებობას სამხრეთ ლიბანში, თუმცა XVII საუკუნეში პავლე ალექსოელი უკვე აკეთებს ჩამონათვალს ათობით ქრისტიანულ სოფელზე ბეირუთის გარშემო და მის სამხრეთით (Heyberger, 1994, p. 23). ქრონიკებში მოხსენიებულია ქალაქში ორი მარონიტული ეკლესია, რომელიც მუსლიმებმა დაიპყრეს და გადააკეთეს მეჩეთად (1570 და 1661 წწ.). XVI საუკუნის ბოლოს მარონიტებმა და მართლმადიდებლებმა შეთანხმება დადეს ადგილობრივი მართლმადიდებლური ტაძრის საერთო გამოყენებაზე, რაც იშვიათი შემთხვევაა სირიის ეკლესიის ისტორიაში. ამის სანაცვლოდ, მართლმადიდებლები გამოიყენებდნენ მარონიტულ ეკლესიას უკვე ქალაქგარეთ (Григорович-Барский, 1747, გვ. 287-288).

XVI საუკუნის ბოლოს საგადასახადო დოკუმენტების მიხედვით, სიდონიაში 3 ქრისტიანული სახლი არსებობდა. თუმცა, ფახრ ად-დინის ეპოქაში და ამავე დროს ევროპელ ქრისტიანებთან ვაჭრობის გამოცოცხლების გამო, ქრისტიანებმა დაიწყეს მიგრაცია მთებიდან ქალაქში. XVII საუკუნის წყაროებში ხშირად მოიხსენიება სიდონიის მართლმადიდებელ და მარონიტ ეპისკოპოსთა სახელები. გრიგოროვიჩ - ბარსკი აღნიშნავს თავის ნაშრომში მელქიტურ წმ. ნიკოლოზის ეკლესიასა და კათოლიკურ ეკლესიას (Григорович-Барский, 1747, გვ. 284-285).

ასევე, აღსანიშნავია, ფურსულის, აკურას და ჰამმარას სოფლები, სადაც ქრისტიანები სახლობდნენ. ამ რეგიონის ქრისტიანები ხშირად გადაადგილდებოდნენ მათთვის უსაფრთხო სოფლებიდან ბაალბეკში, რომელსაც სტაბილურად განაგებდა პარფუმის შიიტური დინასტია. 1523 წლიდან 1596 წლამდე ქრისტიანთა მოსახლეობა ამ ქალაქში გაიზარდა სამჯერ და შეადგენდა 312 სახლს 1000 მუსლიმური ოჯახის გვერდით, ხოლო პატრიარქ მაკარის დროს ქალაქში ითვლებოდა 150 მართლმადიდებლური ოჯახი (Панченко, 2012, стр. 127). მარონიტი პატრიარქისა და

ისტორიკოსის სტეფანე ად-დუვაიჰის ცნობით, ბაალბეკში არსებობდა ორი ეკლესია - მარონიტული და მართლმადიდებლური, რომელიც დაინგრა 1623 წლისთვის ფახრ ად-დინის მეგრძოლების მიერ ამ ქალაქის აღების შემდეგ, ხოლო გრიგოროვიჩ - ბარსკიმ ბაალბეკში ნახა მხოლოდ ერთი მართლმადიდებლური ეკლესია და 300 ქრისტიანული სახლი (Григорович-Барский, 1747, გვ. 308-313).

ასევე, უნდა აღინიშნოს რამდენიმე მართლმადიდებლური მონასტერი რეგიონში. ერთ-ერთი მათგანია საიდნაიას მონასტერი, რომელიც დამასკოდან 30 კმ. ჩრდილოეთით მდებარეობს. ხშირად იგი იყო თავშესაფარი ქრისტიანთათვის, სადაც ინახავდნენ საპატრიარქოს განძს. გრიგოროვიჩ ბარსკი აღწერს, რომ მონასტერი მოიცავდა 80 კელიას. ეკლესია მოიცავდა 4 სამლოცველოს, სადაც მსახურობდნენ იაკობიტებიც.

საიდნაიას მონასტრის დასახლებაში და მის გარშემო ბიზანტიის ეპოქაში 40 ეკლესიამდე და მონასტრამდე ითვლიდნენ, ხოლო ოსმალეთის ეპოქისთვის მხოლოდ ფუნდამენტები შემორჩა. მაუნდრელი ითვლის 16 ეკლესიას და ამბობს, რომ ამ ტაძართა უმეტესობა დანგრეულია. ასევე, უნდა დავასახელოთ მაალულას მონასტრები - წმ. თეკლას, სერგისა და ბაქოსის მონასტრები. წმ. სერგის მონასტერი საიდნაიას მონასტერის მსგავსი იყო და მასში ლოცვა სრულდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მომლოცველები მოდიოდნენ. რეგულარული მსახურება მიმდინარეობდა წმ. მოწამე თეკლას გამოქვაბულში. წმ. თეკლას მონასტერი შეინარჩუნეს მართლმადიდებლებმა, ხოლო სერგის და ბაქოსის მონასტრები გადავიდა უნიატების ხელში (ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის). უნდა აღინიშნოს ასევე, ქრისტიანული ცენტრი იარბუდში, ბარსკის აღწერით, აქ არ იყო მოქმედი მონასტრები, თუმცა ბევრი დანგრეული ტაძარი იყო. 85 წლით ადრე პავლე ალექსოვლმა მოინახულა კლდეზე წმ. კონონის ბიზანტიური კელია, რომელიც მიტოვებული იყო. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ დეირ სამაანის მონასტერი ალექსოსთან ახლოს. ოსმალთა პერიოდში მიტოვებული იყო, თუმცა შენარჩუნდა. ალექსოს მიტროპოლიტი პავლე ალექსოელი ხშირად მიდიოდა ამ მონასტრის ეკლესიაში და ადავლენდა ლიტურგიას (Панченко, 2012, стр. 243).

უფრო დასახლებულ პუნქტებში, როგორცაა ჰომსი, აღსანიშნავია წმ. ილიას მონასტერი, მუჰარადში და ქაფრ ბეგიმში წმ. გიორგის მონასტრები.

მნიშვნელოვან მონასტერს წარმოადგენდა (ბალამანდის მონასტერი) დეირ ალ-ბალამანდ ტრიპოლთან. იგი გახდა ერთ-ერთი უდიდესი მართლმადიდებლური კულტურული ცენტრი. მის ბიბლიოთეკაში 200-მდე ხელნაწერი წიგნი ინახება. მათ როგორც ჩანს ინტენსიურად გამოიყენებდნენ, რასაც ადასტურებს წარწერები გვერდებზე “წაიკითხა”, “ნახა”. ხელნაწერთა უმეტესობა დაწერილია ბალამანდის ბერების მიერ, ზოგი კი ნაჩუქარია.

ასევე, უნდა დავასახელოთ ჰამატურას მონასტერი. მონასტრის ნაწილი გამოქვაბულშია ჩაშენებული. გამოქვაბულის ზედა მხარეში ბერების კელიები იყო განთავსებული. უფრო ზევით გორაზე მდებარეობდა წმ. გიორგის მონასტერი, სადაც ადრე ზაფხულის პერიოდში ბერები ცხოვრობდნენ, ხოლო ბარსკის პერიოდში კი უკვე ეს ეკლესია მიტოვებული იყო. როგორც იგი აღნიშავს ეს მონასტერი ყველაზე ღარიბი იყო. როგორც ჩანს, ბალამანდის მართლმადიდებლური მონასტრის დაარსებამდე ჰამატურას მონასტერი იყო რეგიონის კულტურულ-რელიგიური ცენტრი. მონასტრის ბიბლიოთეკაში უამრავი წიგნია, რომელიც გადაწერილ იქნა XVI საუკუნეში ქრისტიანების და ანტიოქიის საპატრიარქოს იერარქების მიერ.

1.5. ადგილობრივი ხელისუფალნი

ოსმალთა მმართველობის პერიოდში ადგილობრივი ფეოდალები დიდი გავლენით სარგებლობდნენ სირია-ლიბანის ტერიტორიაზე. ამ პერიოდში ლიბანი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სირიასთან ადმინისტრაციული, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით. XVI-XVII სს. ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლების მიერ სირიაში გატარებული პოლიტიკა პირდაპირ აისახებოდა ლიბანის რეგიონზეც. ლიბანის პოლიტიკური და რელიგიური დინამიკა დაკავშირებულია სირიაში გატარებულ სტრატეგიებთან, რაც ზოგჯერ ადგილობრივი ავტონომიის შეზღუდვას, ზოგჯერ კი კომპრომისულ მმართველობით ფორმებს გულისხმობდა. თავის მხრივ, ლიბანელი ფეოდალები ცდილობდნენ, შეექმნათ ცენტრალიზებული ძალაუფლება.

ასეთ ფეოდალთა შორის იყო მაანების საგვარეულო და განსაკუთრებით აღსანიშნავია ფახრ ად-დინ II.

ფახრ ად-დინ მაანის აღზევება დაიწყო 1590 წლიდან, როდესაც მას სამართავად გადასცეს სიღონის სანჯაყი. თავდაპირველად ფახრ ად-დინი ოსმალეთის მხარდაჭერით სარგებლობდა, თუმცა ნელ-ნელა ამირი ნახევრად დამოუკიდებელ მმართველად გადაიქცა, რომელიც აკონტროლებდა ლიბანის ტერიტორიის დიდ ნაწილს. იგი იმ დონეზე ატარებდა დამოუკიდებელ პოლიტიკას, რომ კავშირი დაამყარა ტოსკანის საჰერცოგოსთან. ამ პერიოდში ოსმალეთმა დაიწყო „წესრიგის დამყარება“ სირიის პროვინციებში. 1613 წ. მაანების წინააღმდეგ გაიგზავნა იანიჩართა ჯარი. ფახრ ად-დინის უმეტესი ციხეები ოსმალებმა დაიპყრეს, თვითონ კი ტოსკანაში გაიქცა. 1617 წ. ფახრ ად-დინი დაბრუნდა ლიბანში. ამ პერიოდში მისი მოწინააღმდეგე მხარე საიფას კლანი იყო, რომელიც პერიოდულად მართავდა ტრიპოლის ეიალეთს. ფახრ ად-დინმა დაიპყრო ტრიპოლი და ბანუ საიფას მმართველობა დამთავრდა (Abu-Husayn, 1985, pp. 93-120).

მიუხედავად დრუზული წარმოშობისა, ფახრ ად-დინი აქტიურად მფარველობდა ქრისტიანებს. მან წაახალისა ის მარონიტი ქრისტიანები მთიან ლიბანში, რომლებიც ავითარებდნენ მეაბრეშუმეობას. სწორედ მაანების მმართველობის პერიოდში განვითარდა ხსენებული დარგი. ცხადია, ოსმალებს არ მოსწონდათ ის ფაქტი, რომ ფახრ ად-დინი აკონტროლებდა სირიის დიდ ნაწილს და, შესაძლოა, ნებისმიერ დროს აეღო დამასკო. 1633 წელს სულთან მურად IV-მ ირანთან დამარცხების შემდეგ თავისი ჯარი გაგზავნა ლიბანის წინააღმდეგ. როგორც 20 წლის წინ, ოსმალეთმა ადვილად დაამარცხა ფახრ ად-დინი და 1635 წ. იგი კონსტანტინოპოლში აწამეს.

ქრისტიანი მემკვიდრეები, მაგალითად, მარონიტი პატრიარქი და ისტორიკოსი სტეფანე ად-დუვაიჰი (1629-1704) ფახრ ად-დინზე წერდა: „ფახრ ად-დინის მმართველობის პერიოდში ქრისტიანებს ამაყად ეჭირათ თავი, ისინი აშენებდნენ ეკლესიებს, დადიოდნენ ცხენებით, ატარებდნენ ქუდებს და მდიდრული ქვებით გაწყობილ იარაღს. მისიონერები ძირითადად სახლობდნენ მთიან ლიბანში, ვინაიდან სამხედრო რაზმების დიდ ნაწილს ქრისტიანები შეადგენდნენ, მათი მსახურები და მცველები მარონიტები იყვნენ“ (Abu-Husayn, 1985, p. 127); (ტიკაძე, 2012, გვ. 75-80).

თანამედროვე მკვლევართა მიერ ფაზრ ად-დინი მიჩნეულია ოსმალთა პერიოდის სირია-ლიბანის ერთ-ერთ გამოჩენილ მმართველად. ამირა ცდილობდა სოფლის მეურნეობის ხელშეწყობასა და ვაჭრობის გაფართოებას. მართალია, ფისკალური შემოსავლის დიდი ნაწილი გადიოდა ლიბანიდან და ქრთამის სახით მაღალი თანამდებობის ოსმალ მოხელეებს გადაეცემოდა, მაგრამ პოლიტიკური მიზნის მისაღწევად ასეთი მეთოდის გამოყენება ოსმალეთის იმპერიაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო და ხშირად უფრო ეფექტურიც, ვიდრე იარაღი.

დრუზთა ლიდერი და ლიბანის დამოუკიდებელი მმართველი ამირი ფაზრ ად-დინ II აქტიურად ერეოდა ანტიოქიის მართლმადიდებელი საპატრიარქოს შიდა საქმეებში. მისი ჩარევა გულისხმობდა ისეთი მნიშვნელოვანი ეკლესიური საკითხების გადაწყვეტას, როგორიც იყო პატრიარქის არჩევა, რაც ადგილობრივი პოლიტიკისა და საეკლესიო მმართველობის მჭიდრო კავშირზე მიუთითებდა. ფაზრ ად-დინის მხრიდან მსგავსი ჩარევა მიზნად ისახავდა რეგიონში საკუთარ პოლიტიკურ ძალაუფლებაზე კონფესიური ინსტიტუტების მეშვეობით დამატებითი კონტროლის დამყარებას, რაც ერთგვარად არღვევდა პატრიარქის ავტონომიას და უკავშირდებოდა როგორც მისი მმართველობის ლეგიტიმაციის, ასევე ადგილობრივი ქრისტიანული თემების მხარდაჭერის უზრუნველყოფის სურვილს. XVII საუკუნის ოციან წლებში პატრიარქობის კანდიდატად დასახელდა კირილე IV ად-დაბბასი და ეგნატე III ატია. ამ უკანასკნელს მფარველობდა ფაზრ ად-დინი და 1628 წ. ანტიოქიის საპატრიარქოს ყველა ეპისკოპოსი მიიწვია სინოდის სხდომაზე ბაალბექში, სადაც ერთხმად გადაწყდა ეგნატე III ატიას პატრიარქად დანიშვნა. რაც შეეხება კირილე IV ად-დაბბასს, ის დრუზი ამირას ჯარისკაცებმა მოკლეს (Raheb, 1981, pp. 20-26); -39 رستم، 1988، الصفحات (43).

1.6. ანტიოქიის საპატრიარქოს კავშირი რომთან და რუსეთთან

მისიონერები ახლო აღმოსავლეთში მას შემდეგ გამოჩნდნენ, რაც რომში რწმენის გავრცელების კონგრეგაცია ჩამოყალიბდა. კლიმენტი VIII-მ 1599 წელს მისიონერული საქმიანობის გასატარებლად დააარსა კონგრეგაცია, ხოლო 1622 წ. ამ ორგანიზაციას

გრიგორი XV-მ მუდმივი ინსტიტუციური სახე მისცა. კონგრეგაცია აერთიანებსა ცამეტ კარდინალს, ორ პრელატსა და ერთ მდივანს.

კონგრეგაციის ჩამოყალიბებას ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებდა: ერთის მხრივ, კათოლიკური მისიონერული საქმიანობის სფეროში რელიგიურ ორდენებს შორის საერთო და კოორდინირებული მეთოდოლოგიის არარსებობა; ხოლო მეორე მხრივ, ესპანეთისა და პორტუგალიის მონარქიების მიერ მისიონერებზე გადაჭარბებული პოლიტიკური და ადმინისტრაციული კონტროლი, რაც ხელს უშლიდა წმინდა საყდარს მისიონერული საქმიანობის გაწევაში, უშუალო ჩართულობასა და ავტონომიის შენარჩუნებაში. შედეგად, ვატიკანმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეექმნა სპეციალიზებული ინსტიტუციური სტრუქტურა — რწმენის გავრცელების კონგრეგაცია, რომელიც შეძლებდა მისიონერული ძალების კონსოლიდაციასა და მათი საქმიანობის ცენტრალიზებულ მართვას.

ახალმა კონგრეგაციამ 1622 წლის 14 იანვრიდან დაიწყო მუშაობა. წერილები დაიგზავნა ორდენტა ლიდერებთან და მისიების ხელმძღვანელებთან, სადაც ითხოვდნენ სრულ ინფორმაციას მისიების მსვლელობის, პროგრესისა და პროპაგანდის მნიშვნელობის შესახებ. ამ საქმეს ოცი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ფრანჩესკო ინგოლი – რავენელი მღვდელი. გამოვლინდა ამ ორგანიზაციის რამდენიმე უარყოფითი მხარეც, ესენია: მისიონერთა არასაკმარისი რაოდენობა, ადგილობრივი ენისა და კულტურის იგნორირება, უთანხმოება მისიონერულ ორდენებს შორის, ადგილობრივი სამღვდელოების განვითარების მარცხი და ძირძველ კულტურულ ღირებულებებში ადაპტირების ნაკლები სურვილი. ამ მიზეზთა შესწავლის შემდეგ, კონგრეგაციამ დაიწყო მუშაობა მისიონერული მეთოდების გაუმჯობესებაზე (New Catholic Encyclopedia v. XI, 1967, pp. 840-842).

1627 წ. ურბან VIII-ის დროს პროპაგანდის სემინარიას ეწოდა ურბანის კოლეგია, რომელშიც ნებისმიერი წარმომავლობის მღვდლობის კანდიდატებს მიეცემოდათ სწავლის საშუალება. ქრისტიანული ლიტერატურის გასავრცელებლად პროპაგანდამ 1626 წ. შექმნა საკუთარი სტამბა. XVIII საუკუნისთვის სტამბას გააჩნდა 44 აზიური და აფრიკული ენა. პროპაგანდა დაიკეტა 1809 - 1814 წლებში და აღდგენილ იქნა 1817 წ. პიუს VII-ის დროს.

კონგრეგაციის 1350-ე კანონის თანახმად, ადგილობრივი მმართველები პასუხისმგებელნი იყვნენ, გაევრცელებინათ რწმენა არა მხოლოდ კოთლიკეებს შორის, არამედ მთლიან ქრისტიანულ მოსახლეობაში. კონგრეგაციაში შემავალ იურისდიქციებს შორის ერთ-ერთი იყო აღმოსავლური საქმეთა იურისდიქცია. იგი მოიცავდა ეგვიპტეს, სინას მთას, ჩრდილოეთ ეთიოპიას, სამხრეთ ალბანეთს, ბულგარეთს, კვიპროსს, საბერძნეთს, ირანს, ერაყს, პალესტინას, სირიასა და თურქეთს (New Catholic Encyclopedia v. XI, 1967, pp. 840-842).

რწმენის გავრცელების კონგრეგაციის ჩამოყალიბების შემდეგ აღმოსავლეთში მალევე გამოჩნდნენ მისიონერები. ამ პერიოდში სირიის კათოლიკეები (მარონიტები) გაერთიანებულნი იყვნენ რომთან. მისიონერები დასახლდნენ ალექსოში, სიდონში, ტრიპოლისა და დამასკოში. მათი უმრავლესობა დაკავებული იყო სავაჭრო ან დიპლომატიური საქმიანობით, თუმცა ეს უკანასკნელი დროებითი აღმოჩნდა. მათ მისიას წარმოადგენდა მეღვინეობის, ნესტორიანელების, იაკობიტებისა და სომხების საზოგადოებაში შეღწევა, თუმცა ეს არ იყო მარტივი, რადგან ქრისტიანები, ლინგვისტური და ეთნიკური თვალსაზრისით, განსხვავდებოდნენ. მათი ყოფნა სირიაში მნიშვნელოვანი იყო, როგორც ხალხის განათლების დონის ასამაღლებლად, ასევე მორალური მხარდაჭერისთვის. ამის გამო, ანტიოქიის საპატრიარქო დადებითად განეწყო იეზუიტების, კაპუცინელებისა და ფრანცისკელების მიმართ. მისიონერები ალექსო მიტროპოლიტ მელეეთოს ქარმას დახმარებით ახორციელებდნენ ინტელექტუალურ საქმიანობას სირიაში. სხვადასხვა მისიონერულ ორდენებთან - კაპუცინელებთან, იეზუიტებთან და ფრანცისკელებთან მელეეთოს ქარმას კარგი ურთიერთობა ჰქონდა. მისთვის მნიშვნელოვანი იყო სულიერი და ინტელექტუალური მხარდაჭერის მიღება, არაბი მართლმადიდებლების დასახმარებლად (2008 ,كيا, p. 150); (Frazee, 2006, pp. 132-137).

მისიონერებს შორის მოიმატა დამაბულობამ ფრანცისკელების მხრიდან კაპუცინელების მისამართით მარონიტულ ეკლესიებში ქადაგების აკრძალვის შემოღების გამო. აღნიშნული აკრძალვის სისრულეში მოსაყვანად მათ წააქეზეს მარონიტული ეკლესიის ხელმძღვანელობა. ლოცვა მარონიტულ ტაძრებში კაპუცინელებისთვის წარმოადგენდა სხვა ქრისტიანებთან ურთიერთობის შესაძლებლობას, რასაც ფრანცისკელები აპროტესტებდნენ (Raheb, 1981, p. 61).

მიუხედავად იმისა, რომ კარმელიტები ნაკლებად აქტიურნი იყვნენ მისიონერულ საქმიანობაში ახლო აღმოსავლეთში, მათ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ სხვა ორდენების წარმომადგენლებთან, განსაკუთრებით იეზუიტებთან და ადგილობრივ სამღვდელოებასთანაც.

ამავე პერიოდში იეზუიტები გამოირჩეოდნენ აქტიური საგანმანათლებლო საქმიანობით. 1629 წლისთვის იეზუიტებს უკვე დაარსებული ჰქონდათ სკოლა ბერძენი სტუდენტებისთვის, 1633 წელს კი დაარსდა სკოლა ალექსო ქრისტიანებისთვის (Raheb, 1981, p. 63); (Nasrallah J. , 1979, p. 58).

XVII საუკუნეში ანტიოქიის საპატრიარქოს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ევროპელ მისიონერებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ალექსო სამიტროპოლიტო, რომლის სასულიერო წრეს აქტიური მიმოწერა და მიმოსვლა ჰქონდა რომთან. ალექსო მართლმადიდებელი სამღვდელოებას სჭირდებოდა არაბულ ენაზე სასულიერო ლიტერატურაზე წვდომა, რაც დაეხმარებოდა ადგილობრივ თემს თეოლოგიური საკითხების სიღრმისეულად გააზრებაში. ამ პერიოდში ბერძნულენოვანი სასულიერო ლიტერატურა ითარგმნა არაბულ ენაზე, თუმცა ფულადი სახსრების არქონის გამო ვერ მოხერხდა ამ ნაშრომების გადაწერა და დაბეჭდვა. მიუხედავად ამისა, ალექსო სამიტროპოლიტოსთვის ურთიერთობა ევროპელ მისიონერებთან არა მხოლოდ სულიერ, არამედ პრაქტიკულ სარგებელსაც გულისხმობდა, რაც მოიაზრებდა როგორც საგანმანათლებლო, ისე ტექნიკურ მხარდაჭერას.

სწორედ ამ მიზეზის გამო ქარმამ მიმართა დახმარებისთვის ალექსოში მცხოვრებ ფრანცისკელებს. ამ უკანასკნელთა დახმარებით, ქარმას მიმოწერა ჰქონდა რომთან. 1619 წელს მიტროპოლიტმა მისწერა პაპ პავლე V-ს და აცნობა ოსმალეთის იმპერიის ქვეშ მყოფი ქრისტიანების მდგომარეობის, სწავლულთა და წიგნების ნაკლებობის შესახებ. მან ხაზი გაუსვა არაბული და ბერძნული ენების სპეციალისტთა საჭიროებას, გამომდინარე იქიდან, რომ ალექსო მართლმადიდებლური საზოგადოება მსგავსი ტიპის პრაქტიკას აღიქვამდა საგანმანათლებლო და თეოლოგიური განვითარების აუცილებელ პირობად. პაპი დადებითად განეწყო იმ ფაქტის მიმართ, რომ არაბული ენის სწავლებას სტიმული მიეცა ევროპაში, რასაც საფუძველი 1311 წ. პაპმა კლიმენტი V-მ ჩაუყარა რომის, პარიზის, ოქსფორდის, სალამანკასა და ბოლონიის

უნივერსიტეტებში. მელეთიოს ქარმამ პაპის ასეთი ნაბიჯი აღიქვა, როგორც „მტრედი, რომელმაც წარღვნის დასრულების შესახებ აუწყა ნოეს ან გაუნათლებლობის დასასრული და უმეცრების ტირანიის ჩამოშლა“. 1621 წელს მან რომში გაგზავნა აბსალონი, რომლის მიზანი იყო დახმარება. მას თან ახლდა ფრანცისკელი მამა თომას ობიცინი. აბსალონი ძალიან კარგად მიიღეს რომში, თუმცა დახმარება, რომელსაც მელეთიოს ქარმა ელოდა, არ იყო ნახსენები ამ ვიზიტის განმავლობაში. რწმენის გავრცელების კონგრეგაციამ დაარწმუნა აბსალონი, რომ ბიბლია უნდა თარგმნილიყო და გამოცემულიყო არაბულ ენაზე. მომდევნო წერილში მიტროპოლიტმა ქარმამ კონგრეგაციას შესთავაზა 5 პირობა ამ თარგმანის განსახორციელებლად: 1) გაეგზავნათ მარონიტი მღვდელი გასპარ ალ-ღარიბი ალექოში; 2) იერუსალიმიდან გაეგზავნათ თომას ობიცინი; 3) მისიონერები ინფორმირებულნი ყოფილიყვნენ, რომ რომი გეგმავდა როგორც არაბულ, ისე ბერძნულ ენაზე არსებული ლიტერატურის მათთვის გაგზავნას; 4) თარგმნის პროცესი უნდა დასრულებულიყო მოხუცი გასპარ ალ-ღარიბის სიცოცხლის განმავლობაში, მისი გამოცდილების გამოყენების მიზნით და 5) თარგმანი უნდა შესრულებულიყო ალექოში და დასრულების შემდეგ გადაგზავნილიყო რომში. შესრულებული თარგმანი ალექოში საჭიროებდა შედარებას არსებულ ხელნაწერებთან, რის შემდეგაც დაიბეჭდებოდა და გავრცელდებოდა. ქარმამ ასევე მოითხოვა შვიდი ლიტურგიული წიგნის დაბეჭდვაც. 1623 წლის 4 სექტემბერს პაპი ურბან VIII დაეთანხმა გასპარის გაგზავნას (Raheb, 1981, pp. 40-41).

1627 წლის 12 აპრილს იეზუიტი მამები დაბრუნდნენ ალექოში სულთნის ბრძანებით. ქარმამ იეზუიტებს შესთავაზა, რომ მათი რეზიდენცია გამოეყენებინათ საგანმანათლებლო დაწესებულებად მელქიტებისთვის. იეზუიტებმა მხარი დაუჭირეს ამ შეთავაზებას და დააარსეს სკოლა, სადაც სწავლა დაიწყო ადგილობრივმა ახალგაზრდობამ. მცირე დროში მელქიტი სტუდენტების რაოდენობა 34-მდე გაიზარდა, რაც აღნიშნული ინიციატივის მიმართ მაღალ ინტერესზე მიუთითებს. ამავე პერიოდში ქარმა გაემგზავრა სირიის დიდ ქალაქებში და შეისწავლა ბიბლიის ყველა არაბული ვერსია. ხსენებული ტექსტები გადასცა რწმენის გავრცელების კონგრეგაციას (Raheb, 1981, p. 42).

შემდგომ ალექოს ბერძენმა არქიდიაკონმა მიქაელმა მიმართა რომს კაპუცინელების თაობაზე. პაპმა ურბან VIII-მ ორი წერილი მისწერა, სადაც ღრმა პატივისცემას

გამოხატავდა იმის თაობაზე, რომ ასწავლიდა არაბულ ენას კაპუცინელ პაციფიკოსა და მის თანმხლებ პირებს. მიქაელმა პაპისგან მოითხოვა რამდენიმე არაბული და ბერძნული წიგნი: ავიცენას წიგნი, ახალი აღთქმა არაბულად და ძველი აღთქმა ბერძნულად. კონგრეგაციამ მადლობა გადაუხადა ბერძენ და სხვა მართლმადიდებელ ქრისტიანებს მათი დადებითი განწყობისთვის ალექსოს კაპუცინელების მიმართ. მას გაუგზავნეს ჩამოთვლილი წიგნები და მოუწოდეს, ჩართულიყო ერის წმინდა კავშირისკენ შეყვანის მისიაში (Raheb, 1981, p. 43).

ქრისტიანული სასულიერო ლიტერატურის დაბეჭდვა ვერ მოხერხდა თხუთმეტწლიანი მცდელობის შემდეგ. XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისში ათანასე ად-დაბბასის დროს მოხდა არაბული სასულიერო ლიტერატურის დაბეჭდვა და გამოცემა. არაბული სამეცნიერო ლიტერატურიდან შემდეგი ირკვევა: ალექსოს საეპისკოპოსო ტახტი მელეთიოს ქარმამ დაიკავა. გამოირჩეოდა მისი მოსწავლე ფუჰანა აზ-ზაიმი, რომელიც თავისი მასწავლებლის მეშვეობით, 1635 წლიდან 1647 წლამდე ალექსოს ეპისკოპოსი იყო. იგი საპატრიარქოს ტახტზე ავიდა მაკარი III სახელით. მისი ერთ-ერთი მემკვიდრე ალექსოს საპატრიარქო ტახტზე არის ათანასე III ად-დაბბასი. 1700 წ. გაემგზავრა ვლახეთში (რუმინეთში) და იქ დაჰყო ოთხი წელი. მან რუმინეთში დაბეჭდა რამდენიმე ლიტურგიული წიგნი და არაბულ რეგიონში პირველი ნაბეჭდი წიგნები ჩამოიტანა. ამ კულტურულმა აღორძინებამ ქალაქ ალექსოში და განსაკუთრებით მელქიტებში მწვერვალს მიაღწია. ხსენებული საქმიანობა მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა: ნაშრომების შექმნა, თარგმნა, ფერწერა და ბეჭდვა. ყოველივე ეს განხორციელდა ალექსოში ღვთისმშობლის მერთლმადიდებლურ ეკლესიაში. ყველაზე დიდი მიმდინარეობა ალექსოში მართლმადიდებლობაა. მარონიტი ანტონ საკარის მიერ 1740 წელს შედგენილი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მათი რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით 13500 სულს (الجبلي، 1988، الصفحات 7-26).

მაკარი III აზ-ზაიმსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა დასავლელ მისიონერებთან. მისი დახმარებით სემინარია გაიხსნა ალექსოში. 1645 წელს რწმენის გავრცელების კონგრეგაციამ ამ ქალაქში ლათინი ეპისკოპოსიც დანიშნა. აზ-ზაიმმა შეძლო იმდენად გაეუმჯობესებინა ალექსოს მართლმადიდებლური ეპარქიის ფინანსური მდგომარეობა,

რომ თვითონ პატრიარქი ორჯერ ჩავიდა მასთან მატერიალური დახმარების მისაღებად გადასახადების გადახდის მიზნით (Raheb, 1981, p. 100).

მისიონერებისთვის უფრო მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა დამასკოელი ექვთიმე ას-საიფი, რომელიც 1682 წელს გახდა ტვიროს-სიდონიის მიტროპოლიტი. მან განათლება მიიღო მისიონერულ სკოლაში. 1683 წლის დეკემბერში ექვთიმემ ფარულად, პატრიარქისგან დამოუკიდებლად მიიღო კათოლიციზმი და რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ცდილობდა აღმოსავლეთში მართლმადიდებლურ საზოგადოებაზე კათოლიკური გავლენა მოეხდინა. ექვთიმე რეგულარულ დახმარებას იღებდა რომიდან, აქტიურობდა მისიონერულ საქმიანობაში, აქტიურად იყო ჩართული კათოლიციზმის პროპაგანდულ საქმიანობაში. იგი ავრცელებდა კათოლიციზმს სიდონში მომლოცველებს შორის, ლიბანის მთის, ჰაურანისა და პალესტინის ქრისტიანებში. ამ მიზნით მან 1685 წ. დააარსა „ალ-მუხალის“-ის მონასტერი. 1701 წ. ექვთიმე დაინიშნა ლევანტის ყველა უნიატური მელქიტის მმართველად. იგი ავრცელებდა კათოლიკურ წიგნებს არაბულ ენაზე. ბუნებრივია, ამან ანტიოქიის საპატრიარქოში უკმაყოფილება გამოიწვია და მისი ეკლესიიდან განდევნა მოითხოვეს, თუმცა მას მფარველობდნენ ოსმალეთის ფაშა და ფრანგი დიპლომატები. 1686-1694 წწ. ანტიოქიის საპატრიარქო გაიყო კირილესა და ათანასე ად-დაბასს შორის. დამასკოს კათოლიკური ეკლესიის სკოლის კურსდამთავრებული ათანასე მრავალი წლის განმავლობაში ორმაგ თამაშს თამაშობდა. 1687 წ. აპრილში მან ფარულად გაუგზავნა წერილები პაპს და საფრანგეთის კონსულს ალეპოში, სადაც აღიარებდა კათოლიკური სარწმუნოებას. დასავლელ მისიონერებთან ასეთმა მჭიდრო კავშირმა ოსმალეთის გავლენა დაასუსტა და კირილეს დაუკავშირდა რომის პაპს. იგი ცდილობდა ამით „საერთო მტერი“ დაემარცხებინა. 1724 წ. ათანასე ად-დაბასის გარდაცვალების შემდეგ, დამასკოელებმა კირილე VI (სერაფიმ ტანასი) ქ. დამასკოში ანტიოქიის პატრიარქად (საპატრიარქოს კათოლიკური შტო) დაასახელეს, ხოლო წმინდა სინოდმა კონსტანტინოპოლში პატრიარქის კანდიდატად დაასახელა სილვესტერი (მართლმადიდებლური შტო) (Панченко, 2012, стр. 438-39); (Walbiner C. M., 2003, pp. 11-14).

ვალბინერი აღნიშნავს, რომ ანტიოქიის მელქიტური საპატრიარქოს დაყოფა მართლმადიდებლურ და კათოლიკურ შტოებად, რაც მოხდა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში და რომელმაც გამოიწვია ახალი „გრეკოკათოლიკური“ (Greek Catholic) იდენტობის გაჩენა ახლო აღმოსავლეთში, იმდროინდელი საზოგადოებისა და ისტორიკოსების ინტერესის სფერო იყო. როგორც XVIII საუკუნის ისტორიკოსები იოჰანნა უჯაიმი და მიხეილ ბრეიკი აღნიშნავენ, ზემოხსენებული დაყოფა საზოგადოებებს შორის მეტოქეობისა და დასავლელი მისიონერების გავლენის შედეგი იყო. მელქიტურ ეკლესიაში კათოლიციზმის გაჩენა განიხილება არა როგორც ოპოზიციური მოძრაობა დაწესებულების წინააღმდეგ, არამედ როგორც ძალაუფლების მოპოვების მცდელობა არსებული მმართველობითი სისტემის შეცვლის გარეშე. ორივე ავტორი აღნიშნავს კათოლიკეებისადმი დაძაბული დამოკიდებულების გამოცდილებას მართლმადიდებლების მხრიდან (Walbiner C. M., 2003, pp. 32-33).

მისიონერთა გამოჩენას ახლო აღმოსავლეთში ბევრი მკვლევარი უკავშირებს ინტელექტუალური პროცესების განახლებას, განსაკუთრებით სირიის ტერიტორიაზე. უნდა გამოიყოს რამდენიმე ფაქტორი / მიზეზი ინტელექტუალური პროცესების განახლებისა. სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ისტორიოგრაფიულ, ასევე ფილოლოგიურ კვლევებში, გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ მახლობელი აღმოსავლეთის საქრისტიანოში განათლების დონის ამაღლებაზე მხოლოდ უნიატები ზრუნავდნენ, არა და აშკარაა, რომ XVII საუკუნიდან მოყოლებული ანტიოქიის მართლმადიდებლურ საპატრიარქოში იგრძნობა დიდი აქტიურობა. არაერთი მკვლევარი უკვე აშკარად ახდენს ამ მოძრაობის კვალიფიცირებას, როგორც ქრისტიანული არაბული მემკვიდრეობის აღორძინებას (კოჭლამაზაშვილი, 2022, გვ. 117-132).

აღსანიშნავია, რომ XVII–XIX საუკუნეებში რუსეთსა და ოსმალეთის იმპერიას შორის არაერთი ომი მოხდა. ამ სამხედრო დაპირისპირებების შედეგად, რუსეთის იმპერიამ შეძლო თავისი ტერიტორიული საზღვრების გაფართოება: სამხრეთით – შავ ზღვამდე, სამხრეთ-დასავლეთით – მდინარე პრუტამდე, ხოლო აზიის მიმართულებით – კავკასიონის მთების სამხრეთ ფერდობამდე. რუსეთ-ოსმალეთის ომებმა არსებითად შეამცირა ოსმალეთის იმპერიის გავლენა რეგიონში და მისი ეტაპობრივი დაცემაც

სწორედ ამ კონფლიქტების ერთ-ერთი შედეგი გახდა. ამ პროცესში რუსეთმა გააძლიერა პოლიტიკურ-სტრატეგიული პოზიციები ოსმალეთის ყოფილ ტერიტორიებზე (<https://www.britannica.com/topic/Russo-Turkish-wars>).

ხსენებულ ეპოქაში აღმოსავლურმა ეკლესიამ რუსეთთან კავშირი ჯერ კიდევ რუსეთ-ოსმალეთის ომებამდე დაიწყო. 1533 წ. ალექსანდრიის პატრიარქმა იოაკიმემ მიმართა რუსეთს წერილით, სადაც საუბრობს ეგვიპტელი ქრისტიანების სიღარიბის შესახებ, შემდეგ 1543 წ. პირველად მიმართა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა, რომელიც ითხოვდა დახმარებას ტაძრების აღსადგენად. მომდევნო მიმართვა დოსითეოსმა გააკეთა უკვე 1548 წ., როდესაც აცნობა პალესტინაში ძლიერი მიწისძვრის შედეგად ტაძრების დანგრევის შესახებ და დახმარება ითხოვა. ივანე IV-მ ალექსანდრიის პატრიარქს მხოლოდ მცირე ფინანსური დახმარება გაუგზავნა, ვინაიდან იმ პერიოდისთვის რუსეთს ჯერ კიდევ სრულად არ ჰქონდა ჩამოყალიბებული საკუთარი ინტერესები წმინდა მიწასთან დაკავშირებით. ამ სტრატეგიული ინტერესების გაცნობიერება და ჩამოყალიბება მოგვიანებით მოხდა. 1550-იან წლებში მოსკოვის დიპლომატიამ დაიწყო რუსი მმართველის მეფის ტიტულის აღიარების საკითხის განხილვა მართლმადიდებელ აღმოსავლეთში. კონსტანტინოპოლში და ათონის მთაზე გაიგზავნა წარმომადგენლობა ძღვენით. 1558 წ. რუსეთმა მისიით გაგზავნა არქიდიაკონი გენადი და ვასილი პოზნიაკოვი, რომელთაც სხვადასხვა დავალება მიეცათ. აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებელი აღმოსავლელი პატრიარქები რუსეთში ხედავდნენ მხსნელს, რომელიც გაათავისუფლებდა „უღმერთო თურქებისგან“ (Панченко, 2012, стр. 349); (კოჭლამაზაშვილი, 2022, გვ. 117-132).

პოზნიაკოვის მისია სასარგებლო აღმოჩნდა საპატრიარქოსთვის. რუსეთის მეფემ დახმარება გაუგზავნა ალექსანდრიისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს. 1560 წ. პოზნიაკოვი გადავიდა დამასკოში, მოწყალება გადასცა პატრიარქს, რითაც შედგა ანტიოქიის საპატრიარქოსა და რუსეთს შორის პირველი კავშირი.

XVI საუკუნის ბოლოს რუსეთის ხელისუფლებამ მართლმადიდებელი აღმოსავლეთის მხარდასაჭერად ფულადი დახმარება გაზარდა. ამავე პერიოდში კონსტანტინოპოლის პატრიარქთან მოლაპარაკების შემდეგ დაარსდა მოსკოვის

საპატრიარქო. შემდგომ წლებში მატერიალური დახმარება აღმოსავლეთის ეკლესიებში, განსაკუთრებით იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოებში ეტაპობრივად გაიზარდა (კოჭლამაზაშვილი, 2022, გვ. 117-132).

რაც შეეხება ანტიოქიის საპატრიარქოს, იგი ლევანტის ბერძნული სამყაროსა და მისი შიდა პოლიტიკისგან უფრო იზოლირებული იყო. იმ დროისთვის ანტიოქიის ეკლესია პრაქტიკულად არ მონაწილეობდა რუსულ-აღმოსავლური კავშირის ფორმირების პროცესებში. 1628 წლისთვის ურთიერთობა დაიძაბა, რის გამოც რუსეთმა შეწყვიტა დამასკოში ფინანსური დახმარების გაგზავნა. 1633 წელს ანტიოქიის პატრიარქმა ეგნატემ რუსეთის ხელისუფლებას გაუგზავნა წერილი, რომელშიც დახმარების შეწყვეტის გამო უკმაყოფილება გამოხატა და მხარდაჭერა მოითხოვა, თუმცა მისი თხოვნა დაუკმაყოფილებელი დარჩა (Панченко, 2012, стр. 361).

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს პატრიარქი მაკარი ანტიოქიელის კავშირი რუსეთთან. მისი პირველი მოგზაურობა შედგა 1653 წელს, ხოლო სამშობლოში დაბრუნდა 1656 წელს. პატრიარქი რუსეთიდან დაბრუნდა მრავალი მკირფასი საჩუქრით, მათ შორის ფულადი დახმარებით, ბეწვეულით, ხატებით, საეკლესიო ჭურჭლითა და სამოსით, ასევე სიგელებით, რომლებიც ადასტურებდა ანტიოქიის საპატრიარქოსა და სირიის მონასტრებისათვის რუსეთის მხრიდან რეგულარული მოწყალების მიღებას (Панченко, 2012, стр. 371); (بولس، 1912، صفحة 82).

1665 წელს მაკარი ანტიოქიელი მეორედ გაემგზავრა რუსეთში მეფესთან შესახვედრად და დახმარების სათხოვნელად. მეორე გაემგზავრებისას მაკარი თბილისის გავლით გაემართა რუსეთისკენ. თუმცა კარსტენ ვალბინერი აღნიშნავს, რომ მაკარი ანტიოქელის გაემგზავრება სპეციალურად მოიაზრებდა საქართველოსაც. მას სურდა, განეახლებინა ისტორიული ურთიერთობები საქართველოს ეკლესიასა და ანტიოქიის ეკლესიებს შორის. მისი მიზანი ასევე იყო დახმარების თხოვნა, რაშიც წარმატებას მიაღწია (Walbiner C. M., 1998, p. 99), შემდეგ კი გაემგზავრა რუსეთისკენ. მოსკოვში ჩასულ მაკარის დიდი ძღვენით დახვდნენ და დიდებული მიღება მოუწყეს მოსკოვის სამეფო სასახლეში. 1668 წ. მაკარი მოსკოვიდან ისევ თბილისისკენ გაემართა, სადაც ერთი წელი გაჩერდა. რუსეთის მეფემ მას ძღვენი გაატანა აღმოსავლელი ქრისტიანებისთვის, თუმცა იმაზე ნაკლები, ვიდრე მაკარი მოელოდა. რუსეთის მეფე

ალექსი I სამეფოს მმართველობის ბოლო წლებში ნაკლებ ინტერესს იჩენდა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის მიმართ და, შესაბამისად, ლევანტის პატრიარქების მიმართაც. პოლონეთთან ომის დასრულების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებას საგრძნობლად გამოეღია სამხედრო და ეკონომიკური რესურსი და არ ჰქონდა მასშტაბური „ექსპანსიის“ ძალა მართლმადიდებელ აღმოსავლეთზე, რომლის სურვილიც ჰქონდა მაკარის პირველი ვიზიტის დროს (Панченко, 2012, стр. 379-84); (55-50 الصفحات، 1988، رستم); (კოჭლამაზაშვილი, 2022, გვ. 117-132)

XVII საუკუნის მიწურულს რუსეთისა და მართლმადიდებლური აღმოსავლეთის ურთიერთობის მთავარ ფიგურად სახელდება იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოზი. რუსეთის მთავრობა მის სამსახურს იყენებდა სხვადასხვა საკითხის გადასაჭრელად. დოსითეოზი რუსეთს უყურებდა, როგორც მხსნელს კათოლიკეებისგან. იგი აგროვებდა სამხედრო-პოლიტიკურ ინფორმაციას და გადასცემდა სამეფოს ელჩებს კონსტანტინოპოლში ან პირდაპირ მოსკოვში. თავისი პატრიარქობის პერიოდში რუსეთთან ფარული კავშირის გამო დოსითეოზი საფრთხეში აგდებდა არა მარტო საკუთარ თავს, არამედ სამღვდელოებასაც. იმ შემთხვევაში, თუ ოსმალეთის ხელისუფლება შეიტყობდა მისი პოლიტიკური მიზნების შესახებ, მას სასიკვდილო განაჩენი ელოდა (Панченко, 2012, стр. 385-394); (კოჭლამაზაშვილი, 2022, გვ. 117-132)

შეიძლება ითქვას, რომ ახლო აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიები მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობდნენ რუსეთის იმპერიისგან, რაც მათ ინსტიტუციური გამძლეობისა და რელიგიური საქმიანობის შენარჩუნების საშუალებას აძლევდა. თავის მხრივ, რუსეთი აღნიშნულ ურთიერთობებში ხედავდა სტრატეგიულ პოლიტიკურ სარგებელს: მართლმადიდებელი სამღვდელოების მხარდაჭერა მას აძლევდა შესაძლებლობას, გაეზარდა საკუთარი გავლენა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე და თავი წარმოეჩინა აღმოსავლეთის მართლმადიდებლობის მთავარ დამცველად.

1.7. ანტიოქიის საპატრიარქოს ჩართულობა ინტელექტუალურ საქმიანობაში

ანტიოქიის საპატრიარქო ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი საეკლესიო კათედრაა ქრისტიანულ სამყაროში, თავისი ფესვებით ჯერ კიდევ მოციქულთა ეპოქამდე მიდის. ტრადიციულად მიჩნეულია, რომ ანტიოქიის ეკლესია დააარსა მოციქულმა პეტრემ, რაც მას განსაკუთრებულ ავტორიტეტს ანიჭებდა ადრეულ ეკლესიურ იერარქიაში. პეტრე მოციქული ითვლება ანტიოქიის პირველ ეპისკოპოსად. 70 წ. იერუსალიმის დანგრევის შემდეგ ანტიოქიის საპატრიარქო ყველაზე მნიშვნელოვანი საპატრიარქო გახდა აღმოსავლეთში. იგი მოიცავდა სირიას, ფინიკიას, არაბეთს, პალესტინას, კილიკიას, კვიპროსსა და მესოპოტამიას. 325 წელს ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ანტიოქიის საპატრიარქო აღიარებულ იქნა ერთ-ერთ უძველეს სამოციქულო საპატრიარქოდ რომისა და ალექსანდრიის საპატრიარქოების შემდეგ. მიუხედავად ამისა, V საუკუნეში მისი ძალაუფლება ეტაპობრივად დაქვეითდა. 451 წ. ანტიოქიის საპატრიარქომ დიდი დანაკარგი განიცადა, როდესაც ჩამოყალიბდა იერუსალიმის საპატრიარქო 58 საეპისკოპოთი, რომლებიც მანამდე ანტიოქიის იურისდიქციაში შედიოდა. კრების შედეგად დადგინდა ეუთიკეს (ევთიკეს) (მონოფიზიტობა) მოძღვრება და ქრისტიანული დოგმატიკის მხრივ ანტიოქიის საპატრიარქო ორად გაიყო. მართლმადიდებლები გაბატონდნენ ელინურ ქალაქებში სანაპიროზე, მაშინ, როდესაც მონოფიზიტები განლაგდნენ სირიის შიგნით – ედესასა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, სადაც იაკობიტურ-სირიული ეკლესია ჩამოყალიბდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანტიოქიის საპატრიარქო წარმოადგენდა დიდ თეოლოგიურ სკოლას. რამდენადაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქო მნიშვნელოვანი იყო რომისთვის, ამდენად ალექსანდრიისა და ანტიოქიის საპატრიარქოები იყო თეოლოგიური ინსტიტუცია არაბულენოვანი ქრისტიანებისთვის ოსმალთა პერიოდში. ანტიოქიის პატრიარქები და სამღვდელთა წარმომადგენლები არაბები.¹⁵ XVII საუკუნეში ანტიოქიის საპატრიარქოს

¹⁵ კარსტენ ვალბინერი ანტიოქიის საპატრიარქოში ასახელებს სულ ორ ბერძენ პატრიარქს XVII საუკუნის ბოლოსთვის, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ბერძენების გავლენა კონსტანტინოპოლის მხრიდან ნაკლებად იყო (Walbiner C. M., 1997-1998, pp. 585-587).

წიაღში დაიწყო გარკვეული კულტურული პროცესები, რომლებიც აღნიშვნისა და შესწავლის ღირსია.

ამ პერიოდში ანტიოქიის საპატრიარქოს ცენტრი უკვე დამასკოში იყო, მნიშვნელოვანი საეპისკოპოსოები კი ალექსოა და ბეირუთში. სირია–ლიბანის ტერიტორიაზე მოქმედებდა მრავალი ეკლესია–მონასტერი. ალექო წარმოადგენდა ოსმალთა და ევროპელთა სავაჭრო ცენტრს. ბევრი ქრისტიანი ჩართული იყო ევროპელებთან სავაჭრო საქმიანობაში, საიდანაც ისინი სარგებელს ნახულობდნენ, როგორც ფინანსურად, ასევე ინტელექტუალურად. ქალაქი გახდა ევროპელებთან ვაჭრობის, სხვადასხვა ქვეყნიდან მომავალ პირთა დიპლომატიური და მისიონერული საქმიანობის ცენტრი. ბუნებრივია, ამ გარემოებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ინტელექტუალური ცხოვრების აღმავლობას ალექოში.

ქრისტიანული არაბული მემკვიდრეობის მკვლევარი კარსტენ ვალბინერი XVII-XVIII სს.-ში ალექოს ასახელებს ინტელექტუალურ და რელიგიურ ცენტრად. იგი ამ პერიოდს სამონასტრო ცხოვრების აღორძინების ხანად მიიჩნევს და გამოყოფს ორ ფაქტორს, რამაც განაპირობა სამონასტრო ცხოვრების აღორძინება ჯერ ალექოში და შემდგომ მთლიანად სირიაში. პირველი ფაქტორი არის იმ დასავლელ კათოლიკე მისიონერთა გავლენა, რომლებიც ალექოში 1620 წლიდან ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ, ხოლო მეორე ფაქტორად ასახელებს ადგილობრივ ინტელექტუალურ გამოღვიძებას არაბ ქრისტიანებში (Walbiner C. M., 2004, pp. 463-64). იოსებ ნასრალლა აღნიშნავს, რომ დასავლეთთან, განსაკუთრებით რომთან ურთიერთობამ არაბულენოვან ქრისტიანთათვის ახალი, უფრო ცივილიზებული სამყაროსკენ გახსნა ჰორიზონტი, რისგანაც მეტ ინტელექტუალურ სარგებელს იღებდნენ და ქრისტიანული არაბული ლიტერატურა აღორძინებამდე მივიდა (Nasrallah J. , 1979, p. 52).

კარსტენ ვალბინერი აღნიშნავს, რომ მართლმადიდებელი მიტროპოლიტები და პატრიარქები, როგორებიც არიან მელეთიოს ქარმა, მაკარი აზ-ზაიმი და ათანასე ად-დაბასი იყვნენ ამ მოძრაობის დამწყები ძალა. იგი ასევე აღნიშნავს, რომ ე. წ. „დაცემის“ პერიოდიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ, XVII საუკუნის დასაწყისში, მეცნიერება და ხელოვნება რთულად ვითარდებოდა მელქიტთა შორის. შეზღუდული იყო

განათლების მიღება სამღვდელოებისთვის. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ეპისკოპოსები, ისინი ასწავლიდნენ დიაკვნებსა და მღვდლებს ქრისტიანულ სარწმუნოებას, მათ გადაწერეს ხელნაწერები, უმეტესად ლიტურგიული წიგნები (Walbiner C. M., 1997-1998, p. 577); (კოჭლამაზაშვილი, 2022, გვ. 117-132)

პირველი ინიციატორი ინტელექტუალური განახლებისა გახლდათ მელეთიოს ქარმა. იგი დაიბადა 1572 წელს ჰამაში მღვდლის ოჯახში. რელიგიური განათლება მამისაგან, ჰაურანისაგან მიიღო. ზრდასრულ ასაკში მელეთიოსმა თავის მეგობარ ბარლაამთან ერთად წმინდა ადგილების მოლოცვა დაიწყო. პალესტინიდან დაბრუნების შემდეგ მელეთიოსი ადგილობრივი ეპისკოპოსის, სვიმონის სამსახურში ჩადგა. იგი ჯერ დიაკვნად, შემდგომ კი მღვდლად ეკურთხა. ახალგაზრდა მელეთიოსი დიდი მჭევრმეტყველებით გამოირჩეოდა, ამიტომაც იგი მეტად პოპულარული შეიქნა ალექსოში. თხუთმეტი წლის მღვდლობის შემდეგ, 1612 წლის 12 თებერვალს, მელეთიოსი ალექსოს მიტროპოლიტად აკურთხეს, ხოლო 1635 წლიდან 1636 წლამდე პატრიარქად აირჩიეს (ექვთიმე II). მას ხშირად უკავშირდებოდნენ დასავლელი მისიონერები. მელეთიოსიც მათთან კარგი ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა. მან დამასკოში მყოფ ფრანცისკელებთან მოლაპარაკება დაიწყო არაბული წიგნების დაბეჭდვასთან დაკავშირებით. ქრისტიანთა უმრავლესობისათვის მხოლოდ არაბული ენა იყო გასაგები, ამიტომაც მათში განათლების დონის ასამაღლებლად სწორედ არაბული წიგნების გამოცემა იყო საჭირო (Walbiner C. M., 1997-1998, p. 577); (კოჭლამაზაშვილი, 2022, გვ. 117-132)

მელეთიოს ქარმა აქტიურ ინტელექტუალურ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა. იგი მოიაზრება, როგორც ჰომილეტიკური ნაშრომების შემქმნელი, ასევე არსებული თარგმანების გადამამუშავებელი და მთარგმნელი. მისი შრომები შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს: 1) ორიგინალური შრომები: ქადაგებების კრებული – ქადაგება მარიამზე; ქადაგება კეთილ ქურდზე; ბერების შესახებ ცნობების კრებული სახელწოდებით მარჯ ალ-აზჰარ; კორესპონდენცია რომთან და სხვ. 2) გადამამუშავების (რედაქტირება) სამუშაოები: სირიული ენიდან თარგმნილი ლიტერატურის გადახედვა, შესწორება და დაუსრულებელი თარგმანების დასრულება. მაგალითად:

ლიტურგიკონი, საგალობლების კრებული და სხვ.¹⁶ 3) შრომები, თარგმნილი ბერძნული ენიდან არაბულ ენაზე: ევქოლოგია, საბაწმინდური ტიპიკონი, ბიბლია, ჟამნი და სხვ. (Nasrallah J. , 1979, pp. 76-85) (الصفحات 45-43, 1988, رستم); (المعلوف, 1911, الصفحات 22-7); (المعلوف, 1911, الصفحات 112-99);

მელეთიოს ქარმას მოსწავლე და ამავე დროს ბიოგრაფი აღნიშნავს, რომ ქარმამ ხელი შეუწყო სახვითი ხელოვნების განვითარებას. მან მოიწვია მელეთიოს ას-საქიზი, ხატმწერი საბას ლავრიდან, რათა მოეხატა ალექსოს ეკლესიები. მან ასწავლა ხატის წერა ადგილობრივ სამღვდელოებს, რის შემდეგაც დაარსა ალექსოს სამხატვრო სკოლა. ქარმას მიმდევრები აგრძელებდნენ მის საქმიანობას, მათ შორის თვითონ მაკარი აზ-ზაიმი. 1629 წელს ქარმამ ბიძგი მისცა იეზუიტებს, გაეხსნათ სკოლა ალექსოში. ეს იყო თანამედროვე პერიოდის პირველი სკოლა სირიაში, რომელიც გახსნეს ქრისტიანებმა, 1633 წელს მას მეორე სკოლაც შეემატა (Walbiner C. M., 1997-1998, pp. 580-583); (Heyberger, 1994, p. 455); (კოჭლამაზაშვილი, 2022, გვ. 117-132)

ინტელექტუალური აღორძინების საქმეში ასევე დიდი წვლილი მიუძღვის მაკარი აზ-ზაიმს (ანტიოქიელს), რომელიც ალექსოს მიტროპოლიტი გახდა 1635 წ., შემდგომ კი პატრიარქი (1648-1672 წწ.). მან რამდენიმე ისტორიული, პოლემიკური და სამეცნიერო შრომა შექმნა არაბულ ენაზე და ბევრიც თარგმნა. ერთ-ერთი წიგნია „ქითაბ ან-ნაჰლა“, სადაც აღნიშნავს, რომ მან გაგზავნა და მოაძიებინა მთელ ალექსოში წმინდანთა ცხოვრებანი და გადასცა ალექსოს ეკლესიებს. მან შექმნა ჰაგიოგრაფიული კრებულები, არაბულად თარგმნა ბერძნული ქრონიკები. ფაქტობრივად, მაკარი მთავარ როლს თამაშობდა საგანმანათლებლო-ინტელექტუალურ მოძრაობაში (Walbiner C. M., 1997-1998, pp. 583-84); (الصفحات 49-48, 1988, رستم); (Nasrallah J. , 1979, pp. 87-127)

ასევე, უნდა აღინიშნოს, ათანასე ად-დაბბასი. მისი მოღვაწეობა XVII საუკუნის ბოლოდან XVIII საუკუნის დასაწყისამდე გრძელდებოდა. იგი ცნობილია, როგორც ისტორიული და რელიგიური ტრაქტატების ავტორი და მთარგმნელიც. XVIII

¹⁶ მელეთიოს ქარმას მოსწავლე და ამავე დროს ბიოგრაფი მაკარი აზ-ზაიმი (ანტიოქიელი) გვაუწყებს: „მან გააცნობიერა, რომ ერეტიკოსებს ჰქონდათ დათესილი „სარეველა“ ზოგიერთ წიგნში და დაიწყო მათი აღმოფხვრა. მან დიდი შრომა ჩადო ღვთისმსახურების წიგნში, ევქოლოგიის, ჟამნის წიგნებში და სხვა შრომები თარგმნა ბერძნულიდან არაბულად და უბოძა ეკლესიას“ (Walbiner C. M., 1997-1998, p. 581); (الصفحة 85, 1913, كلزي); (الصفحة 438, 1947, نصرالله); (კოჭლამაზაშვილი, 2022, გვ. 117-132).

საუკუნის დასაწყისში ალექსოში მელქიტებს შორის ყველაზე გამორჩეული ფიგურა იყო. ამ პერიოდში ქალაქმა დაიწყო მარონიტულ და მელქიტურ ეკლესიებში სამონასტრო რეფორმების გატარება. ალექსოში დაიწყო არაბული დაბეჭდილი სტატიების გამოცემა ჟურნალში „ალ-მაშრიკ“. რუმინეთში ათანასეს თხოვნით შეიქმნა არაბული სტამბა, სადაც ქართველმა ბერმა ანთიმოზ ივერიელმა ლიტურგიული წიგნი არაბულად და ბერძნულად დაბეჭდა. 1704 წ. ათანასეს გადასცეს არაბული საბეჭდი მანქანა და რუმინეთიდან ალექსოში წაიღო. ალექსოში 1706 წლიდან დაიწყო წიგნების ბეჭდვა არაბულ ენაზე (Walbiner C. M., 1997-1998, p. 584); (კოჭლამაზაშვილი, 2022, გვ. 117-132).

შეიძლება ითქვას, რომ XVII საუკუნეში ქრისტიანულ არაბულ ლიტერატურაში განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო, რომელსაც თან ახლდა მთარგმნელობითი საქმიანობის გააქტიურება და ინტელექტუალური აღორძინება. ამ პროცესის შედეგად მრავალი ბერძნულენოვანი სასულიერო ტექსტი ითარგმნა, რამაც მნიშვნელოვნად გააღრმავა არაბულენოვანი ქრისტიანების წვდომა მართლმადიდებლურ ლიტერატურულ და თეოლოგიურ მემკვიდრეობასთან. უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ სწორედ ამ პერიოდში არაბული ლიტურგიის ოფიციალურ ენად საბოლოოდ გამოცხადდა, რაც არა მხოლოდ ენობრივი, არამედ ღრმა კულტურულ-საეკლესიო გარდაქმნის ნიშანი იყო.

დასკვნა

სამონასტრო ცხოვრების ტრადიცია ახლო აღმოსავლეთში ჯერ კიდევ ისლამამდელ პერიოდში იღებს სათავეს. არაბთა დაპყრობების შემდეგ ქრისტიანული თემების სოციალური, კულტურული და რელიგიური მდგომარეობა თანდათანობით შესუსტდა, რაც განსაკუთრებით მძაფრად გამოიხატა XV საუკუნეში. მიუხედავად ოსმალური ექსპანსიისა და მის მიერ დაწესებული შეზღუდვებისა, XVII საუკუნე აღიარებულია, როგორც ქრისტიანული არაბული ლიტერატურის აღორძინების ხანა.

ისლამური მმართველობის ადრეული პერიოდიდან ეკლესიაში არაბული ენის გამოყენება დაწყებული იყო, თუმცა სირიული და ბერძნული ენები კვლავ გამოიყენებოდა ღვთისმსახურებაში. ანტიოქიის საპატრიარქოში სამღვდელოება და

მრევლი უმეტესად არაბულენოვანი მართლმადიდებლები იყვნენ. საბას ლავრის ტიპიკონის XVII საუკუნის თარგმნის შემდეგ არაბულმა ენამ ლიტურგიაში დომინანტური პოზიცია დაიკავა.

ამავე პერიოდში აქტიურდება მთარგმნელობითი პროცესები, განსაკუთრებით სირიაში, ალექსოს ინტელექტუალურ წრეებში. ბერძნული თეოლოგიური ტექსტების არაბულად თარგმნა სისტემატურად ხორციელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარი ამ პროცესს დასავლურ მისიონერულ გავლენას მიაწერს, ანტიოქიის საპატრიარქოც აქტიურად მონაწილეობდა ამ საქმეში. განსაკუთრებული როლი ეკუთვნოდათ მეღვთიოს ქარმას, მაკარი აზ-ზაიმსა და ათანასე ად-დაბასს.

XVII საუკუნეში ქრისტიანულმა არაბულმა თემებმა განსხვავებული სტრატეგიები შეიმუშავეს თვითშენარჩუნებისთვის: მარონიტებმა უნია მიიღეს და რომს დაუკავშირდნენ, ხოლო ანტიოქიის მართლმადიდებლური საპატრიარქო რუსეთისგან იღებდა მხარდაჭერას.

III თავი

საბაწმინდური ტიპიკონის ახალი (XVII ს.) არაბული თარგმანი

როგორც აღინიშნა, XVII საუკუნეში ანტიოქიის საპატრიარქოში გარკვეული კულტურულ-ინტელექტუალური პროცესები დაიწყო. მთარგმნელობითი საქმიანობა განახლდა და ლიტურგიისთვის მნიშვნელოვანი ძეგლების თარგმნა, გადამუშავება და მოგვიანო პერიოდში დაბეჭდვა დაიწყო. ანტიოქიის საპატრიარქოს არაბულენოვანი სამღვდელთმცოდნეობისთვის ღვთისმსახურება მშობლიურ ენაზე ნიშნავდა განათლების დონის ამაღლებას. ამავე პერიოდში მელეთის ქარმამ თარგმნა საბაწმინდური ტიპიკონი ბერძნული ენიდან არაბულ ენაზე.

როგორც I თავში აღინიშნა, არაბულ ენაზე არსებული ტიპიკონები თარგმნილია ბერძნული ან სირიული ენებიდან. თუმცა მათი ტექსტები დროთა განმავლობაში შეიცვალა და განახლდა. მათგან ყველაზე ადრეული არაბული ტიპიკონი XIII საუკუნით თარიღდება და შედის სინას ხელნაწერში № 265.

წინამდებარე თავის მიზანია, წარმოადგინოს XVII საუკუნის არაბული ტიპიკონის ფილოლოგიური კვლევა – ხელნაწერის შესავალი ნაწილისა და ძირითადი ტექსტის გარკვეული ნაწილის თარგმანი, რაც მოგვცემს საშუალებას, უკეთ გავიაზროთ XVII საუკუნის არაბული ტიპიკონის თარგმანის შესრულების მიზეზი და ბერძნულ ორიგინალთან შესაბამისობა.

1.1. შესავალი

საბას ლავრის ტიპიკონის თარგმანი შესულია ლიბანური წარმოშობის არაბულ ხელნაწერში, რომელიც ბალამანდის მონასტრიდან მომდინარეობს (Ms. Balamand 94). ავტორის ვინაობა და თარგმანის თარიღი მითითებულია ხელნაწერის სატიტულო ფურცელზე და ასევე ხელნაწერის ბოლო გვერდზე. შესავალ ნაწილში მთარგმნელი განიხილავს ტიპიკონის თარგმანის მიზეზებსა და მნიშვნელობას არაბულენოვან ქრისტიანთათვის. ძირითადი ნაწილი კი მოიცავს მთელი წლის განმავლობაში ღვთისმსახურების წესებს. წინამდებარე თავში წარმოდგენილია არაბული ტიპიკონის შესავალი ნაწილის, შინაარსისა და ძირითადი ნაწილის გარკვეული ამონარიდის

თარგმანი, კერძოდ, ვნების შვიდეულის მსახურების წესები. ასევე, გარკვეულწილად არაბული ტიპიკონის შედარება მოხდა ბერძნულ ორიგინალთან.

1.2. ხელნაწერი № 94 აღწერილობა

ლიბანური წამოშობის ბალამანდის ხელნაწერი № 94 დაწერილია ქაღალდზე, აქვს მუყაოს ყდა. ავტორის ვინაობა და თარგმანის თარიღი ცნობილია სათაურში, რომელიც სამკუთხედის ფორმითაა წარმოდგენილი. იგი მოიცავს 209 გვერდს, ზოგი მათგანი დაზიანებული და დაჩვრეტილია. ამ ხელნაწერიდან სამონასტრო ტიპიკონი შედგება 169 გვერდისგან. ხელნაწერი დაწერილია არაბულ ენაზე ნუსხური ხელწერით¹⁷. გამოყენებულია შავი და წითელი მელანი. ამ უკანასკნელს ავტორი იყენებს ყოველი თავის დასაწყისში შესავლის სახით (მაგ.: მესამე თავის დასაწყისი: ღამისთევების რაოდენობის ცოდნა მთელი წლის განმავლობაში), ასევე ტექსტის შუაშიც ფსალმუნის მუხლების გამოსაყოფად, ტროპარის დასაწყისის აღსანიშნავად და ა. შ (მაგ.: რამეთუ შენია; ისმინე ჩემი ღაღადი; დღეიდან ადიდეთ უფალი და სხვ.) და იშვიათად გვხვდება ბოლოში. ზოგ ადგილას გვხვდება ოთხი წერტილით ჯვრის ფორმის სიმბოლო. ხელნაწერში გვხვდება წითელი მელნით აღნიშნული წერტილები გაფორმების მიზნით. მთლიანად წიგნი დანომრილია, თითოეულ გვერდზე ტექსტი წარმოდგენილია ორ სვეტად. ყოველი ფურცლის მარჯვენა (კენტი) გვერდის დასასრულს (მეორე სვეტის ბოლოს, მარცხენა კუთხეში) მთარგმნელს უწერია მომდევნო გვერდის პირველი სიტყვა. თითოეული თავი გამოყოფილია მოზრდილი ასოებით. თავები სხვადასხვა ზომისაა. ფურცელზე ტექსტის მინდორი დაცულია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში გვხვდება ჩასწორებები, კომენტარები და სიტყვის განცალკევების თავიდან აცილების მიზნით მოშორებით დაწერილია სიტყვის დაბოლოება (კოჭლამაზაშვილი, 2023, pp. 290-298).

ხელნაწერი იწყება მინაწერით, სადაც ავტორის (მთარგმნელის) ვინაობა და თარგმანის თარიღი ჩანს, რაც დასტურდება შემდეგი მინაწერით:

¹⁷ ცნობილია, რომ სინურ-პალესტინურ არაბულ ხელნაწერებში გამოყენებული ნუსხური ხელწერა განსხვავდება ისლამური ხელნაწერების ნუსხური ხელწერისგან. იგი არ წარმოადგენს კლასიკურ ნასხს. ეს შეინიშნება გვიანდელ ანტიოქიურ ხელნაწერებშიც.

كتاب التبييكون الرسوم وطقس الصلاة المعلوم الصاير في كنايس الروم فسرره من الرومي بكاء وتعبد الفقير ملاتيوس مطران

حلب

سنة ١٦١٢

للمجيد

„ტიპიკონის წიგნი – ლოცვის რიგი და წესი, მოქმედი მართლმადიდებლურ ეკლესიებში, რომელიც 1612 წელს დიდი შრომის შედეგად ბერძნულიდან ალექსის მიტროპოლიტმა მელეთიოს მდაბალმა თარგმნა, სადიდებლად (უფლისა)“.

მომდევნო გვერდიდან ტიპიკონის შესავალი იწყება, რომელიც შედგება სამი ფურცლისგან. ხსენებულ ნაწილში ავტორი აღწერს არსებულ ვითარებას და ასახელებს მთავარ მიზეზს, რამაც ამ ტიპიკონის თარგმანისკენ უბიძგა. ქვემოთ წარმოდგენილია ამონარიდი ხელნაწერი №94-ის შესავალი ნაწილიდან და თან ახლავს ქართული თარგმანი.

باسم الله الواحد الابد الازلي وبه نستعين.

كتاب تبييكون الرسوم وطقس الصلاة المعلوم الصاير في كنايس الروم † المجد لله مكون البرايا بكلمته الخالق † ومنير قلوب المؤمنين بالفاظ كتبه التي هي بالحق ناطقه † المهدي ايانا برسله المبعوتين بالحق † خلفائهم من بعدهم المخلوقين لنفع الخلق له الشكر علي الدوام † الي يوم الحشر والقيام † اما بعد فاني لما رايت اختلاف كنايس المسيحيين في الترتيب والطقس والنظام † وما دخل علي اهلها من النقص في السجود والركوع والصيام † وما قد ابطلوه من فرايض الكتب المحقه الصادقه † وما قد اتبته من عوايد المخالفين وسنن الارائقه † من تغيير الاصوام والصلوات † علي مر الايام والاوقات † فلم ازل افحص عن اصل مخالفتهم فحسنا شافيا † وابحث عن علة تعديهم بحثا كافيا † حتي وجدت ان اصل هذا الغلط والعطب † الموجود في كنايس اولاد العرب † الذي محله محل السخط والغضب † ان سببه واصله وعلته عدم تبييكون الرومي القديم † الذي كان البادي بتاليقه القديس مار سابا العظيم † وكمله القس يوحنا الدمشقي

العالم العامل الحكيم... (ხელნაწერი №94, 1612, 4r)

„მარადიული ღმერთის სახელით და მისგან შეწევნას ვითხოვთ.

ტიპიკონის წიგნი – მოქმედი ლოცვის რიგი და წესი მართლმადიდებლურ ეკლესიებში. დიდება უფალს, რომელმან სიტყვით შექმნა სამყარო და განანათლა მორწმუნეთა გულები წიგნების სიტყვებით, რომელნიც ჭეშმარიტებას მეტყველებენ; და მანვე გვიჩვენა ჭეშმარიტების გზა გამოგზავნილი მოციქულთა და შემდგომ მათი მემკვიდრეების მეშვეობით, რომელნიც მოევლინენ ადამიანის სასიკეთოდ. მადლობა

მას გამძლეობისთვის განკითხვისა და აღდგომის დღეს. ხოლო როდესაც დავინახე ქრისტიანულ ეკლესიებში სხვადასხვა წესი, რიტუალი და წესრიგი და თუ რა აკლია მის ხალხს (მრევლს) ღვთისმსახურებაში, თაყვანისცემასა და მარხვაში, რის გამოც უგულველჰყვეს ნამდვილი, სწორი და ჭეშმარიტი წიგნები; და რაც კანონთა დამრღვევებმა ლოცვისა და მარხვის შეცვლით დაიდგინეს მწვალებელთა წესები დროთა განმავლობაში, დღემდე ვაგრძელებ წესისგან გადახვევის ძირის (წარმოშობის) კვლევას ძირფესვიანად. ვეძებე მათი დარღვევების მიზეზი და აღმოვაჩინე, რომ ამ შეცდომის და ნაკლის საფუძველი არაბთა ეკლესიებშია, სადაც სუფევს სიძულვილი და სიბრაზე. ამის საფუძველი და მიზეზი არის ბიზანტიის ძველი ტიპიკონის არქონა, რომლის წერაც დაიწყო დიდებულმა წმიდა საბამ და დაასრულა მეცნიერმა, ბერმა იოანე დამასკელმა“ (კოჭლამაზაშვილი, 2023, pp. 290-298).

ხსენებულ მონაკვეთში ჩანს, რომ მთარგმნელი ასახელებს მთავარ მიზეზს, რის გამოც ითარგმნა ტიპიკონი. იგი აღნიშნავს, რომ მონასტრებში წესები და რიტუალები განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, ვინაიდან არაბულ ენაზე თარგმნილი ერთიანი ტიპიკონი არ არსებობდა.

وعجبت كيف غفل اهل ذلك العصر عن اخراجه الى لغة الاعراب بعد ان تحققوا وعلموا ان كنيسة المسيح اهدت به الى منهج الحق والصواب † لان بهذا الكتاب صار يفتخر جماعة النصاري الارتودكسيين † علي كل طوائف الارائقه والاريسيين † ولما كان مولفه وضعه في اللغة الرومية † ولم ينقل في وقت من الاوقات الى اللغة العربية فبالغت انا الحقير ملاتيوس بالكد والجد والطلب وانا يومئذ مطران في مدينة حلب فاخرجته الى لغة الاعراب † طالب من الله الاجر والتواب † وذلك بتاريخ سنة سبعة الاف مائة وعشرون لكون الدنيا † الموافق الف وستماية واتني عشر لتجسد يسوع المسيح سيدنا † ولم اقصد باخراجه اياه اشادة الذكر في الاقطار † بل خوفا ان اعدب مع الدي دفن القنطار † فالواقف بعد وفاي علي هذا الكتاب المجيد لا يتجاسر ان ينقص شي من ترتيبه ولا يزيد † لانه متي ماحل من رسومه او من ترتيبه حرف واحد † فليعلم انه لراي القديس مار سابا ناكر وجاحد † وقد خرج عن طريق الرشد والصواب † واستحق الخزي في يوم البعث والحساب † وادخل علي كنيسة المسيح العيب والعار † واهل داته للعداب مع المخالفين في النار † فجعلنا الله واياكم من اهل الخضوع والطاعة † لنعمل بكل ما فيه بحسب المكنه والاستطاعة † من شروط الاصوام الدائمة † وفروض الصلوة القائمة † كما تسلمنا من الرسل الاطهار والآبا القديسين الابرار † والسبعة مجامع الكبار † والسبعة مجامع الصغار والقديس العظيم مار سابا † والباقي المعلمين والاباء الذين اقواهم في هذا الكتاب منمقه وشهادتهم فيه تائبه محققه نفعنا الله ببركات صلواتهم † ومستحاج طلباتهم امين. (ხელნაწერი №94, 1612, 4r-4v)

„გამიკვირდა, თუ როგორ გამოჩნათ იმ ეპოქის ხალხს მისი გადმოტანა არაბთა ენაზე მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ და შეიცნეს, რომ ტიპიკონმა ქრისტეს ეკლესია

ჭეშმარიტებისა და სწორ გზაზე დააყენა. ამ წიგნის წყალობით მართლმადიდებელი ქრისტიანული თემი ამაღლდა მწვალებელთა და არიანელებზე უფრო მაღლა. როდესაც ავტორმა დაწერა ბიზანტიურ (ბერძნულ) ენაზე, ის არ გადათარგმნილა არაბულ ენაზე. მაშინ მე, ცოდვილმა მელეთიოსმა არაბთა ენაზე ვთარგმნე დიდი ძალისხმევით, შრომითა და ძიების შედეგად, როდესაც გავხდი ქალაქი ალექსის მიტროპოლიტი. ვევედრებოდი უფალს ამისათვის ჯილდოს და ცოდვათა მიტევებას. ეს იყო სამყაროს დაარსებიდან შვიდიათას ასოც წელს, რაც შეესაბამება ათას ექვსას თორმეტ წელს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს განკაცებიდან. არ მიფიქრია, რომ ჩემი ნათარგმნი უნდა შეაქონ, პირიქით, ვშიშობდი, რომ დავიტანჯებოდი მასთან ერთად, ვინც დამარხა განძი. ჩემი გარდაცვალების შემდეგ, შეჩერდი ამ დიდებულ წიგნზე და არავინ გაბედოს ამოიღოს რამე მისი წესრიგიდან ან დაამატოს, რამეთუ ერთ ასოს მაინც თუ ამოიღებს იცოდეს, რომ წმიდა საბას ტრადიციის მიხედვით ის უარყოფილ იქნება და ურწმუნოდ ჩაითვლება, რომელმაც გადაუხვია სწორი და კეთილგონიერი გზიდან და შერცხვეს აღდგომისა და განკითხვის დღეს. მან ქრისტეს ეკლესიაში სირცხვილი შეიტანა და მისნაირები დაისჯებიან ცეცხლში ურწმუნოებთან ერთად. ღმერთმა მოგვაქცია ჩვენ და შეგიყვანათ დამორჩილებულ ხალხთა სიაში, რათა შეძლებისდაგვარად შევასრულოთ მასში არსებული მარხვის წესები და ლოცვების ვალდებულება, რომელიც მივიღეთ წმიდა მოციქულებისგან, წმიდა და მართალი მამებისგან, შვიდი დიდი კრებისა და შვიდი პატარა კრებისგან, წმიდა დიდებული საბასგან, სხვა მასწავლებელთა და მორწმუნე მამებისგან, რომლის შემკობილი ნათქვამიც ამ წიგნში შეტანილია, მათი მოწამეობაც დამტკიცებულია და ჭეშმარიტია, მაღლი და კურთხევა მოგვეცენ ჩვენ ღმრთისაგან მათი წმიდა ლოცვები და ვედრებანი შესმენილ იქნას. ამინ“ (კოჭლამაზაშვილი, 2023, pp. 290-298).

ზემოხსენებულ მონაკვეთში მელეთიოს ქარმა მოუწოდებს ქრისტიან მართლმადიდებელ საზოგადოებას ტიპიკონის წესების ზედმიწევნით შესრულებისკენ. ხოლო აფრთხილებს იმას, ვინც დაარღვევს წესებს „განდევნილ“ იქნება ეკლესიიდან.

فصل من الكتب المقدسه مختصر مفيد لشرف هذا الكتاب الخليل المجيد وبركه لمن يستفيد منه ويفيد حرم قاطع لمن ينقص فيه وي زيد اعلم وفقك الله ان هذا الكتاب قديم من عهد المجامع المقدسه وهو جمال البيعه التي هي علي صخرة الايمان ماسسه والقديس انتيوخس في بدو كتابه بمدح المتمسكين به ويقول.

انه ليس يوجد في فلسطين تيبكيون اخر روحاني مثله مقبول والقدس صفرونوس بطريك اورشليم الذي سمي من الكنيه فم المسيح العظيم كان متمسكًا بكل ما في هذا التيبكيون الشريف وقال ان ليس في كلامه شيء من التبديل والتحريف وقد خرج من السيق ابا معظمين ومعلمين كاملين وروسا الكهنه وقيدين مثل كير تاوفانوس واخوه كير تاودورس المعترفين والقدس اندراوس رئيس كهنة اقريطي وغير هولاي ابا كثيرين وجميعهم كانوا به متمسكين والقدس اتناسيوس بطريك الاسكندريه يقول بسبب هذا الكتاب كنت اوتر ان اعلم من هم هولاي الذين يريدون هدم ما قدر تبوه ورموه الالباء القديسين في تيبكيون البيعة المقدسه واقول لهم اذا خالفتم هذا الكتاب بمادا تستدلون او بمادا تفتدون الا ان تبدعوا لكم تيبكيون اخر وتكتبوا فيه ما تحوون وتبتدعوا فيه ما يوافق مشيائكم اما انا فاشير عليكم بان لا احداً منكم يتجاسر ينقص ما اسسوه ولا يزعم ما وضعوه الابا القديسين في تيبكيون البيعة المقدسه الذي هو جمال الكنيسة المسيح ودليلنا الي طريق الحق لاننا منه عرفنا طقس رسوم الكنيسة الجامعه الرسولييه ومنه علمنا كيف نعيد اعياد المسيح السبعه السيديه ومنه تعلمنا تراتيب الصلوات الليليه وترتيل التساييح السحريه وصلوات الساعات النهاريه وتماجيد القداسات الالهيه وترتيب السيره النسكيه واعياد سيدتنا والده الآله واعياد الملايكه وروسا الملايكه واعياد الرسل والانبيا والشهدا وروسا الكهنه والصدقيين والابرار واسامي الارتودكسيين والسجود لعود الصليب الكريم ومنه عرفنا الايام التي يجب ان نصوم فيها ونسجد ومنه ايضاً عرفنا الايام التي لا نصوم فيها ولا نسجد بل تكون الصلاه فيها افضل من الصوم لانه وان كان الرسل امرونا بالصوم والتعبيد الا انهم ما برهنوا لنا كيف يكون الصوم ولا كيف يكون التعبيد اما هذا التيبكيون منه تعلمنا كيفية الصوم وكيفية التعبيد وكيفية النسك وكيفية الفطور وكيفية السجود وكيفية الركوع ويوجد عندنا مكتوب ان في حذور المجمع السابع الكبير المسكوني في مدينة نيقية وحضور الملك قسطنطين الكبير وامه ايريني. وذلك بتاريخ سنة ستة الاف وتلتمايه وعشرون لكون الدنيا الموافق سنة ثماناويه واتني عشر لتجسد سيدنا يسوع المسيح قبل انهم احضروا جميع كتب الصلوات والقوانين والترنيمات والتفاسير والغطات واحضروا هذا التيبكيون الجليل المنسوب الى مار سابا وغيره من كتب الامانه المستقيمه المهذب رايبها. ووضعوا علامهم عليها تبتوها واحرموا ولعنوا من يغيرها او يعيبها او يزيدها او ينقصها ان كان بطرك ام مطران او اسقف او كاهن او شيماس فيكون مفروز من جماعة الارتودكسيين ويكون قد رضي الحرم لنفسه والقطع من كهنوته ولمن يتبعه من العلمانيين فمن اراد ان يتبري من هذا الحرم القاطع وينجا من القطع والفرز والمنازع فليتمسك بجميع ما في هذا الكتاب الجليل ويقتدي برسومه كالمُرشد والدليل ولا يخالف من كلامه كلمه ولو صغرت ولا يترك من سنه وان كبرت ان كان في السجود او في القيام وان كان في الفطور وفي الصيام ولا يميل الى تعاليم اهل النفاق ولا ينعطف الى الفاضهم المرة المداق لانهم يتكلمون الهذيان وينطقون بالفاظ الكذب والطغيان ويقولون ان هذا التيبكيون وضعوه لكنائس الرهبان وليس هو فرض علي كنائس البلدان ويزعمون ان فيه واحد لكنائس الديوره واخر لكنائس المدن المعموره فقد كذبوا في زعمهم وظلوا في ظلام كدبهم لان هذا الاختلاف لا يليق بجماعة المومنين لان من بدع الاضداد والمخالفين واوليك كل طايفه منهم تنسب في واحد صاحب بدعه وطقوس كنائسهم مختلفه شنعاه واما التيبكيون في كنائسهم معدوم وفي كل كنيسه لهم طقس ورسوم فالواجب علينا ان نخالف اقوالهم ولا نتبع سبل ظلالهم لاننا معشر الارتودكسين نحن امانتنا واحده وكنيستنا واحده ومعهودتنا واحده وترتيب صلاتاتنا واحده وفرض اصوامنا واحده وحساب اعيادنا واحده وطقس قدساتنا واحده وراينا واحده ولنا تيبكيون واحد للاديرو وللبلدان ولاهل العالم وللرهبان وهو كتاب الرسوم المختص بمله الروم فمن تمسك به مبارك ومن خالفه منهم محروم اعني من المجمع السابع الكبير المسكوني المجتمع بمدينة نيقية علي عهد قسطنطين الكبير وامه ايريني سنة ٦٣٢٠ لادم ٨١٢ للتجسد.

(ხელნაწერი №94, 1612, 4v-5v)

„მოკლე თავი წმიდა წიგნებიდან – მოწმობა ამ დიდებული წიგნის ღირსების შესახებ. ბარაქა მიეცეს მას, ვინც სარგებელს მიიღებს, ხოლო ეკლესიიდან განიდევნოს ჩამატების ან ამოკლების შემთვევაში. იცოდე, ღმერთი კეთილდღეობას მოგცემს. ეს წიგნი ძველია, წმიდა კრებების ეპოქიდან და ის არის ეკლესიის მშვენიერება, რწმენის მწვერვალზეა. წმ. ანტოქე თავისი წიგნის დასაწყისში აქებს წესების აღმსრულებლებს და ამბობს, რომ პალესტინაში მსგავსი სულიერების ტიპიკონი არ არსებობს. იერუსალიმის პატრიარქი წმიდა სოფრონე, ზედმეტსახელად ქრისტეს დიდებული პირი მისდევდა ამ ღირსეული ტიპიკონების წესებს. მან თქვა, რომ შინაარსი და ასოთწყობა უცვლელია, მისი მეშვეობით აღიზარდნენ დიდებული მამები, მასწავლებლები, მღვდელმთავრები და წმინდანები, როგორებიც არიან თეოფილე და მისი ძმა თეოდორე (თევდორე) აღმსარებლები, მთავარეპისკოპოსი წმიდა ანდრია კრიტელი და სხვა მრავალი მამა. ყველა მიჰყვებოდა ამ განგებას. ალექსანდრიის პატრიარქი წმიდა ათანასე ამ წიგნზე ამბობს: „მსურდა გამეგო იმ ადამიანთა ვინაობა, ვისაც სურს გაანადგუროს ის, რაც წმიდა მამებმა შეძლეს და აღწერეს წმიდა ეკლესიის ტიპიკონში. ვეუბნები მათ: თუ ამ წიგნის წესებს დაარღვევთ, რომლითაც ხელმძღვანელობთ ან სწორ გზაზე დგახართ, მაშ შექმენით თქვენთვის სხვა ტიპიკონი და დაწერეთ მასში რაც მოგესურვებათ და გამოიგონეთ ის, რაც თქვენ სურვილებს შეესაბამება“. მაშინ მე მიგიითითებთ, რომ არც ერთმა თქვენგანმა არ გაბედოთ ამოკლება ძირისგან (ორიგინალისგან) და არ შეგეპაროთ ეჭვი იმაში, რაც წმიდა ეკლესიის ტიპიკონში წმიდა მამებმა დაწერეს, ის არის ქრისტეს ეკლესიის მშვენიერება (სილამაზე), ჩვენი წინამძღოლი ჭეშმარიტების გზაზე, რადგან მისგან გავიგეთ სამოციქულო ეკლესიის წესი და რიგი, ვისწავლეთ, თუ როგორ ვიზეიმოთ ქრისტეს შვიდი დღესასწაული, მისგან ვისწავლეთ ღამის ლოცვების განრიგი, დილის ქებათა გალობა, შუადღის საათების ლოცვები, საღმრთო ლიტურგიის დიდება, სამონაზვნო ცხოვრების განრიგი, წმიდა ღვთისმშობლისა და ანგელოზების დღესასწაულები, მთავარანგელოზთა დღესასწაულები, მოციქულთა, წინასწარმეტყველთა, მოწამეების, მღვდელმთავრების, მართლმეტყველების, სამღვდელოებისა და მართლმადიდებლების დღესასწაულები და ჯვრის თაყვანისცემა. მისგან გავიგეთ დღეები, როდესაც უნდა ვიმარხულოთ და ვიმსახუროთ, მისგან შევიტყვეთ დღეები, რომლებშიც არ ვიმარხულებთ და ვიმსახურებთ, არამედ ლოცვა იქნება უკეთესი,

ვიდრე მარხვა. მიუხედავად იმისა, რომ მოციქულებმა გვიბრძანეს მარხვა და დღესასწაულის აღნიშვნა, მათ არ აგვიხსენეს, თუ როგორ უნდა ვიმარხულოთ და ვიზეიმოთ. რაც შეეხება ამ ტიპიკონს, მისგან ვისწავლეთ მარხვის, ზეიმის, ღვთისმსახურების, მსგეფსის, მსახურებისა და მუხლმოდრეკის რაობა. სამყაროს დაარსებიდან ექვსიათას სამას ოც წელს და რვაას თორმეტი წელს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს განკაცებიდან ქალაქ ნიკეაში გამართულ მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე იმპერატორ კონსტანტინე დიდის და დედამისის ირინეს თანდასწრებით, მოიტანეს ლოცვის, კანონების, საგალობლების, განმარტებებისა და ქადაგებების ყველა წიგნი, მოიტანეს დიდებული ტიპიკონიც, რომელიც შექმნა წმიდა საბამ, ასევე, სხვა წიგნები ჭეშმარიტ სარწმუნოებასა და სწორ აზრზე. მათ დასვეს თავიანთი ნიშნები მასზე, დაადასტურეს, განდევნეს და მოკვეთეს ის, ვინც შეცვალა ან დაარღვია ან ჩაამატა ან ამოაკლო რაიმე წესებიდან, სულ ერთია, ვინ იქნება პატრიარქი, მიტროპოლიტი, მღვდელი, ბერი თუ დიაკვანი, მართლმადიდებელი თემიდან განდევნილი და მოკვეთილი იქნება. ხოლო ვისაც არ სურს იყოს განდევნილი და მოკვეთილი, უნდა მიჰყვეს მის წესებს, გამოიყენოს ეს წიგნი სახელმძღვანელოდ და წინამძღოლად, არ შეცვალოს ერთი სიტყვაც კი, არ შეამციროს და არ გაზარდოს არც ერთი წესი მსახურებისას, ან ფეხზე დგომისას ან მსგეფსისას და მარხვის დროს. ნუ მიემხრობა ცრუმორწმუნეების მითებებს და ნურც ყურადღებას მიაქცევს მათ მცდარ სიტყვებს, რამეთუ ისინი ბოდავენ, ამბობენ ტყუილს და უსამართლობას. ამბობენ, რომ ეს ტიპიკონი დააწესეს ბერების სავანეებში და ის არ მოქმედებს საერო ეკლესიებში. ირწმუნებიან, რომ ერთი ტიპიკონი განკუთვნილია მონასტრებისთვის და მეორე ქალაქის ეკლესიებისთვის. თავიანთ დასტურში მოიტყუეს და დარჩნენ ტყუილის სიბნელეში, რადგან ასეთი მერყეობა არ შეესაბამება მორწმუნეებს იმიტომ, რომ მოწინააღმდეგეებს, დამრღვევებსა და ყველა მიმდინარეობას ჰყავს მეთაური, მათი წესები განსხვავებული და ფარულია. მაგრამ ტიპიკონი მათ ეკლესიებში არ არსებობს და ყოველ ეკლესიაში თავისი წესი და რიგი აქვთ, ამისთვის ჩვენ უნდა შევეწინააღმდეგოთ მათ ნათქვამს და არ გავყვეთ (ამ გზას) მათ სიბნელეში, ვინაიდან ჩვენ მართლმადიდებელი საზოგადოება ვართ, ჩვენი რწმენა, ეკლესია, მოვალეობა, ლოცვების განრიგი, მარხვის ვალდებულება, დღესასწაულების გამოანგარიშება, ლიტურგიის წესი, აზრი და ტიპიკონი მონასტრებსა და ეკლესიებში ერთია

ხალხისთვის და ბერებისთვის. ტიპიკონი არის წესების წიგნი მართლმადიდებლებისთვის. ვინც მას მიჰყვება, ღმერთისგან დალოცვილი იქნება, ხოლო ვინც დაარღვევს განდევნილ იქნება დიდი მეშვიდე მსოფლიო კრების მიხედვით, რომელიც მოეწყო ქალაქ ნიკეაში, კონსტანტინე დიდისა და დედამისის ირინეს დავალებით 6320 წ. ადამის ეპოქიდან და 812 წელს იესოს განკაცებიდან“ (კოჭლამაზაშვილი, 2023, pp. 290-298).

ზემოხსენებულ მონაკვეთში მოცემულია ტიპიკონის, როგორც წმიდა წიგნის, მნიშვნელობა და ღირსება. ავტორი აღწერს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ტიპიკონს სამონასტრო ცხოვრებაში და საუბრობს მის დანიშნულებაზე.

შესავალი ნაწილის შემდეგ, წარმოდგენილია ტიპიკონის თავების სია.

باسم الله الواحد الابد الازلي

نبتدي بعون الاله القدوس نكتب فهرست التبييكون المقدس وهي سبعة وخمسون راس.

الراس الاول معرفة طقس صلاة المسا الصغيره. **الراس الثاني** معرفة طقس صلاة المسا الكبيره وطقس السهرانات. **الراس الثالث** معرفة عدد الاغرنبيات في السنه كلها. **الراس الرابع** معرفة الترتيب الكنائس الموضوع في اورشليم وكيف يجب ان يقرى المزامير في السنه كلها. **الراس الخامس** معرفة كيف يجب ان يقرع الناقوس في كل يوم وليله وكيف ترتيب الصلوات المسايه والسحريه اذا كان الليلوبا وكيف يرتل الميناون معرفة اداب الكنيسه وبدو ترتيب الصلوات والطقس السواعي والمصوريون الصاير في صوم الميلاد و في صوم الرسل. **الراس السادس** معرفة طقس السبوت التي يتفق فيها ذكر قدیس كبير **الراس السابع** معرفة ترتيب القوانين وإما قانون يكره علي غيره **الراس الثامن** معرفة قرأت الاناجيل المقدسة والتفاسير **الراس التاسع** معرفة قداسات باسيلوس الكبير في السنه كلها **الراس العاشر** معرفة اناجيل القيامة الاوتينا وكيف ينبغي ان يقرى من احد الفصح العظيم الى احد العنصره المقدس **الراس الحادي عشر** ابتدا شهر ايلول ايامه تلتون يوما ساعات نحاره اتني عشر ساعه وساعات ليله اتني عشر ساعه **الراس الثاني عشر** معرفة رفع الصليب المكرم المحيي معطي الحياه **الراس الثالث عشر** ابتدا شهر تشرين الاول ايامه احد و تلتون يوما ساعات نحاره احد عشر ساعه وساعات ليله ثلاثه عشر ساعه **الراس الرابع عشر** ابتدا شهر تشرين الثاني ايامه ثلاثون يوما ساعات نحاره عشرة ساعات وساعات ليله اربعة عشر ساعه **الراس الخامس عشر** ابتدا شهر كانون الاول ايامه احد وثلاثون يوما ساعات نحاره تسعة ساعات وساعات ليله خمسة عشر ساعه **الراس السادس عشر** معرفة صلاة السواعي في بارامون ميلاد سيدنا ومخلصنا يسوع المسيح **الراس السابع عشر** ابتدا شهر كانون الثاني ايامه احد وثلاثون يوما ساعات نحاره عشرة ساعات وساعات ليله اربعة عشر ساعه **الراس الثامن عشر** معرفة ترتيب ساعات بارامون عيد الظهور الالهي **الراس التاسع عشر** معرفة تقديس الما في عيد الظهور الالهي **الراس العشرون** ابتدا شهر شباط ايامه ثمانية وعشرون يوما وفي سنة الكبير تسعه وعشرون يوما ساعات نحاره احد عشر ساعه وساعات ليله ثلاثة عشر ساعه **الراس الحادي وعشرون** ابتدا شهر اذار ايامه احد وثلاثون يوما ساعات نحاره اتني عشر ساعه وساعات ليله اتني عشر ساعه **الراس الثاني وعشرون** ابتدا شهر نيسان ايامه ثلاثون يوما ساعات نحاره ثلاثة عشر ساعه وساعات ليله احد عشر

ساعة **الرأس الثالث وعشرون** ابتدا شهر ايار ايامه احد وثلاثون يوما ساعات نحاره من اربعة عشر ساعه وساعات ليله عشرة ساعات **الرأس رابع وعشرون** حزينان ايامه ثلاثون يوما ساعات نحاره خمسة عشر ساعة وساعات ليله تسعة ساعات **الرأس الخامس وعشرون** ابتدا شهر تموز ايامه احد وثلاثون يوما ساعات نحاره اربعة عشر ساعة وساعات ليله عشرة ساعات **الرأس السادس وعشرون** ابتدا شهر اب ايامه ثلاثون يوما ساعات نحاره ثلاثه عشر ساعه وساعات ليله احد عشر ساعه **الرأس السابع وعشرون** طقس رسوم خدمة الاربعين المقدسة العظيمة الكاينه في التريودي **الرأس الثامن وعشرون** معرفة رسوم خدمة احد الابن الشاطر **الرأس التاسع وعشرون** معرفة رسوم خدمة احد مرفع اللحم واسبوع البيض والجبن **الرأس الثلاثون** معرفة رسوم خدمة احد مرفع الجبن وابتدا جمعة الصوم المقدس **الرأس الحادي وثلاثون** معرفة ترتيب صلاة النوم الكبيره في الاربعين المقدسه **الرأس الثاني وثلاثون** ترتيب خدمة الاحد الاول من الصوم المقدس الذي للاورتودكسين اي المستقيمين الراي وتيلوة الجمعة الثانيه من الصوم المقدس **الرأس الثالث وثلاثون** معرفة رسوم خدمة الاحد الثاني من الصوم ومعرفة ترتيب الجمعه كلها **الرأس الرابع وثلاثون** معرفة رسوم خدمة الاحد الثالث من الصوم المقدس ومعه ترتيب الجمعه بكماها **الرأس الخامس وثلاثون** معرفة رسوم خدمة الاحد الرابع من الصوم المقدس ومعه ترتيب الجمعه بكماها **الرأس السادس والثلاثون** معرفة رسوم خدمة الاحد الخامس من الصوم المقدس ومعه ترتيب الجمعه بكماها **الرأس السابع وثلاثون** معرفة الخدمه في عشية سبت العازر وخدمة الاحد معا **الرأس الثامن وثلاثون** معرفة رسوم خدمة يوم الاثنين الكبير المقدس **الرأس التاسع والثلاثون** معرفة رسوم خدمة يوم الثلاثاء الكبير المقدس **الرأس الاربعون** معرفة رسوم خدمة يوم الاربعاء الكبير المقدس **الرأس الحادي واربعون** معرفة رسوم خدمة يوم الخميس الكبير المقدس **الرأس الثاني واربعون** معرفة رسوم ترتيب الغسل المقدس في يوم الخميس الكبير **الرأس الثالث واربعون** معرفة خدمة الآلم ربنا والاهنا يسوع المسيح المقدس **الرأس الرابع واربعون** معرفة خدمة الساعات في يوم الجمعة الكبير المقدس **الرأس الخامس واربعون** معرفة خدمة يوم السبت الكبير المجيد المقدس **الرأس السادس واربعون** معرفة رسوم خدمة احد الفصح العظيم المقدس وجمعة الدياكينيسيمو اي الجمعة الجديدة **الرأس السابع واربعون** معرفة رسوم خدمة احد الجديد بديل الفصح **الرأس الثامن واربعون** معرفة رسوم خدمة احد الثالث بعد الفصح للقديسات النسوه حاملات الطيب ويوسف الصديق الذي من الرامه **الرأس التاسع واربعون** معرفة رسوم خدمة الاحد الرابع بعد الفصح للمخلع **الرأس الخمسون** معرفة رسوم خدمة الاحد الخامس بعد الفصح للسامريه **الرأس الحادي وخمسون** معرفة رسوم خدمة احد السادس بعد الفصح للمولود اعما. **الرأس الثاني وخمسون** معرفة رسوم خدمة خميس الصعود المقدس **الرأس الثالث وخمسون** معرفة رسوم خدمة الاحد السابع بعد الفصح المختص بايختنا القديسين **الرأس الرابع وخمسون** معرفة رسوم خدمة احد العنصره المقدس **الرأس الخامس وخمسون** معرفة خدمة السجد في عشية احد العنصره المقدس. **الرأس السادس وخمسون** معرفة رسوم خدمة احد جميع القديسين. **الرأس السابع وخمسون** معرفة رسوم خدمة صوم الرسل القديسين.

باسم الاب والابن والروح القدس اله واحد

تبييكون الرسوم والطقس المعلوم الصاير في كنيسة اورشليم والسيق المقدس لاينا البار المتوشح بالله مار سابا وترتيب ونظام ليس لكنائس اورشليم وحدها بل

وللاماكن المقدسه كلها وكنائس الله المظهره باسرها. (ხელნაწერი № 94, 1612, 5v-7r)

„მარადიული ერთი ღმერთის სახელით.

ვიწყებთ უფლის შეწევნით, ვწერთ წმიდა ტიპიკონის შინაარსს, რომელიც მოიცავს ორმოცდაჩვიდმეტ თავს.

თავი პირველი – ცოდნა მცირე მწუხრის ლოცვის მსახურებისა.

თავი მეორე – ცოდნა დიდი მწუხრის ლოცვისა და ღამისთევის წესებისა.

თავი მესამე – ცოდნა ღამისთევის რაოდენობისა მთელი წლის განმავლობაში.

თავი მეოთხე – ცოდნა იერუსალიმის საეკლესიო მსახურების და მთელი წლის განმავლობაში წასაკითხი ფსალმუნების წესისა.

თავი მეხუთე – ზარის დარეკვის წესი დღისა და ღამის განმავლობაში, მწუხრის და ღამისთევის ლოცვების მსახურება, თუ იქნება ალილუა და როგორ იგალობება თვენი, საეკლესიო ეთიკის ცოდნა, ლოცვების განრიგი, ლოცვის წესების დალაგება დროის მიხედვით, საათების განრიგი შობის მარხვაში.

თავი მეექვსე – შაბათის მსახურების ცოდნა, რომელშიც მოიხსენიება დიდი წმინდანი.

თავი მეშვიდე – კანონების გალობის წესის ცოდნა და მათი დალაგება მნიშვნელობის მიხედვით.

თავი მერვე – წმიდა სახარების კითხვის წესი და მისი განმარტებანი.

თავი მეცხრე – ბასილი დიდის ლიტურგიის ცოდნა მთელი წლის განმავლობაში.

თავი მეათე – აღდგომის სახარების, ევანგელეს ცოდნა და როგორ იკითხება პასექის დიდი კვირიდან სულთმოფენობის კვირამდე.

თავი მეთერთმეტე – სექტემბრის თვის დაწყება. თვის დღეების რაოდენობა – ოცდაათი დღე. დღის საათები თორმეტს, ხოლო ღამის საათები თორმეტს მოიცავს.

თავი მეთორმეტე – პატიოსანი, ცხოველმყოფელი და ცხოვრების მიმნიჭებელი ჯვრის ამალლების დღესასწაულის მსახურება.

თავი მეცამეტე – ოქტომბრის თვის დაწყება. თვის დღეების რაოდენობა – ოცდათერთმეტი დღე. დღის საათები თერთმეტს, ხოლო ღამის საათები ცამეტს მოიცავს.

თავი მეთოთხმეტე – ნოემბრის თვის დაწყება. თვის დღეების რაოდენობა – ოცდაათი დღე. დღის საათები ათ საათს, ხოლო ღამის საათები თოთხმეტს მოიცავს.

თავი მეთხუთმეტე – დეკემბრის თვის დაწყება. თვის დღეების რაოდენობა – ოცდათერთმეტი დღე. დღის საათები ცხრა საათს, ხოლო ღამის თხუთმეტს მოიცავს.

თავი მეთექვსმეტე – ცოდნა ღამისთევის ლოცვის წესებისა – ჩვენი უფლის, მაცხოვარი იესო ქრისტეს შობისთვის მზადება.

თავი მეჩვიდმეტე – იანვრის თვის დაწყება. თვის დღეების რაოდენობა – ოცდათერთმეტი დღე. დღის საათები ათ საათს, ხოლო ღამის საათები თოთხმეტს მოიცავს.

თავი მეთვრამეტე – ნათლისღების დღესასწაულის განრიგის ცოდნა.

თავი მეცხრამეტე – ნათლისღების დღესასწაულზე წყლის კურთხევა.

მეოცე თავი – თებერვლის თვის დაწყება. თვის დღეების რაოდენობა – ოცდარვა დღე და დიდ წელიწადს ოცდაცხრა დღე. დღის საათები თერთმეტს, ხოლო ღამის საათები ცამეტს მოიცავს.

თავი ოცდამეერთე – მარტის თვის დაწყება. თვის დღეების რაოდენობა – ოცდათერთმეტი დღე. დღის საათები თორმეტს, ხოლო ღამის საათები თორმეტს მოიცავს.

თავი ოცდამეორე – აპრილის თვის დაწყება. თვის დღეების რაოდენობა – ოცდაათი დღე. დღის საათები ცამეტს, ხოლო ღამის საათები თერთმეტს მოიცავს.

თავი ოცდამესამე – მაისის თვის დაწყება. თვის დღეების რაოდენობა არის ოცდათერთმეტი დღე. დღის საათები თოთხმეტს, ხოლო ღამის საათები ათს მოიცავს.

თავი ოცდამეოთხე – ივნისის თვის დაწყება. თვის დღეების რაოდენობა – ოცდაათი დღე. დღის საათები თხუთმეტს, ხოლო ღამის საათები ცხრას მოიცავს.

თავი ოცდამეხუთე – ივლისის თვის დაწყება. თვის დღეების რაოდენობა – ოცდათერთმეტი დღე. დღის საათები თოთხმეტ საათს და ღამის საათები ათ საათს მოიცავს.

ოცდამეექვსე თავი – აგვისტოს თვის დაწყება. თვის დღეების რაოდენობა – ოცდაათი დღე. დღის საათები ცამეტს, ხოლო ღამის საათები თერთმეტს მოიცავს.

თავი ოცდამეშვიდე – სამსაგალობელში მოცემული წმიდა ორმოცი დღის შესრულების წესი.

თავი ოცდამერვე – უძღები შვილის კვირის მსახურების წესების ცოდნა.

თავი ოცდამეცხრე – მიტევებისა და ყველიერის კვირა.

თავი ოცდამეათე – მიტევების დღე; ყველიერი და წმიდა მარხვის პარასკევის დაწყება.

თავი ოცდამეთერთმეტე – წმიდა ორმოცი დღის ძილისწინ დიდი ლოცვის განრიგის ცოდნა.

თავი ოცდამეთორმეტე – მართლმადიდებლებისთვის მარხვის პირველი კვირის განრიგი და წმიდა მარხვის მეორე პარასკევის საკითხავი.

თავი ოცდამეცამეტე – წმიდა მარხვის მეორე კვირის მსახურების წესისა და მასთან ერთად მთელი პარასკევი დღის განრიგის ცოდნა.

თავი ოცდამეთოთხმეტე – წმიდა მარხვის მესამე კვირის მსახურების წესისა და მასთან ერთად მთელი პარასკევი დღის განრიგის ცოდნა.

თავი ოცდამეთხუთმეტე – წმიდა მარხვის მეოთხე კვირის მსახურების წესისა და მასთან ერთად მთელი პარასკევი დღის განრიგის ცოდნა.

თავი ოცდამეთექვსმეტე – წმიდა მარხვის მეხუთე კვირის მსახურების წესისა და მასთან ერთად მთელი პარასკევი დღის განრიგის ცოდნა.

თავი ოცდამეჩვიდმეტე – შაბათის მწუხრის მსახურების ცოდნა და მასთან ერთად კვირის მსახურება.

თავი ოცდამეთვრამეტე – წმიდა დიდი ორშაბათის მსახურების წესის ცოდნა.

თავი ოცდამეცხრამეტე – წმიდა დიდი სამშაბათის მსახურების წესის ცოდნა.

თავი მეორმეცე – წმიდა დიდი ოთხშაბათის მსახურების წესის ცოდნა.

თავი ორმოცდამეერთე – წმიდა დიდი ხუთშაბათის მსახურების წესის ცოდნა.

თავი ორმოცდამეორე – წმიდა განბანვის შესრულების წესის ცოდნა დიდ ხუთშაბათს.

თავი ორმოცდამესამე – ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი მსახურების ცოდნა.

თავი ორმოცდამეოთხე – წმიდა დიდი პარასკევის საათების მსახურების ცოდნა.

თავი ორმოცდამეხუთე – დიდებული და დიდი შაბათის მსახურების ცოდნა.

თავი ორმოცდამეექვსე – ბრწყინვალე აღდგომის კვირის მსახურების წესის ცოდნა და ბრწყინვალე კვირეულის პარასკევი, როგორც ახალი პარასკევი.

თავი ორმოცდამეშვიდე – აღდგომის ღოცების ჩანაცვლების ახალი კვირის მსახურების წესის ცოდნა.

თავი ორმოცდამერვე – აღდგომის შემდგომი მესამე კვირის წმიდა მენელსაცხებლე დედათა და რამელი მართალი იოსების ხსენების წესი.

თავი ორმოცდამეცხრე – აღდგომის შემდგომი მეოთხე კვირის განრღვეულის კვირის მსახურების წესების ცოდნა.

თავი ორმოცდამეათე – აღდგომის შემდგომი მეხუთე კვირა სამარიტელისა-ს მსახურების წესების ცოდნა.

თავი ორმოცდამეთერთმეტე – აღდგომის შემდგომ მეექვსე კვირის ბრმის კვირის მსახურების წესების ცოდნა.

თავი ორმოცდამეთორმეტე – წმიდა ამაღლების ხუთშაბათის მსახურების წესების ცოდნა.

თავი ორმოცდამეცამეტე – აღდგომის შემდგომი მეშვიდე კვირის მსახურების წესების ცოდნა, წმიდა მამების ხსენება.

თავი ორმოცდამეთოთხმეტე – სულთმოფენობის წესების ცოდნა.

თავი ორმოცდამეთხუთმეტე – სულთმოფენობის მწუხრის დროს მსახურების წესების ცოდნა.

თავი ორმოცდამეთექვსმეტე – ყველა წმიდანის კვირის მსახურების წესების ცოდნა.

თავი ორმოცდამეჩვიდმეტე – წმიდა მოციქულთა მარხვის წესების ცოდნა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

იერუსალიმის ეკლესიისა და ჩვენი ნეტარი მამის წმიდა საბას ტაძარში დამკვიდრებული განგების წიგნი – ტიპიკონი ასახავს წესებსა და განრიგს არა მხოლოდ იერუსალიმის, არამედ ყველა წმიდა ადგილისა და ეკლესიებისთვის.

1.3. ვნების შვიდეულის მოკლე აღწერა (ორშაბათიდან კვირის ჩათვლით) და დიდი პარასკევის მსახურების ზედმიწევნითი თარგმანი

ჯვარი იესო ქრისტეს ჯვარცმის სიმბოლოა, რომლითაც იესო ქრისტემ დაამოწმა კაცობრიობის ხსნა. სიკვდილით დასჯის ამგვარი სამარცხვინო მეთოდი ცხოვნების სიმბოლოდ იქცა. ჯვრის თაყვანისცემის კულტი IV საუკუნიდან უფრო განვითარდა. მანამდე ჯვრის სიმბოლიზმის თეოლოგიური განვითარება მოციქულთა პერიოდის ნაწერებში გვხვდება.

პავლე მოციქული აღნიშნავს, რომ ქრისტე ამარცხებს ჯოჯოხეთს ხის ჯვრის მეშვეობით და ტყვედ მყოფ ხალხს ათავისუფლებს (The Oxford Dictionary of Byzantium v. 1, 1991, pp. 549-550). ეს სიმბოლო ყოველდღიურ ცხოვრებაში ყველა ქრისტიანისთვის „დემონების“ განდევნის მთავარ ელემენტად იქცა. რაც შეეხება ღვთისმსახურებაში ჯვართან დაკავშირებულ დღესასწაულებს, ერთ-ერთია ჯვარცმა ვნების კვირაში. ალექსანდრე შემმანი ჯვარცმის შესახებ აღნიშნავს: დიდი პარასკევი მხოლოდ წარსულს არ ეხება. ეს არის ცოდვის, ბოროტების დღე, ის დღე, როდესაც ეკლესია გვაჩვენებს ამ ყველაფრის რეალურ არსებობას და ძალას ჩვენს დროში, თუმცა ეს დღე ამავე დროს ხსნისა და ბოროტებაზე გამარჯვების დღეა (Schmemmann, n.d.).

ჯვრის შესახებ მრავალმხრივ საიდუმლოს განიხილავს იოანე ოქროპირი თავის ქადაგებებში. იოანეს სახარების საფუძველზე, იგი ჯვარცმას განიხილავს, როგორც ძველი წინასწარმეტყველების აღსრულებას. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დასახელდეს რამდენიმე ეპიზოდი: 1) პილატეს გადაწყვეტილება ქრისტეს ჯვარცმასთან დაკავშირებით. მას ჯვარი დაადეს როგორც ბოროტმოქმედს (და ეკიდა თვთ ჯუარი თვსი, და განვიდა ადგილსა მას თხემისა, რომელსა ჰრქჳან ებრაელებრ გოლგოთა (იოანე 19:17)¹⁸, რაც უკავშირდება ისააკის მსხვერპლშეწირვის ეპიზოდს

¹⁸ ბიბლია, გვ. 1755 - ედიშერ ჭელიძის გამოცემა, 2015. გამომცემლობა ალილო. ბიბლიიდან ნებისმიერი ციტატა დამოწმებულია ხსენებული გამოცემიდან.

(წარიღო აბრაჰამ შეშად მსხუერპლისად და აღჰკიდა ისაკს, მესა თჳსსა (დაბადება 28:6) და ხდება წინასწარხილვა ქრისტეს ჯვარცმისა. 2) ქრისტე ჯვარს აცვეს ორ ავაზაკთან ერთად (და მუნ ჯუარს-აცუეს იგი, და მის თანა სხუანი ორნი ამიერ და იმიერ და შორის იესუ (ინ. 19:18) და აღსრულდა ესაიას წინასწარმეტყველება (ამისთჳსცა მან თავადმან დაიმკვდრნეს მრავალნი და ძლიერთა განანაწილოს იავარი ამის წილ, რომელ განეცა სიკუდიდ სული მისი, და უსჯულოთა თანა შეირაცხა, და მან ცოდვანი მრავალნი აღიხუნა, და ცოდვათა მათათჳს მიეცა (ესაია 53:12). 3) პილატეს წარწერა ჯვარზე „იესო ნაზარეველი – იუდეველთა მეფე“ (და დაწერა პილატე ფიცარი და დასდვა ჯუარსა მას ზედა. და იყო წერილი ესრე: იესუ ნაზარეველი, მეუფე ჰურიათად (ინ. 19:19) და ამით უნებლიეთ აღსრულდა წინასწარმეტყველება იესოს მეფობაზე, რომელიც მრავალჯერ არის მოხსენიებული ძველ აღთქმაში (საყდარსა ზედა დავითისსა დაჯდეს და მეფობასა მისსა წარმართებად მისსა (ეს. 9:7). 4) ჯარისკაცების მიერ იესოს სამოსელის გაყოფა ოთხ ნაწილად (და ერისაგანთა მათ, რომელთა ჯუარს-აცუეს იესუ, მოიღეს სამოსელი მისი და განიყვეს ოთხად ნაწილად, თითოეულმან ერისაგანმან ნაწილი. ხოლო კუართი იგი, რომელი იყო უკერველ, ზეით გამოქსოვილ ყოვლად (ინ. 19:23) და წინასწარმეტყველების აღსრულება (განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი (ფსალმ. 21:19). 5) წინასწარმეტყველება აღსრულდა ქრისტეს მიერ წყლის მოთხოვნის შემდეგაც: დგა მუნ ჭურჭელი ძმრითა სავსე. და მათ ღრუბელი აღავსეს ძმრითა მით უსუჰსა თანა და დაადგეს ლერწამი და მიუპყრეს პირსა მისსა (ინ. 19:29) და ფსალმუნი 68:22 – და მცეს მე საჭმელად ჩემდა ნავდელი და წყურილსა ჩემსა მასუეს მე ძმარი. 6) ეპიზოდი წვივების დამტვრევასთან დაკავშირებით. მასთან ერთად ჯვარცმულ ავაზაკებს ჯარისკაცმა წვივები დაამტვირეს, ხოლო იესო შუბით განგმირეს (ხოლო მო-რად-ვიდეს იესუმსა და იხილეს იგი, რამეთუ მომკუდარ იყო, არა განუტეხნეს წვენი მისნი; არამედ ერთმან ერისაგანმან ლახურითა უგუმირა გუერდსა მისსა (ინ. 19:33-34). აქაც წინასწარმეტყველება აღსრულდა (სახლსა შინა ერთსა იჰამოს, და არა დაუტეოთ ჯორცთაგანი განთიადმდე, და აჰა განიღოთ ჯორცთაგანი გარე, და ძუალი არა შეჰმუსროთ მისი, გამოსვლა 12:46) 7) შუბით განგმირვა – ქრისტეს გვერდიდან გამოსული სისხლი და წყალი სიმბოლურად აღნიშნავს ნათლისცემასა და ზიარებას (Chrysostom, 2019).

როგორც ვხედავთ, ჯვარცმას მნიშვნელოვანი სიმბოლური დატვირთვა აქვს როგორც საერო ცხოვრებაში, ასევე ღვთისმსახურებაში. ჯვარცმის ღვთისმსახურება აღესრულება ვნების კვირის დიდ პარასკევს. სწორედ მისი სიმბოლური დატვირთვის გამო სადისერტაციო ნაშრომისთვის შეირჩა მეღვთიოს ქარმას მიერ ნათარგმნი ახალი ტიპიკონის 44-ე თავის ზედმიწევნითი თარგმანი, ხოლო ვნების კვირეულის დანარჩენი თავები მოკლე შინაარსით არის წარმოდგენილი.

ვნების კვირეულის არაბული ნაწილი:

الراس الثامن والثلاثون

معرفة رسوم خدمة يوم الاثنين الكبير يوم الاثنين الكبير المقدس **سحر** بعد الستة مزامير ترتل الليلوا في اللحن الثامن بصوت عظيم ولحن ثم ترتل الطروباريه بمهلٍ وصوت عظيم ولحن لديد وصوت ستيخن في اللحن الثامن **ها هو الختن ياتي في** ثم ستيخولوجيا العاده بالمطانيات في ستيخولوجيا الاولى كاتسما في اللحن الاول دكصاكانيين هي ايضاً وفي الثانيه ستيخولوجيا كاتسما في اللحن الاول دكصاكانيين هي ايضاً وفي الثالثه ستيخولوجيا كاتسما في اللحن الثامن دكصاكانيين هي ايضاً ثم تقول **لكي نكون مستحقين** ويقول الكاهن انجيل سحر ومزمور خمسين وترتل التريودي **لكير قزما لتسبح الرب ونمجده** والارمس مرتين والترنيمات ان كانت اربعه او سته تعلم اتي عشر واخيراً يقال الارمس في الخورصين مره واحده وبعد والادوية الاولى قنداق في اللحن الثامن من علي وزن **ايها الرب الباري ان يعقوب كان باكياً** وبعد التاسعه تقول الاكسابستلاري ثلاث مرار بمهلٍ ولحن ها انا ناظر الى محفلك وتقولها الي يوم الخميس الكبير وترتل في الوسط من قبل المرتل والتصويات من قبلنا علي انيتا تمسك اربعه ستيخونات وترتل ستراري النهار في اللحن الاول **قد وانا الرب الي الالام** اخري في اللحن الخامس **ايها المومنين قد ادركنا** دكصاكانيين في اللحن الخامس **يا رب عندما اتيت الي الالام** علي ستيخن ستراري في اللحن الخامس **يا رب عن سر تدبيرك** وتقول ستيخن كالعاده واخري في اللحن الخامس **يا رب ادبت تلاميدك** اخري في اللحن الثامن **يا اخوه لنهرب ونخاف** دكصاكانيين في اللحن الثامن **لما صادف** **التنين المصريه** والخدمه كالعاده بالمطانيات وتجمع معها الساعه الاولى بغير ستيخولوجيا وترتل الثلاث مزامير كالعاده واما الثالثه والسادسه ستيخولوجيا كما سبق القول **وهده** الخدمه تكمل علي هذا النص يوم الثلثا الكبير ويوم الاربعاء الكبير **اعلم** ان في الساعه الاولى التاسعه لا يقال ستيخولوجيا في هذه الجمعه الكبيره لكن ترتل الثلاث مزامير فقط وفي الثالثه ستيخولوجيا ويقر امن انجيل التتر يوم الاثنين والثلاثا ويوم الاربعاء نكملة وفي الثالثه والسادسه ويوم الاثنين الكبير طروباريه النبوات في اللحن السادس بنفسٍ منسحقه نسجد لك بروكيمنن في اللحن الرابع اذا ما رد الرب سي صهيون صرنا مثل المتعزين ستيخن حينيدٍ امثلت افواهنا فرحاً والسنتنا تهللاً قرآة من نبوة حزقيال النبي صار في سنة تلتمايه بروكيمنن في اللحن السادس ان لم يبيي الرب البيت فباطل تنعب البنائين وان لم يحفظ الرب المدينه فباطل تهر الحراس **واما** في الساعه الثالثه يوم الاثنين الكبير المقدس يضرب القندلفظ الناقوس كالعاده ثلاثاً ونجتمع في الهيكل وترتل الساعه الثالثه مع الاستيخولوجيا ونعمل المطانيات كالعاده وبعد البروكيمنن وباقي الخدمه يكون الانالوجيون مجهز بسترٍ عليه ويضع فوقه انجيل التتر اي الاربعه اناجيل وكل الجميع واقفين مكشوفين الرووس ويصير قرآه وحوله شمعتين متوقده ويخير الكاهن جمع الهيكل والاخوه وبعد كمال القرآة تقول مبارك الرب الآله وتعيد الخدمه مع المطانيات وتجمع معها الساعه السادس كالعاده ولا تعمل فيها استيخولوجيا وبعد قول يا من في اليوم السادس ترتل بروكيمنن النبوات ويقرى النبوه ثم يقري من الاربعه اناجيل كما رتبنا فيما نقدم كتابه بعد القرآة تقول سريعاً فلتدركنا رأفتك يا رب قدّوس الله بالمطانيات ويصير التسريح **يجب** ان تعلم ان بشاره انجيل

متي تقري بكما لها وكذلك بشارة مرقص ولوقا واما بشارة يوحنا تقري الي حين نبتدي الالام المقدس ويقروا علي هذا النص في الثلاثة ايام اعني الاثنين والثلاثا والاربعاء وتكملهم في الساعات وتصير بشارة لوقا ثلاث قرأت واما التتمه تنتين كل بشارة وجلتهم تسعة قرأت وفي الساعة التاسعه لم يكن شيء غيره واما الساعة التاسعه في الثلاثة ايام لا يصير فيها ستيخولوجيا كما سبق القول بل بعد الثلاثه مزامير يرتل الاخ المرتب يا من داق الموت بالجسد دكصاكانيين يا من ولدت من البثول من اجلنا وتصير قرآه من الاربعه اناجيل وبعدها تقول لا تسلمنا الي الانقضا من اجل اسمك قدوس الله بالمطانيات والمكارزمي وبقيه الخدمه مثل كل يوم وتقول قنداق الاثنين الكبير وتجمع معها صلاة الغروب **عشية الاثنين الكبير** بعد مزمور الغروب ستيخولوجيا العاده الي الرب صرخت علي كبريه اكرركصا تمسك عشرة ستيخونات وترتل ستيشاري النهار المقدم ذكره باكر في اللحن الاول واربعه في اللحن الخامس واللحن الثامن وتعيد اربعه والتنتين كل منهم مرة دكصاكانيين في اللحن الثاني **ما صادف التنتين** ايصودن بانجيل ايها النور البهي والقرآه بروكيمنن في اللحن السادس مبارك الرب من صهيون طوبا بجميع الدين يتقون الرب السالكين في طريقه قرآه من كتاب الخروج هذه اسماء بني اسرائيل بروكيمنن في اللحن الثامن مرارًا كثيره قاتلوني من شباني قرآه من كتاب ايوب الصديق كان انسان في بلد حوران اسمه ايوب ثم **كاتفنتين تبط** وبعدها الانجيل من بشارة متي في ذلك الزمان لما كان يسوع جالسًا في طور الزيتون وباقي خدمة البرويجيزمانا كالعده **هده** الخدمه يجب ان تصير في الثلاثا الكبير وفي الاربعه الكبير وندخل الي المايده وناكل خبز بغير ادم الي يوم الخميس الكبير **اعلم** انه اذا اتفق عيد بشارة الكلية القداسه والدة الاله في هذه الجمعة الكبيره في اي يوم كان يصير تعزيه للاخوة ويستعلون خمرًا وريثًا واما سَمَكًا فلا وفي صلاة النوم وترتل كالعاده قانون التريودي ليوم الثلاثا الكبير لكبر اندراوس فقط ويوم الاثنين الكبير المقدس عشية في صلاة النوم نرتل التريودي لكبر اندراوس في اللحن الثامن.

الراس التاسع والثلاثون

უფროს⁹¹; საკითხავი ესაიას წინასწარმეტყველებიდან: გულისხმა-ყოს ყრმამან ჩემმან და ამაღლდეს ფრიად; პროკიმენონი (წარდგომა მოციქულთა წიგნიდან); მეექვსე ხმაში; დამდევს მე მღვმესა ქუესკნელსა ზნელსა შინა⁹²; სტიქონი (მუხლი); უფალო ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო, დღისი ჯმა-ვყავ და ღამე წინაშე შენსა⁹³; ეპისტოლე პირველი კორინთელთა მიმართ; რამეთუ სიტყუად იგი ჯუარისად წარწყმედულთა მათთჳს სიცოფე არს⁹⁴; ალილუია პირველ ხმაში; მაცხოვრე მე, ღმერთო, რამეთუ შევიდეს წყალნი სულად ჩემდამდე. სტიქონი (მუხლი) რამეთუ შენ უწყი ყუედრებაჲ ჩემი და სირცხვლი ჩემი და კდემად ჩემი⁹⁵, სტიქონი (მუხლი): დაუზნელდენ თუალნი მათნი, რათა არა ხედვიდენ, და ზურგი მათი მარადის შედრიკე⁹⁶; სტიქონი (მუხლი); მას ჟამსა ზრახვა-ყვეს მღდელთ-მოდღუართს⁹⁷ (ამ მუხლიდან) და სხდეს წინაშე საფლავსა მას⁹⁸ (ამ მუხლამდე); შემდეგ დიდი კვერექსი წესისამებრ; ვამზობთ: რომელი ყოველსა; უფალო ღირსნი გაგვხადე; აღუვლინოთ ვედრებაი ჩვენი და შემდეგ განცხადება. იგალობე ასამაღლებელი მეოთხე სტიქონი მეორე ხმაში; ცხოვრების მომცემელო ქრისტე ღმერთო⁹⁹; პირველი სტიქონი (მუხლი): უფალი სუფევს, შუენიერებაჲ შეიმოსა, რაჟამს შთახედ საფლავად¹⁰⁰; მეორე სტიქონი (მუხლი); რამეთუ დაამყარა სოფელი, რათა არა შეიძრას¹⁰¹; რაჟამს დაიხშო; მესამე სტიქონი (მუხლი): სახლსა შენსა შუენის სიწმიდე, უფალო, სიგრძესა დღეთასა¹⁰²; ქრისტეო, რაჟამს; დოქსაქანინი (დიდება) მეხუთე ხმაში; შენ, ნათელის (მომფენელო) შემმოსელო, აწ განუტევე მონად შენი¹⁰³; წმიდაო ღმერთო და რაც მოჰყვება მას. ტროპარი; შუენიერმან იოსებ; მენელსაცხებლე

⁹¹ ... ვიდრე პირველი და იყო საცხოვარი მისი ცხოვარი ბევრი და ოთხ ათას, და აქლემები ექუს ათას, უღლეული ჯართა ათას, ვირი მძოვარი ჯდალი ათას (იობი 48:12)

⁹² და აჩრდილთა სიკუდილისათა (ფსალმ. 87:7)

⁹³ ფსალმ. 87:2

⁹⁴ ხოლო ჩუენ ცხოვრებულთა ამათთჳს ძალ ღმრთისა არს (1 კორინთელთა მიმართ 1:18)

⁹⁵ ფსალმ. 68:20.

⁹⁶ ფსალმ. 68:24.

⁹⁷ მთ. 26:3

⁹⁸ იყო მუნ მარიამ მაგდალინელი და სხუად იგი მარიამ, და სხდეს წინაშე საფლავსა მას (მთ. 27:61)

⁹⁹ "რაჟამს შთახედ საფლავად ცხოვრება ეგე უკუდავი, მაშინ ჯოჯოხეთი შეაძრწუნე ელვითა მით ღუთაებისა შენისათა, ხოლო რაჟამს მკუდარნი ქუესკნელით აღმოიყვანენ, მაშინ ყოველნი ძალნი ცათანი ღაღადებდნენ: ცხოვრების მომცემელო ქრისტე ღმერთო, დიდება შენდა".

¹⁰⁰ შეიმოსა უფალმან ძალი გარეშეირტყა; და რამეთუ დაამყარა სოფელი, რათა არა შეიძრას (ფსალმ. 92:1).

¹⁰¹ უფალი სუფევს, შუენიერებაჲ შეიმოსა; შეიმოსა უფალმან ძალი გარეშეირტყა; და რამეთუ დაამყარა სოფელი, რათა არა შეიძრას (ფსალმ. 92:1).

¹⁰² ფსალმ. 92:5.

¹⁰³ ... მეუფეო, სიტყვსაებრ შენისა მშჳდობით (ლუკ. 2:29).

დედათა; შემდეგ სიბრძნით! და იქმნას ხსნა, რაც შეეხება ძილის წინ ლოცვას, სახლებში ვგალობთ.

ორმოცდამეხუთე თავი:

წმიდა დიდი შაბათის მსახურების წესი

მეშვიდესა ჟამსა რეკავს ზარი; ექვსი ფსალუნის შემდეგ „ღმერთო, უფალო“ მეორე ხმაში; დასდებული მეორე ხმაში: შუენიერმან იოსებ; დოქსაქანი (დიდება), რაჟამს შთახედ საფლავად..., დოქსაქანი (დიდება); მენელსაცხებლეთა დედათა...; ვგალობთ-ნეტარ არიან; პირველი დასადებული სამთაგან; შემდეგ მცირე კვერექსი; საგალობელი; ალილუია სამჯერ, მცირე კვერექსი; კათიზმა პირველ ხმაში; დოქსაქანი (დიდება); შემდეგ იკითხება მათეს სახარების განმარტება; ორმოცდამეათე ფსალმუნი; „რომელმან დაფარა...“, ირმოსი, ტრინიმატი (დასადებული თორმეტთაგან); კატავასია ორ ქოროსს შორის; პირველი ოდიდან მეექვსემდე და შემდეგ რაც მოჰყვება მას; კათიზმა პირველ ხმაში; დოქსაქანი (დიდება); მეექვსესა ზედა კონდაკი მეექვსე ხმაში, ტროპარი მეორე ხმაში; წარმოთქვი ოთხი მუხლი და იგალობე სამი საგალობელი მეორე ხმაში; ერთი მეექვსე ხმაში; დოქსაქანი (დიდება); გამოითხოვა იოსებ...; დოქსაქანი (დიდება) მეექვსე ხმაში; მღვდელი შეიმოსება თეთრებში და იწყება სახარების შესავალი; წმიდაო ღმერთო-ს შემდეგ სიბრძნით! ვგალობთ ტროპარს ერთგზის, შუენიერმან იოსებ...; მეორე ტროპარი მეორე ხმაში; პროკიმენონი (წარდგომა) მეორე ხმაში; საკითხავი ეზეკიელის წინასწარმეტყველებიდან; პროკიმენონი (წარდგომა); მუხლი პირველი ეპისტოლედან კორინთელთა მიმართ; ალილუია მეხუთე ხმაში; ყველა იწყებს მეორე სტიქონს (მუხლი); მესამე სტიქონი (მუხლი); მათეს სახარება: ხვალისგან, რომელ არს შემდგომად პარასკევისა...; ვთქვათ ყოველმან ...;

პირველსა ჟამსა ვგალობთ ტაძრის შესასვლელში.

დიდი შაბათის მწუხრის მსახურება მეათესა ჟამსა; რეკს ზარი, მღვდელი შეიმოსების თეთრი სტიხრითა; კურთხევის შემდეგ მწუხრის ფსალმუნი; დიდი კვერექსი; უფალო დადადყავსა პირველ ხმაში; ყველა მღვდელი იმოსება თეთრი სტიხარით; შემდეგ მოჰყვება საადღგომო საგალობელი; ოთხი ოქტოიხოსი პირველ ხმაში; შემდეგ დიდი შაბათის საგალობელი: რაჟამს შთახედ საფლავად; დოქსაქანი

(დიდება); სახარების შესავალი; რაჟამს წარმოვაგზავნო მღვდელი სიბრძნით! შემდეგ იწყებს თხუთმეტ საკითხავს: პირველი საკითხავი შექმნის წიგნიდან; მეორე ესაიას წინასწარმეტყველებიდან; მესამე გამოსვლათა წიგნიდან; მეოთხე იონას წინასწარმეტყველებიდან; მეხუთე იესო ნავეს ძეს წიგნიდან; მეშვიდე სოფონიას წინასწარმეტყველებიდან; მერვე მეოთხე მეფეთა წიგნიდან; მეცხრე ესაიას წინასწარმეტყველებიდან; მეათე შესაქმნის წიგნიდან; შემდეგ თოთხმეტი საკითხავი იერემიას წინასწარმეტყველებიდან; შემდეგ მცირე კვერეჟი; არ წარმოვთქვამთ დავითის ფსალმუნებს, არამედ პროკიმენონს (წარდგომას); სტიქონი მეშვიდე ხმაში: აღსდექ უფალო, განსაჯე ქვეყანა; სტიქონი (მუხლი): ღმერთი დადგა შესაკრებელსა; მათეს სახარების საკითხავი; გაიმეორე ბასილი დიდის ლოცვა; ლოცვის შემდეგ არ გავდივართ ეკლესიიდან, ვსხდებით ჩვენ ადგილებზე, მარიგებენ პურის ნატებს და თითო ჭიქა ღვინოს ყველა მამისთვის. იკითხება საკითხავი მოციქულთა საქმიდან; კანდელაფტი ანთებს კანდელს და ჰრევს ზარი; მღვდელი აკურთხებს და ვიწყებთ წმიდაო ღმერთო-ს და რაც მოჰყვება მას. სამგზის მოვედინ თაყვანი-ვსცეთ; ორმოცდამეათე ფსალმუნი და დიდი შაბათის კანონი. შემდეგ წმიდა ეპიფანეს ქადაგება; აღდგომის საკითხავი იოანეს ან მათეს სახარებიდან; შემდეგ იგალობე სამი ოდა; მეცხრე გალობისა შემდგომ წმიდაო ღმერთო და ტროპარი მეორე ხმაში: რაჟამს შთახედ საფლავად; დასრულდა.

ორმოცდამეექვსე თავი

წმიდა დიდი პასექის კვირის მსახურების წესების ცოდნა და ბრწყინვალე შვიდეულის პარასკევი, წმიდა პასექის კვირა;

ღამის მსახურების შემდეგ, მივდივართ ყველა შესასვლელისკენ; მხოლოდ კანდელაფტი იმყოფება საკურთხეველზე; ანთებს ყველა სანთელსა და კანდელს; შემდეგ ასრულებს მეტანიას; ჰრევს ზარი, მღვდელი იცვლის სამოსელს, აკმევს საკმეველს მრევლისკენ; დასწერს ჯუარსა საკმეველით და ამბობს: დიდება წმიდასა და თანაარსსა, და ცხოველსმოყოფელსა და განუყოფელსა სამებასა; და ამინის წარმოთქმის შემდეგ იწყებს მღვდელი შემდეგი ტროპარით მეხუთე ხმაში; ქრისტე აღდგა მკვდრეთით; შემდეგ ამას ამბობენ ძმანი; და მღვდელი იტყვის სამგზის. შემდეგ მღვდელი ამბობს პირველ მუხლს; აღდგინ ღმერთი, და განიბნინედ ყოველნი მტერნი

მისნი...; ჩვენ ვგალობთ: ქრისტე აღდგა მკვდრეთით; დოქსაქანინი (დიდება); ქრისტე აღდგა; დიდი კვერეჟი; განცხადების შემდეგ წინამძღვარი იწყებს ირმოსს; კანონი პირველ ხმაში: აღდგომასა დღე არს, ბრწყინვალე; ტრინიტატი (დასადებელი თორმეტაგან); მასთან ერთად თოთხმეტი მუხლი; ყოველი ოდის შემდეგ მოდის მცირე კვერეჟი; შემდეგ იბაკო (საგალობელი) მეოთხე ხმაში; შემდეგ ოთხი ოდა და კონდაკი მერვე ხმაში; შემდეგ ოდა; აღდგომის ოქტოიხოსი პირველ ხმაში; ქრისტეო, თაყვანისცემთ; შემდეგ სააღდგომო დასადებელი მეხუთე ხმაში; წარმოთქვი: აღდეგინ ღმერთი და განიზნინედ ყოველნი მტერნი მისნი...; მომდევნო მუხლები; მოვედით მენელსაცხებლენო; დოქსაქანინი (დიდება); აღდგომის დღე არს; ქრისტე აღდგა; მღვდელი იღებს სახარებას, დგება საკურთხეველში; ეამბორება წმიდა სახარებას; შემდეგ წინამძღვარი კითხულობს იოანე ოქროპირის ქადაგებას: კურთხეულ ხარ უფალო, ვინც ღვთის სამსახურში და ღმერთის სიყვარულშია, დაე, ის დატკბეს ამ ბრწყინვალე დღესასწაულის სიკეთით, ვინც მადლიერი მონაა, დაე შევიდეს უფლის სიყვარულში; ვინც მარხულობს, დაე, ახლა მიიღოს თავის გასამრჯელო...; შემდეგ შესავედრებელი ლოცვა; უნდა იცოდე, რომ დღეიდან, იგულისხმება წმიდა პასექის კვირას მომდევნო შაბათამდე, ძილის ლოცვებსა და საათებს ამგვარად ვგალობთ. შემდეგ წარმოთქვი ქრისტე აღდგა სამჯერ; შემდეგ კონდაკი; დოქსაქანინი (დიდება); ორმოცგზის უფალო შეგვიწყალენ; სამგზის ქრისტე აღდგა მკვდრეთით სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი; სამგზის: ვიხილეთ ქრისტეს აღდგომა; ვამბობთ შესავედრებელ ლოცვას ერთხელ; მენელსაცხებლე დედები გაემართნენ ცისკრად; წარმოთქვი კონდაკი ერთგზის: საფლავსა შინა განისუენე, უკვდავო...; წარმოთქვი შემდეგი ტროპარი ერთგზის: რომელი იყო საფლავსა შინა ხორციელით და ჯოჯოხეთსა შინა სულით; დოქსაქანინი (დიდება); წარმოთქვი ორმოცგზის უფალო შეგვიწყალენ;

ძილის წინ ლოცვისას წარმოთქვი პირველი ანტიფონი პირველ ხმაში; მეორე ანტიფონი პირველ ხმაში; მესამე ანტიფონი მეხუთე ხმაში. შემდეგ ტროპარები; დოქსაქანინი (დიდება); კონდაკი; პროკიმენონი (წარდგომა) ეპისტოლესი მერვე ხმაში; საკითხავი მოციქულთა ეპისტოლედან; საკითხავი იონეს სახარებიდან. თავდაპირველად იყო სიტყვა და იოანე ოქროპირის წირვიდან; ამ დღიდან ვიწყებთ

მოციქულთა საქმეს იოანე ოქროპირის განმარტებიდან, კვირა დღის ბოლომდე. ტრაპეზის ბოლოს წარმოვთქვამთ: ქრისტე აღდგა სამგზის; ვყოფთ პურს სამად; შემდეგ ტროპარი და კონდაკი.

მწუხრის მსახურება: მღვდელი შეიმოსების; საკმეველით გამოსახავს ჯუარსა და წარმოთქვამს: აკურთხე უფალო და ამინის შემდეგ ვიწყებთ ქრისტე აღდგა მკვდრეთით; ვპასუხობთ ჩვენ ტროპარით; შემდეგ მუხლები; დოქსაქანინი (დიდება); შემდეგ კვერექსი; უფალო ღაღადყავსა; წარმოთქვი რვა მუხლი; იგალობე საადღგომო ტროპარი; აღმოსავლური მეორე ხმაში; სახარების შესავალი: ნათელი მხიარული; წარდგომა მეშვიდე ხმაში; საკითხავი იოანეს სახარებიდან; შემდეგ შესავედრებელი ლოცვა; აღდგომის ტროპარი, ოქტოიხოსი მეორე ხმაში; შემდეგ აღდგომის ტროპარი მეხუთე ხმაში; და მღვდელი ამბობს სიბრძნით! იცოდე, რომ უფალო დიდება შენდა-ს ნაცვლად წარმოვთქვამთ ქრისტე აღდგა-ს; რაც შეეხება საღამოს მსახურებას, წარმოთქვი სტიქონები სამოცდამეშვიდე ფსალმუნიდან.

ამავე თავში მოცემულია ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათი დღის მსახურების წესი.

169-ე გვერდზე მთავრდება ტიპიკონი. ტიპიკონის მთარგმნელი ასრულებს შემდეგი სიტყვებით:

تم كتاب التيبكون المبارك ويتلوه التيبكون الاخير الموضوع لاجل الاختلاف والتغيير. تم.

„დასრულდა ტიპიკონის წიგნი, მას მოჰყვება სხვა ტიპიკონი, განსხვავებებისა და ცვლილებების გამო. დასრულდა“.

1.4. ტიპიკონის არაბული თარგმანის ბერძნულ ორიგინალთან შედარება

შინაარსობრივი შესაბამისობის შესამოწმებლად XVII საუკუნის ტიპიკონის არაბული თარგმანის გარკვეული ნაწილი (დიდი პარასკევიდან აღდგომის დღესასწაულის მსახურების ჩათვლით) შევადარეთ ბერძნულ ორიგინალს¹⁰⁴.

¹⁰⁴ ბერძნული ტიპიკონი შესწორებული კრეტელი მღვდლის მარკის მარას მიერ, დაიბეჭდა ვენეციაში ანდრია გლიკის მიერ. XVI ს.

აღსანიშნავია, რომ მელეტიოს ქარმას მიერ შესრულებული თარგმანის შინაარსი უფრო მოცულობითია და მსახურების წესებს უფრო დაწვრილებით აღწერს.

ასევე, გამოიკვეთა ტექსტში ერთი უზუსტობა:

ბალამანდის ხელნაწერი №94	ჰამატურის ხელნაწერი №46	ბერძნული ორიგინალი
قراءة من نبوة اشعيا: يا رب عرّفني فأعرف საკითხავი ესაიას წინასწარმეტყველებიდან: უფალო, გულისხმამიყავ მე და ვცნა (ხელნაწერი №94, გვ. 144v)	قراءة من نبوة اشعيا: يا رب عرّفني فأعرف საკითხავი ესაიას წინასწარმეტყველებიდან: უფალო, გულისხმამიყავ მე და ვცნა (ხელნაწერი №46, გვ. 143)	Προφητείας Ἱερემίου, τὸ ἀνάγνωσμα. Κύριε, γνῶσον μοι, ἢ γνῶστί μου. საკითხავი იერემიას წინასწარმეტყველებიდან: უფალო, გულისხმამიყავ მე და ვცნა (ბერძნ. ტიპიკონი, გვ. 134)

ზემოხსენებული მაგალითით გამოიკვეთა ვარაუდი, რომ მთარგმნელმა მელეტიოს ქარმამ დაუშვა შეცდომა და ხელნაწერის გადამწერმაც გაიმეორა გადამოწმების გარეშე, ან შესაძლებელია, ისინი სარგებლობდნენ სხვა არქეტიპით, სადაც იყო ეს უზუსტობა.

დასკვნა

საბას ლავრის ტიპიკონის თარგმანი არაბულ ენაზე გვიჩვენებს XVII საუკუნეში ბერძნული ენიდან არაბულ ენაზე მთარგმნელობითი პროცესის მიმდინარეობას, ლიტურგიაში არაბული ენის დანერგვას და არაბულენოვანი სამღვდელოების ცოდნის ამადლებას. ტიპიკონის ამ თარგმანის შესავალ ნაწილში მელეტიოს ქარმა აღნიშნავს, რომ განსხვავებული წესებისა და რიტუალების არსებობის გამო თარგმნა ტიპიკონი,

რათა დაეწესებინა ერთიანი წესი. სავარაუდოა, რომ სწორედ ამის გამო მან დაწვრილებით წარმოადგინა მსახურების წესები. ამავე მიზეზის გამო, შესავალ ნაწილში მთარგმნელი მოუწოდებს ზედმიწევნით შეასრულონ უკვე არსებული, დაწერილი წესები. გარკვეული ნაწილის (დიდი ორშაბათიდან აღდგომის დრესასწაულის ჩათვლით) ბერძნულ ორიგინალთან შედარებამ ცხადჰყო, რომ რედაქციული ცვლილება არ შეინიშნება.

IV თავი

ენობრივი თავისებურებანი

სემიტურ ენათა შორის არაბულს ადგილი უკავია სამხრეთ დასავლურ შტოში. ენობრივი ვითარება არაბულ სამყაროში დიგლოსიურია, შეიძლება ითქვას, მულტიგლოსიურიც. ეს არის ზოგადი დახასიათება, სინამდვილეში სურათი გაცილებით უფრო ჭრელი და რთულია (არაბულ ქვეყნებში გავრცელებული ადგილობრივი დიალექტები და კილოკავები, ასევე საერთო სალიტერატურო ენით, რომელსაც აგრეთვე აქვს ადგილობრივი მახასიათებლები, დიალექტთა გავლენით შექმნილი და ა.შ).

სალიტერატურო არაბულს საფუძვლად უდევს ყურანისა და პოეზიის ენა. სწორედ ამის გამო მუსლიმურ საზოგადოებაში სალიტერატურო არაბული მეტად გავრცელებულია, ხოლო ქრისტიანულ საზოგადოებაში სასაუბრო ენა. ქრისტიანული არაბული ტექსტებისთვის დამახასიათებელია სამეტყველო ელემენტების არსებობა ადრეული პერიოდიდან. სამხრეთ პალესტინის ქრისტიანულ არაბულ ტექსტებზე დაყრდნობით, ჯოშუა ბლაუ მიუთითებს „საშუალო არაბული“ (Middle Arabic) ენის არსებობაზე. მეცნიერთა ნაწილი ამ ტერმინით აღნიშნავს შუა საუკუნეების არაბულ ტექსტებში შეღწეულ სასაუბრო / სამეტყველო ელემენტებს, ზოგი კი სტანდარტულ არაბულსა და ამ ტექსტებისთვის დამახასიათებელ სალაპარაკო ელემენტების კომბინაციას. საბოლოოდ, ჯოშუა ბლაუ აღნიშნავს, რომ ტერმინი „საშუალო არაბული“ გამოიყენება შუა საუკუნეების ტექსტების როგორც შერეული ენის აღსანიშნავად, რომელიც მოიცავს სტანდარტულ არაბულს (Standard Arabic) და ნეო-არაბულს (Neo-Arabic) (Blau, 1981, pp. 187-203); (Griffith S. H., 1988, pp. 1-28)

1.1. შესავალი

საკვლევი მასალის – XVII საუკუნის ხელნაწერის № 94 ენობრივი თავისებურებების გამოსავლენად საჭიროა ადრეული ხელნაწერებისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური ელემენტების აღნიშვნა. XIX საუკუნის ბოლოსთვის, პალესტინურ ტექსტებზე დაყრდნობით, დასავლელი მკვლევრები საუბრობენ ქრისტიანთა როლზე

თანამედროვე „სამეტყველო არაბულის“ განვითარებაში. თითქოს არსებობდა ე. წ. „ქრისტიანული არაბული“. პალესტინურ ხელნაწერთა ტექსტებზე დაყრდნობით, გეორგ გრაფმა გამოაქვეყნა ამ ხელნაწერების ლინგვისტური კვლევა: უძველესი ქრისტიანული არაბული ლიტერატურის ენობრივი გამოყენება და როლი სამეტყველო არაბულის ისტორიაში. ჯოშუა ბლაუს მიერ დამუშავებული უძველესი სამხრეთ პალესტინის არქივი გამოირჩევა ენობრივი მახასიათებლებით, მათ შორის ხელწერით. სამირ ხალილი აღნიშნავს, რომ ხსენებულ თავისებურებათა ერთობლიობა შეიძლება სხვადასხვა დროისა და ადგილის არაბულ ტექსტებში მოიძებნოს. ჯოშუა ბლაუს მიხედვით, პალესტინელი ბერები ცდილობდნენ, დაეწერათ სალიტერატურო არაბულზე. კიდევ ერთი მახასიათებელი ამ ტექსტებისა არის სირიული ენის გავლენა, ვინაიდან ძირითადად თარგმნა ხდებოდა სირიულიდან და ბერძნულიდან (აბასიანთა პერიოდის პირველი ორი საუკუნე). მომდევნო საუკუნეების არაბულ ტექსტებში სირიულის, კოპტურისა და ბერძნულის გავლენა არსებობს (Griffith S. H., 1988, pp. 8-13).

XVII საუკუნის ხელნაწერში № 94 ვხედავთ, რომ ტიპიკონის მთარგმნელი შეეცადა ეთარგმნა სალიტერატურო არაბულზე. მისი მცდელობა გარკვეულწილად შესრულდა, მაგრამ დიალექტური / სასაუბრო ფორმები ხელნაწერში ჭარბობს. წინამდებარე თავში წარმოდგენილია ხელნაწერი № 94-ის ენობრივი თავისებურებების იგივე მახასიათებლები, რომლებიც ვლინდება სამხრეთ პალესტინურ ტექსტებში.

ასევე, ბალამანდის ხელნაწერის №94-ის გარდა, არსებობს გადაწერილი ხელნაწერი №46, რომელიც ასევე ეკუთვნის XVII საუკუნეს. რედაქციული სხვაობის დასადგენად წარმოდგენილია ორი ხელნაწერის ურთიერთმიმართება. შედარების შედეგად მიღებულია დასკვნები, საბოლოო შეჯამება.

1.2. გამოყენებული ტერმინოლოგია

წინამდებარე ხელნაწერში, ისევე როგორც ზოგადად ქრისტიანულ არაბულ ხელნაწერებში, ფართოდ არის წარმოდგენილი ბერძნული ტერმინოლოგია. ხსენებულ ორ ხელნაწერში ნაკლებად გამოიყენება სირიული ტერმინები.

ბერძნული ტერმინოლოგია:

არაბული	ბერძნული	ქართული
اغرينية - اغرينيات (اغرينياء) ¹⁰⁵	ἀγρυνία (plural ἀγρυνίες)	ღამისთევა
القندلفت (القندلفت)	Κανδηλάπτης	მნათე (კანდელაფტი)
ستيخون، ستيخن – ستيخونات، استيخون	Στίχος	ფსალმუნის ან საგალობლის მუხლი
ستيخولوجيا	Στιχολογία	სტიხოლოგია
طروبارية، طروباريات	Τροπάριο	ტროპარი
الكليسياري شيس	ἐκκλησιάρχης	საეკლესიო მოღარე, სეკლესიო მსახური/ეკლესიარქი
دكسالوجية	Δοξολογία	დოქსოლოგია
دكساكانين، دكساكانين، الدكسا والكانين	Δόξα Δόξα Πατρί και Υἱῷ	დოქსაქანინი: დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.
بروكيمنن	Προκείμενον	წარდგომა
ايقونة	εἰκῶν	ხატი

¹⁰⁵ მოცემული ტერმინი (ზოგადად ბერძნული და სირიული ტერმინოლოგია) მოძიებულ იქნა გეორგ გრაფის გამოცემიდან „არაბული საეკლესიო ტერმინები“ - George Graf, Verzeichnis Arabischer Kirchlicher Termini, Tome 8 (Corpus Scriptorum Orientalium, vol. 147) (Louvain: L. Durbecq, 1954), 10.

التمياطن	Θυματόν	საკმეველი
الكاتسما – كاتسماطات	Κάθισμα	1. ერთი-ერთი ფსალმუნი, რომელიც კრებულში არის მოთავსებული 2. ტროპარი, რომელიც დაჯდომილი იკითხება კათიზმა / კანონი
الانتيفونا	ἀντίφωνον	ანტიფონი
الايصودون، الايصودون	Εἵσοδος	პატარა და დიდი ლოცვის შესავალი
الابوكاليبيشيس	ἀποκάλυψις	აპოკალიპსი
قنذاق	Κοντάκιον	კონდაკი
التريصاجيون	Τρισάγιον	წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო შეგვიწყალე ჩვენ.
التاوطوكس	θεοτόκος	ღვთისმშობელი
البولايالاون	Πολυέλεος	აუარებდით უფალსა/ადიდეთ უფალი
كيرياليسن	Κύριε ἐλέησον	კირიელეისონ; უფალო შეგვიწყალენ
القناديل	Κανδήλα	კანდელი
خورس، خورص	Χορός	1. მგალობელთა ჯგუფი; 2. ქორო /ხორო
اناسطاسيما	Ἀναστάσιμα	საადღგომო
المكارزمي	Μακαρισμοί	9 ნეტარება

فوتاغوجيكا	Φωταγωγικόν	პირველი ჟამის ტროპარი (განთიად შეისმინე ხმისა ჩემისა)
ميناون	μηνᾶιον	თვენი
أناتوليكا	ἀνατολή	აღმოსავლური
اياكويي	Ὑπακοή	იბაკო
كاتباسيا	Καταβασία	კატავასია
إرئس – آراميس	Ἰρμος	ირმოსი
الأبسطلس، الابسطولص	ἀπόστολος	ეპისტოლეები
أودية، أودية	ὠδή	ოდა
كيونونيكن	Κοινωνικόν	გალობა ზიარების დროს
أفشين - أفاشين	εὐχή	ლოცვა
تريودي، تريوديون، تريودي	Τριῶδιον	სამსაგალობელი, ტრიოდioni
ثاوس كيوريوس	Θεός Κύριος	ღმერთო, უფალო.
سنابتي، سينتي	Συναπτή	კვერეჟსი
كبريه أكرکصا	Κύριε, ἐκέκραξα	უფალო, ღაღად-ვყავ შენდამი.
أكسابستلاري	ἐξαποστολᾶριον	ტროპარი, რომელიც ამთავრებს საგალობლების კანონს.
مطانية	Μετάνοια	მეტანია
صوفيا	Σοφία	აკლამაცია (სიბრძნით)
كبرياليصن	κύριε ἐλέησον	კირიელეისონ; უფალო შეგვიწყალენ

التريادیکا	Τριαδικά	სამების საგალობელი
إنجيل التترا	Τετραεὐάγγελιον	ოთხთავი

სირიული ტერმინოლოგია:

ميمر	ქადაგება
ناقوس	ზარი

ხელნაწერში № 94 გამოყენებულია ზემოხსენებული ბერძნული და სირიული ტერმინები, თუმცა მთარგმნელი იყენებს მათ არაბულ შესატყვისებსაც. ასევე, აღსანიშნავია, რომ ხელნაწერში არსებული ბერძნული სიტყვები ემთხვევა გეორგ გრაფის ძველ პალესტინურ ტექსტებზე დაყრდნობით, ქრისტიანულ-არაბული საეკლესიო ტერმინებს.

1.3. ბალამანდის ხელნაწერი №94 ურთიერთმიმართება ჰამატურის ხელნაწერთან №46

შედარების მიზნით განხილულია ჰამატურის მონასტრის (ლიბანი) ხელნაწერი №46, რომელზე დათარიღებულია 1692 წლით. იგი შედგება 187 გვერდისგან და დაწერილია ნუსხური ხელწერით. იგი დაწერილია ქაღალდზე, ზეეს მუყაოს ყდა. ყველა გვერდი დანომრილია. თითოეული გვერდზე ტექსტი წარმოდგენილია ორ სვეტად. ყოველი ფურცლის პირველი გვერდის დასასრულს (მეორე სვეტის ბოლოს, გვერდის მარცხენა კუთხეში) ავტორს უწერია მომდევნო გვერდის პირველი სიტყვა.

დაკვირვების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ პირველი შესამჩნევი განსხვავება ორ ხელნაწერს შორის არის დიაკრიტიკული ნიშნები. ჰამატურის ხელნაწერში დიაკრიტიკული ნიშნები მეტად დაცულია, ვიდრე ბალამანდის ხელნაწერში. გამოიკვეთა, რომ ჰამატურის ხელნაწერის ტექსტში არის როგორც ჩამატებები, ასევე კლებაც, რაც, ჩვენი აზრით, შეიძლება შმდეგნაირად კვალიფიცირდეს:

1. ამოკლება:

1.1 ამოკლების შემთხვევაში ავტორი ტოვებს მხოლოდ კონკრეტულ ცნებას, სიტყვას, საკითხს, ან არ თვლის მნიშვნელოვნად ამა თუ იმ საკითხის დეტალურად აღწერას:

ბალამანდის ხელნაწერი	ჰამატურის ხელნაწერი
"لتجسد سيدنا يسوع المسيح" (ხელნაწერი №94, 1612:5) “ჩვენი ბატონის იესო ქრისტეს განკაცებისთვის”	لتجسد يسوع المسيح" (ხელნაწერი №46, 1692:4) “იესო ქრისტეს განკაცებისთვის”
"كيف ينبغي ان يقرى من احد الفصح العظيم الى احد العنصره المقدس" (ხელნაწერი №94, 1612:6) „როგორ უნდა წაიკითხოს პასექის დიდი კვირიდან სულთმოფენობის კვირამდე”	"كيف تقرى من الفصح الى العنصره" (ხელნაწერი №46, 1692:5) „როგორ იკითხება პასექიდან სულთმოფენობამდე”
"ابتدا شهر تشرين الاول ايامه احد و تلتون يوما ساعات نهاره احد عشر ساعه وساعات ليله ثلاثه عشر ساعه" (ხელნაწერი №94, 1612:6) “ოქტომბრის თვის დაწყება, მოიცავს ოცდათერთმეტ დღეს, დღის საათები - თერთმეტი საათი, ღამის საათები - ცამეტი საათი”	"ابتدا تشرين الاول ايامه وساعات نهاره وليله" (ხელნაწერი №46, 1692:5) “ოქტომბრის თვის დაწყება, მოიცავს დღეებს და დღე-ღამის საათებს”
"الصوم المقدس" (ხელნაწერი №94, 1612:6)	"الصوم" (ხელნაწერი №46, 1692:5)

“წმიდა მარხვა”	“მარხვა”
"ويعمل ثلاث مطانيات امام الابواب المقدسه ولكل خورص واحده وبجماعة الاخوه الجالسين ويدخل في المذبح المقدس ويأخذ التمايطن ويقف امام المايده المقدسه ويضع البخور قايلًا ... " (ხელნაწერი №94, 1612:7) “ასრულებს სამ მეტანიას წმიდა საკურთხეველის წინ, ერთს (მეტანიას) ყოველ ქოროსთან და მღვდლების წინ და შედის წმიდა საკურთხეველთან, იღებს საკმეველს, დგება წმიდა ტრაპეზის წინ, იწყებს კმევას და ამბობს ...”	"ويعمل ثلاث مطانيات امام الابواب المقدسه ولكل خورص واحده وبجماعة الاخوه الجالسين ويدخل الي المذبح المقدس ويضع البخور قايلًا ... " (ხელნაწერი №46, 1692:7) “ასრულებს სამ მეტანიას საკურთხეველის კარის წინ, ერთს (მეტანიას) ყოველ ქოროსთან და მღვდლების წინ, შედის საკურთხეველთან, იწყებს კმევას და ამბობს ...”
"القديسين الشهدا نازاريوس وجرفاسيوس وبروتاسيوس، كلسيوس" (ხელნაწერი №94, 1612:34r) „წმინდა მოწამეები ნაზარიუსი, გერვასიუსი, პროტასიუსი და კელსიუსი“	"الشهدا نازاديوس ورفقته " (ხელნაწერი №46, 1692:24) „მოწამეები ნაზარიუსი და მისი მეგობარნი“
"الاهي الاهي انظر لماذا تركتني بشفاعه والدة الله مخلص ستيخن ثاني تباعد مني خلاصي بكلام جهلي بشفاعه والدة الاله المخلص ستيخن ثالث ... " (ხელნაწერი №94, 1612:25v-26r) ლმერთო, ლმერთო ჩემო, მომხედენ მე; რადსათვს დამიტევე მე? მეოხებითა ღმრთისმშობელისათა, მაცხოვარ, გვაცხოვნენ ჩვენ; მეორე მუხლი: შორს	"الاهي الاهي انظر لماذا تركتني وتوابعها" (ხელნაწერი №46, 1692:27) „ღმერთო, ლმერთო ჩემო, მომხედენ მე; რადსათვს დამიტევე მე? და რაც მოჰყვება მას“

არიან ცხორებისა ჩემისაგან სიტყუანი ბრალთა ჩემთანი; მეოხებითა ღვსთისმშობელისათა; მესამე მუხლი: ¹⁰⁶ „	
---	--

1.2 მთელი დღის ამოკლება

ბალამანდის ხელნაწერი	ჰამატურის ხელნაწერი
"اليوم الثامن والعشرون من كانون الاول (ხელნაწერი №94, 1612:58r) „ოცდარვა დეკემბერი“	-----

ზემოხსენებული მაგალითის მიხედვით, ხელნაწერი №46-ის ავტორს ან გამორჩენილი აქვს კონკრეტული დღე ან ხელნაწერში №94 მოგვიანებითაა ჩამატებული, ვინაიდან ეს დღე მთავარ ტექსტში კი არა, არამედ ტექსტის ქვევითაა მიწერილი.

2. ჰამატურის ხელნაწერის გადამწერი უპირატესობას ანიჭებს არაბულ ტერმინებს. მაგალითად:

ბალამანდის ხელნაწერი	ჰამატურის ხელნაწერი
"ترتل ستراري اناسطاسيما اللحن ثلاثه" (ხელნაწერი №94, 1612:7r) “იგალობე ანასტასის საგალობელი სამხმად”	"ترتل ستراري القيامه اللحن ثلاثه" (ხელნაწერი №46, 1692:7) “ვიგალობოთ აღდგომის საგალობელი სამხმად”
"الابسطلس لاهل غلاطيه" (ხელნაწერი №94, 1612:23r)	"الرسايل الي اهل غلاطيه" (ხელნაწერი №46, 1692:24)

¹⁰⁶ ბალამანდის ხელნაწერში მთარგმნელი ზედმიწევნით წარმოადგენს მსახურების წესს, ხოლო ჰამატურის ხელნაწერში შემოკლებული ვარიანტია წარმოდგენილი.

„ეპისტოლე გალატელთა მიმართ“	„ეპისტოლე გალატელთა მიმართ“
كبريا يصن (ხელნაწერი №94, 1612:25r) „კირიე ელეისონ“	يا رب ارحم (ხელნაწერი №46, 1692:26) „უფალო შემიწყალე“
مارتيريكا (ხელნაწერი №94, 1612:32r) “მარტირიკა”	شهاديات (ხელნაწერი №46, 1692:33) “წმინდანთა მოწამეობა”
اناطوليكا (ხელნაწერი №94, 1612:106v) “აღმოსავლური”	مشرقيات (ხელნაწერი №46, 1692:105) აღმოსავლური
كاطانتيكا (ხელნაწერი №94, 1612:113r) “სინანულის საგალობლები”	خشوعيات (ხელნაწერი №46, 1692:111) “სინანულის საგალობლები”
الترپادىكا (ხელნაწერი №94, 1612:122v) “სამების საგალობელი”	الغاليوثيات (ხელნაწერი №46, 1692:122) “სამების საგალობელი”

აღსანიშნავია, რომ ხელნაწერში №94 უფრო ხშირადაა გამოყენებული ბერძნული ტერმინოლოგია, ვიდრე ხელნაწერში №46. თუმცა, ხელნაწერი №94-ის მთარგმნელი ერთსა და იმავე ცნებას სხვადასხვა ადგილას აღნიშნავს არაბული ტერმინითაც.

2.1 ხელნაწერის № 46-ის გადამწერი ზოგჯერ იყენებს სირიულ ტერმინებს:

ბალამანდის ხელნაწერი №94	ჰამატურის ხელნაწერი №46
بانيشيطا (ხელნაწერი №94, 1612:115r) დატირება, პანაშვიდი	نياحة ساخت (ხელნაწერი №46, 1692:114) დატირება, პანაშვიდი

3. ჰამატურის ხელნაწერში გვხვდება ჩამატებაც, მაგალითად:

ბალამანდის ხელნაწერი	ჰამატურის ხელნაწერი
"ثم يبتدي القس ويبتدي المتقدم والاكليسيارشييس" (ხელნაწერი №94, 1612:12) “შემდეგ მღვდელი იწყებს და იწყებს პრესვიტერი და ეკლესიარქი “	"ثم يبتدي القس المجد للتلوث ويبتدي المتقدم او الاكليسيارشييس" (ხელნაწერი №46, 1692:112) “შემდეგ მღვდელი იწყებს სამების დიდებას და იწყებს პრესვიტერი ან ეკლესიარქი”

ხელნაწერ №94-ისა და ხელნაწერ №46-ის შედარება გვიჩვენებს, რომ ჩამატება ხელნაწერში №46 უფრო ნაკლებია, ვიდრე ამოკლება.

4. გვხვდება ფონეტიკური სხვაობა

4.1 უცხოური სიტყვები:

ბალამანდის ხელნაწერი	ჰამატურის ხელნაწერი
القندلفظ (ხელნაწერი №94, 1612:24r)	القندلفت (ხელნაწერი №46, 1692:25)

4.2 არაბული სიტყვები:

"ان كنت خاظر في وقت الصلب" (ხელნაწერი №94, 1612:34r) „თუ დაესწრები გარდამოხსნას“	"ان كنت حاضر في وقت الصلب" (ხელნაწერი №46, 1692:35) „თუ დაესწრები გარდამოხსნას“
--	---

5. ჰამატურის ავტორი ზოგ შემთხვევაში იყენებს სიტყვების შემოკლებულ ვარიანტს და აღნიშნავს პირველი ასოთი:

ბალამანდის ხელნაწერი	ჰამატურის ხელნაწერი
تاوطو كيون თეოტოკოსი, ღვთისმშობელი	Θ – ბერძნული ასო თეტა

6. ჩანაცვლება

ბალამანდის ხელნაწერი	ჰამატურის ხელნაწერი
"طوبا للرجل الخائف من الرب، الانجيل من بشارة لوقا" (ხელნაწერი №94, 1612:30v) „ნეტარ არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა, ლუკას სახარება“.	"طوبا للرجل الخائف من الرب والانجيل من متي" (ხელნაწერი №46, 1692:31) „ნეტარ არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა და მათეს სახარება“.
"ذكصا في اللحن الثاني" (ხელნაწერი №94, 1612:44v) „დიდება მეორე ხმაში	"ذكصا باللحن الثامن" (ხელნაწერი №46, 1692:45) „დიდება მერვე ხმაში“

როგორც ვხედავთ, ორი ხელნაწერის შედარებისას გვხვდება ამოკლება, ჩამატება და ჩანაცვლება, თუმცა მნიშვნელოვანი რედაქციული ცვლილება არ შეინიშნება.

1.4. ლინგვისტური მახასიათებლები

ფონეტიკა

როგორც ჯოშუა ბლაუ აღნიშნავს, ზოგადად, ქრისტიანული არაბული ტექსტები არ არის გახმოვანებული. ეს ისლამური ხელნაწერების მახასიათებელიცაა, მაგრამ ზოგჯერ ქრისტიანულ არაბულში შეინიშნება სალიტერატურო ენაში მიღებული წესის მიხედვით არსებული ხმოვნების ჩანაცვლება დიალექტურ წარმოთქმაში დამკვიდრებული ხმოვნებით (Blau, 1966, pp. 61-62). ხელნაწერში № 94 არის ხმოვანთა ასეთი ჩანაცვლების შემთხვევები (მაგალითები მოყვანილია გრძელ ხმოვნებზე).

- 1) ალიფ მაკსურას ნაცვლად წარმოდგენილია (i)¹⁰⁷

მაგ.: [ilā] حتي , [hattā] متي , [mattā]

- 2) ალიფ მაკსურას ნაცვლად წარმოდგენილია (ā)

მაგ.: [tamaššā] (الصفحة 143 r)

- 3) ალიფის ნაცვლად (ī)

მაგ.:

[hakadā] هكدي (الصفحة 12)

სუბსტიტუცია

გლოტალური შემართვა (ჰამზა)

თანხმოვნების ცვლილების საკითხში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებაა გლოტალური შემართვის თითქმის სრულად გაქრობა. ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, ზოგადი წესის დადგენა შეუძლებელია. გლოტალური შემართვა, შესაძლოა, ამოღებულ იქნას ნებისმიერი პოზიციიდან (იგულისხმება როგორც სიტყვის დასაწყისში, ასევე, შუაში და ბოლოშიც), გარდა ამისა, თუ მას ხმოვანი არ მოჰყვება და მარცვლის ბოლოს მოკლე ხმოვნის შემდეგ დგას (Blau, 1966, p. 86).

- 1) *a* ' დაყრდნობილი ჰამზა გადადის (ā)-ში.

მაგ.: [rās] راس

- 2) *i* ' დაყრდნობილი ჰამზა გადადის (ī)-ში.

[kanāīs] كنايس , [al-ḥāīf] , [მაგ.:bi- 'aḡāībak] بعجايبك , [raīīs] رييس , [dāīma] دايمة

- 3) *u* ' დაყრდნობილი ჰამზა გადადის (ū)-ში.

მაგ.: [rūsā] راسا , [mūmin] مومن

¹⁰⁷ წინამდებარე დისერტაციაში გამოყენებული არაბული ტრანსლიტერაციის სისტემა DIN 31635.

4) ცალკე მდგომი ჰამზა, როგორც სიტყვის შუა პოზიციაში, ასევე სიტყვის ბოლოშიც სრულად ქრება.

მაგ.: [ābā] أبا, [aš-šuhadā] الشهادا, [qirāāt] قراات, [qirātayn] قرائتين

დიალექტისთვის დამახასიათებელი წესის მიუხედავად (ჰამზის ელიმინაცია ან ასიმილირება), ხელნაწერში გვხვდება ჰამზაც:

მაგ.: [ābā] أباء, [šuhadā'] شهاداء, [yawma'idin] يومئيدر

5) (ث) t-ს ანაცვლებს (ت) t, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში:

მაგ.:

[atbatūhu] اتبتوه, [tawwāb] تواب

6) გვხვდება შემთხვევებიც, როდესაც (ت) t-ს ანაცვლებს (ث) t

მაგ.: [kiṭāb] كتاب, [tanṭayn] تنتين, [turattīlu] ترتل

7) (ذ) d ინტერდენტალი გადადის (ذ) d-ში, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში:

მაგ.:

[alladī] الدي, [dālīka] دلك, [kadaba] كذب, [hādihi] هذه

8) თა მარბუტა:

უმეტეს შემთხვევაში თა მარბუტა გადადის (ه) h-ში სიტყვის ბოლოში.

მაგ.: [hāliqa(h)] خالقه, [al-ḡāmi'a ar-rasūliyya(h)] الجامعه الرسوليّه, [amāna(h)] امانه, [al-qiyāma(h)] القيامة

თანხმოვნის წერის თავისებურებები:

Qaf ზოგ შემთხვევაში წარმოდგენილია შემდეგნაირად: ق

მაგ.: [qad ḡa'ala] قد جعل (صفحة 35r)

მორფოლოგია

უცხო ლექსემები ადაპტირებულია და მიესადაგება არაბული ენის შინაგან კანონებს.

მაგ.:

[al-kātismā] الكاتسما - [kātismātāt] كاتسماطات

უარყოფა:

لم (lam) წარმოდგენილია პერფექტივთან.

მაგ.: [lam raḡa'ta] لم رجعت (صفحة 26v)

ბრძანებითი ფორმა:

1. იმპერფექტივის თხრობითი კილოს მეორე პირის გამოყენება, როგორც ბრძანებითი ფორმის:

მაგ.: [taqūlu] تقول - კონტექსტში იგულისხმება წარმოთქვი (صفحة 143v)

2. IV თემის ცარიელი ზმნის ბრძანებითის ფორმა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მაგ.: [dīn yā rabb] دين يا رب - IV თემა أدان - მიუსაჯა (صفحة 143v)

სინტაქსი

1. ტექსტში რამდენიმე ადგილას გვხვდება მდ. სქესის ნაცვალსახელოვანი სუფიქსის შემდეგი ფორმა, რომელიც ერთვის ზმნას:

მაგ.: [mādā nad'ūkī 'ayyatuha al-mun'im 'alaynā] ماذا ندعوكي ايته المنعم علينا

მთარგმნელი, სავარუდოდ, გამოყოფს მდ. სქესის ნაცვალსახელოვან სუფიქსს, რაც დამახასიათებელია დიალექტური ფორმებისთვის, მაგ.: [antī] انتي

2. ზოგ შემთხვევაში ზმნა ليس (Laysa) (მე-3 პირში) გამოიყენება უარყოფის მიზნით ზმნის წინ.

მაგ.:

[yā rabb, laysa qadamayya taḡsilu faqat, bal yadayya wa rāsī] يا رب ليس تغسل قدمي فقط بل يدي (صفحة 140)
(وراسي)

[fa-laysa tataza'za'u] فليس تتزعزع (صفحة 145)

თუმცა გვხვდება მე-2 პირშიც:

მაგ.: [lasta taḡsila lī qadamayya] لست تغسل لي قدمي (صفحة 140)

[lasta taḡsilu qadamayya faqat lakinna yadayya wa rāsī] لست تغسل قدمي فقط لكن يدي وراسي (صفحة 140)

3. სიტყვა ab-ის გამოყენება, როგორც სტატუს კონსტრუქტუსის პირველი წევრისა, ზოგ შემთხვევაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მაგ.: [abīnā al-bār ġirġis al- hūrī] ابينا البار جرجس الخوري (صفحة 70)

4. რიცხვითი სახელის შემთხვევაში, კლასიკური არაბულის მიხედვით, პირველი დეკადის (3-9) რიცხვითი სახელი დგას აღსარიცხი სახელის მხოლოდითი რიცხვის საპირისპირო სქესში. წინამდებარე ხელნაწერში პირველი დეკადის რიცხვითი სახელი ზოგჯერ წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მაგ.: [tis'a sā'āt] تسعة ساعات (6 صفحه)

მეორე დეკადის რიცხვითი სახელის გამოყენებისას კლასიკურ არაბულში აღსარიცხი სახელი სქესში შეეთანხმება ერთეულს. წინამდებარე ხელნაწერში ზოგ შემთხვევაში მეორე დეკადის რიცხვითი სახელი აღსარიცხ სახელთან მიმართებაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მაგ.: [bil-arba'a 'ašara risāla(h)] بالاربعة عشر رساله (صفحة 148)

რიგობითი რიცხვითი სახელის შემთხვევაში, მრგვალი ათეულების გამოყენებისას ზოგჯერ al არტიკლი არ არის წარმოდგენილი:

الراس التاسع واربعون : [ar-rās at-tāsi' warba'ūn] (صفحة 155)

ზოგ შემთხვევაში რაოდენობითმა რიცხვითმა სახელმა ჩაანაცვლა რიგობითი რიცხვითი სახელი:

მაგ.:

ونبتدي بمزمور تسعه وعشرون [wanabtadī bi-mazmūr tis‘a wa-‘iṣrūn] (صفحة 15) الي مزمور مايه وانتين [ilā
(صفحة 10) [mazmūr mi‘a wa-iṭnaīn]

ტექსტში ორობითი რიცხვის ფორმა დაცულია, თუმცა გვხვდება დიალექტური ფორმა:

მაგ.: [wa-li ‘ahūhu tantaīn] ولاخوه تنتين

შეიძლება ითქვას, რომ ტექსტი შესრულებულია სალიტერატურო არაბულზე, თუმცა გვხვდება დიალექტური ფორმები.

დასკვნა

მოცემულ თავში გამოიკვეთა, რომ ბალამანდის ხელნაწერში უხვად არის წარმოდგენილი ბერძნული ტერმინოლოგია, რომელიც ემთხვევა გეორგ გრაფის მიერ ქრისტიანულ არაბულ საეკლესიო ტერმინთა სიას, რომლებიც უძველეს პალესტინურ ტექსტებზეა დაყრდნობილი, რაც იმას ნიშნავს, რომ საეკლესიო ტერმინოლოგია, რომელიც VIII-IX სს. ფართოდ გავრცელებული იყო, XVII საუკუნეშიც იმავე ფორმითაა წარმოდგენილი.

ორი ხელნაწერის ურთიერთმიმართებისას გამოიკვეთა, რომ ორივე ხელნაწერში არის როგორც ამოკლება, ასევე ჩამატებაც. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ XVII საუკუნის ბოლოს გადაწერილ ხელნაწერში გადამწერი შეეცადა უფრო მეტად არაბული ტერმინოლოგია გამოეყენებინა.

ტიპიკონის მთარგმნელი, მელეთიოს ქარმა შეეცადა ტიპიკონი ეთარგმნა სალიტერატურო არაბულზე, რაც ნაწილობრივ მოახერხა, თუმცა თვალსაჩინოა, რომ ხელნაწერში დიალექტური ფორმები ფართოდ არის წარმოდგენილი. ამასთანავე, ჯოშუა ბლაუს მიერ კვლევის შედეგად დადგენილი ქრისტიანული არაბული გრამატიკა, რომელიც ასევე, სამხრეთ პალესტინურ ტექსტებს ეყრდნობა, XVII საუკუნეშიც შემორჩენილია.

ძირითადი დასკვნები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი დასკვნები:

1. პალესტინაში საბას ლავრაში შექმნილ ტიპიკონს მნიშვნელოვანი როლი მიენიჭა ბიზანტიური მონასტრული ტრადიციის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. საბაწმინდურის ამ პრაქტიკამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ათონის, კონსტანტინოპოლის, სლავური და ქართული მონასტრული პრაქტიკების სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. საბაწმინდური ტიპიკონის ყველაზე ადრეული არაბული თარგმანი XIII საუკუნით თარიღდება. არაბული ტიპიკონის თარგმნა არა ცენტრალიზებული, არამედ ინდივიდუალური პროცესი იყო, შეიძლება ითქვას, ცალკეული ბერების ინიციატივა, რამაც გამოწვია სხვადასხვა ვერსიის არსებობა. სწორედ ამ მიზეზის გამო და ერთიანი წესის დასადგენად, დადგა საჭიროება, რომ თარგმნილიყო ტიპიკონი არაბულ ენაზე და გავრცელებულიყო ანტიოქიის საპატრიარქოს ყველა მონასტერში.
2. როგორც დავინახეთ, ანტიოქიის საპატრიარქოში XVII საუკუნეში დაიწყო ქრისტიანული არაბული ლიტერატურის აღმავლობა. აღნიშნულ საუკუნეში მთარგმნელობითი პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობდა. ამ აღმავლობის პროცესის მთავარ ფაქტორად შეიძლება დასახელდეს ევროპელ მისიონერებთან ურთიერთობა და თავად ანტიოქიის საპატრიარქოს ჩართულობა მთარგმნელობით საქმიანობაში. მეღვთისმსახურების ქარმას მთავარი მიზანი იყო ერთიანი წესის დანერგვა ღვთისმსახურებაში და ცოდნის ამაღლება სამღვდელმთავრებს შორის, რის გამოც თარგმნა საბაწმინდური ტიპიკონი არაბულ ენაზე. ასევე, მნიშვნელოვანი მოვლენაა ის, რომ ლიტურგიის ენა სრულად შეიცვალა არაბულით და სასულიერო პირები მშობლიურ ენაზე ასრულებდნენ ღვთისმსახურებას.
3. გარკვეული ნაწილის ბერძნულ ორიგანლთან შედარებამ ცხადჰყო, რომ რედაქციული ცვლილება არ არის ბერძნულსა და არაბულ ტიპიკონებს შორის.
4. ფილოლოგიური კვლევის შედეგად, ხელნაწერში გამოიკვეთა მთარგმნელის სტილი, ტექსტის ავთენტურობა და ენობრივი თავისებურებანი. მასში უხვად

არის წარმოდგენილი ბერძნული საეკლესიო ტერმინოლოგია და დასტურდება გეორგ გრაფისეული საეკლესიო ტერმინთა სია, რომელიც ეყრდნობა ძველ პალესტინურ ტექსტებს. მელეთიოს ქარმას მცდელობა ჰქონდა შეესრულებინა თარგმანი სალიტერატურო არაბულზე. შეიძლება ითქვას, რომ ტექსტი შესრულებულია სალიტერატურო არაბულზე ნაწილობრივ. არაბულ ტიპიკონში წარმოდგენილია დიალექტური ფორმები, რომლებიც ასევე დადასტურებულია ძველ პალესტინურ ტექსტებში.

5. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი საფუძველია მომდევნო კვლევისთვის, კერძოდ, სამომავლოდ იგეგმება ხსენებული ხელნაწერის კრიტიკული გამოცემა.

ბიბლიოგრაფია

ძირითადი წყაროები:

ხელნაწერი №94 (1612), ბალამანდის მონასტერი

ხელნაწერი №46 (1692), ჰამატურას მონასტერი.

ბერძნული ტიპიკონი (XVI ს.), შესწორებული კრეტელი მღვდლის მარკის მარას მიერ და დაბეჭდილია ვენეციაში ანდრია გლიკის მიერ.

სამეცნიერო ლიტერატურა:

Abu-Husayn, A.R. (1985). *Provincial Leaderships in Syria, 1575-1650*. Beirut: American University of Beirut.

Amand de mendieta, e. (1957). Le système cénobitique basilien comparé au système cénobitique pachômien. *Revue de l'histoire des religions*, pp.31-80.

Blau, J. (1966). *A Grammar of Christian Arabic*. Louvain: Corpus scriptorum Christiarum Orientalium.

Blau, J. (1981). The state of Research in the field of the linguistic study of Middle arabic. *Arabica*, 187-203.

Chitty, D. J. (1966). *The desert a city*. New York: St. Vladimir's seminary press.

Chrysostom, S. J. (2019, 4 26). *Chrysostom on the Crucifixion of Christ*. Retrieved from <https://orthochristian.com>

Cragg, K. (1991). *The Arab Christians, A history in the Middle East*. Kentucky.

Encyclopedia of Monasticism v. I. (2000). Chicago : Fitzroy Dearborn Publishers.

Fargues, P. (1998). The Arab Christians of the Middle East: A Demographic Perspective. *The Arab Christians of the Middle East: A Demographic Perspecti “Christian communities in the Arab Middle East, The Challenge of the future”*, 48-66.

Frazer, C. A. (2006). *Catholics and Sultans (The church and the Ottoman Empire 1453-1923*. Cambridge: Cambridge University Press.

- Frazer, C. A. (1982, September). Late Roman and Byzantine Legislation on the Monastic Life from the Fourth to the Eight centuries. *Church History*, v. 51, No. 3, 263-279.
- Galadza, D. (2019). Liturgy at the Great Lavra of St. Sabas from its Beginings to the First Crusade: A Preliminary Survey. *Orientalia Christiana periodica* 85:1, 113-138.
- Graf, G. (1905). *Die christlich-arabische Literatur bis zur fränkischen Zeit. eine literar-historische Skizze*. Freiburg im Breisgau: Herder.
- Graf, G. (1954, January 1). Verzeivhnis Arabischen Kirchlicher Termini. In *Corpus Scriptorum Orientalium*. Peeters.
- Griffith, S.H. (1988). The Monks of Palestine and the Growth of christian literature in arabic. *The Muslim World*, vol.78, 1-28.
- Griffith, S.H. (2008). *The church in the shadow of the mosque*. Oxford. Princeton University Press.
- Griffith, S.H (2012). The Melkites and the muslims: The Qur'ān, Christology, and arab orthodoxy. *Al-Qantara*, pp. 413-443.
- Griffith, S. H. (1985). "The Gospel in Arabic: an Inquiry into its Appearance in the First Abbasid Century". " *Oriens Christianus*", 126-67.
- Hedstrom, D. L. (2017). Telling Stories about the Egyptian Monastic Landscape. *The Monastic Landscape of Late Antique Egypt An Archaeological Reconstruction*, 139-179.
- Heyberger, B. (1994). *Les Chretiens du Proche-Orient au temps de la reforme catholique (Syrie, Liban, Palestine, XVIIe-XVIIIe siècles*. Paris: École française de Rome.
- Hirschfeld, Y. (1992). *The Judean Desert Monasteries in Byzantine Period*. New Haven and London: Yale university press.
- Hombergen, D. (2001). *The Second Origenist Controversy*. Roma: Centro Studi S. Anselmo.
- Inalcik, H. (1954). Ottoman Methods of Conquest. *Studia Islamica*, pp. 103-129.
- Korolevsky, C. C. (2000). *History of the Melkite Patriarchates* (Volume III, Part 1 – Institutions, Liturgy, Hierarchy). Rome: Eastern Christian Publications.

- Leeming, K. (2003). "The Adoption of Arabic as a Liturgical Language by the Palestinian Melkites. *ARAM*, 239-246.
- Louth, A. (2005). St. John Damascene: Tradition and Originality. *Journal of Early Christian Studies*, pp. 396-398.
- Lüstraeten, M. (2021). The source Value of arabic Typikon-Manuscripts as Testimonials for the Byzantinization of the Melkites. *religions*, p. 931.
- Massignon, L. (1997). *Les trois prières d'Abraham*. Paris: Éditions du Cerf.
- Millar, F. (2008). Rome, Constantinople and the near Eastern Church under Justinian: Two Synods of C.E 536. *The Journal of Roman Studies*, pp. 62-82. <https://doi.org/10.3390/rel12110931>
- Nasrallah, J. (1979). *Histoire du Mouvement Littéraire dans l'Église Melchite du Ve au XXe siècle. IV vol.* Louvain: Peeters.
- Nasrallah, J. (1981). *Histoire du Mouvement Littéraire dans l'Église Melchite du Ve au XXe siècle.* Louvain: Peeters.
- New Catholic Encyclopedia v. XI. (1967). Washington, DC: The Catholic University of America.
- Noble, T. F., & Smith, J. M. (2005). *Christianity: Early medieval christianities c. 600-1100*. Cambridge: Cambridge University press.
- Patrich, J. (1995). *Sabas, Leader of Palestinian monasticism, A comparative study in Eastern monasticism, fourth to seventh century*. Washington: Dumbarton Oaks studies.
- Pigulevskaya, N. (1954). «Greko-siro-arabska rukopisà IX veka». *ПАЛЕСТИНСКИЙ СБОРНИК*, 59-90.
- Potter, R. (1959). Spirituality of The Judaeen Desert - II: Mar Saba and St John Damascene. *Life of the Spirit (1946-1964)*, pp. 435-442.
- Raheb, A. (1981). *Conception of the Union in the Orthodox Patriarchate of Antioch (1622-1672)*. Beirut: s.n.

- Ribolov, S. (2013). The Orthodox church in the ottoman Empire and its perspectives for theological dialogue. *Occasional papers on religion in Eastern Europe*, 7-24.
- Rousseau, P. (1985). *Pachomius The making of a community in fourth-century Egypt*. Berkeley: The University of Chicago Press.
- Rycaut, P. (1668). *The Present State of Ottoman Empire*. London.
- Sauget, J. M. (1969). *Premières Recherches sur l'Origine et les Caractéristiques des Synaxaires Melkites: (XIe–XVIIe siècles)*. Brüssel: Société des Bollandistes.
- Schmemmann, A. (n.d.). *A Liturgical Explanation of Holy Week by Father*. Retrieved from <https://domoca.org/>:
https://domoca.org/news_090417_1/#:~:text=And%20as%20He%20dies%20on,destroy%20what%20made%20Death%20the
- Schulthess, S. (2012). Die arabischen Handschriften des Neuen Testaments in der zeitgenössischen Forschung: Ein Überblick. *Early Cristianity* 3, 518-539.
- Scythopolis, C. o. (1991). *The lives of the Monks of Palestine*. Michigan (R.M Price trans.), Cistercian Publications Kalamazoo.
- Taft, R. (1992). *The Byzantine Rite: A Short History*. Collegeville, MN: Liturgical Press.
- The Oxford Dictionary of Byzantium v. 1. (1991). Oxford: Oxford University Press.
- Thomas, J. (2000). *Byzantine Monastic Foundation Documents*. Washington: Dumbarton Oaks Research Library and Collection.
- Thomas, J. (2001). The imprint of Sabaitic monasticism on Byzantine monastic "typika". *The Sabaite heritage in the Orthodox Church from the fifth century to the present*, pp. 73-83.
- Treiger, A. (2012). The Arabic Tradition. *The Orthodox Christian World*, pp. 89-105.
- Tritton, A. S. (1930). *The Caliphs and Their Non-Muslim Subjects*. London: Humphrey Milford Oxford University Press.
- Veilleux, A. (1991). Pachomius, Saint. *The Coptic encyclopedia, volume 6*. Macmillan.

- Violet, B. (1902). *Berichtigter Sonderabzug aus der Orientalistischen Literatur-Zeitung*. Berlin: Akademie-Verlag.
- Vööbus, A. (1960). *History of Asceticism in the Syrian Orient*. Louven: CSCO.
- Walbiner, C. M. (1997-1998). Bishops and Metropolitans of the Antiochian Patriarchate in the 17th century (Their relations to the muslim authorities, their cultural activities and their ethnic background). *ARAM*, 577-587.
- Walbiner, C. M. (1998). The second journey of Macarius ibn az-Za'im to Russia (1666-1668). *Rusiya wa-urthdhuks al-sharq*, 99-114.
- Walbiner, C. M. (1999). Bishoprics and Bishops of the Greek Orthodox Patriarchate of Antioch in the 16th century. *Tārīkh kanīsat Anṭākiya li-l-Rūm al-Urthūdhuks: Ayya Khuṣūṣiyya?*, 121-134.
- Walbiner, C. M. (2004). Monastic Reading and Learning in Eighteenth-Century Bilad Al-Sham: Some Evidence from The Monastery of Al-Shuwayr (Mount Lebanon). *Arabica*, 462-477.
- Walbiner, C. M. (2003). The split of the Greek Orthodox patriarchate of Antioch (1724) and the emergence of a new identity in Bilad al-Sham as reflected by some Melkite historians of the 18th and early 20th centuries. *Chronos* 7, 9-36.
- Григорович-Барский, В. (1747). *Пешеходца Василия Григоровича-Барского-Плаки-Албова, уроженца Киевского, монаха Антиохийского, путешествие к святым местам в Европе, Азии и Африке находящимся, предпринятое в 1723 и оконченное в 1747 году, им самим писанн*, Санкт-петербург : Изданием Импер. Акад. наук.
- Иванов, Н. (1992). Система миллетов в Арабских странах XVI–XVII вв. *Восток*, 29–41.
- Малышевский, И. (1872). *Александрийский патриарх Мелетий Пигас и его участие в делах русской церкви*. Киев: С разрешения Совета Киевской дух. акад.
- Панченко, К. (2012). *Ближневосточное православие под османским владычеством первые три столетия 1516–1831*, Москва: издательство ИНДРИК.

- კოჭლამაზაშვილი, ვ (2022). XVII საუკუნის სირიის სამონასტრო-ლიტერატურული ცხოვრება სირიაში. *აღმოსავლეთმცოდნეობა XI*, გვ. 117-132
- Kotchlamazashvili, V. (2022). XVII saukunis Siriis samonastro-literaturuli tskhovreba Siriashi [Monastic-Literary Life in the 17th Century Syria]. *Aghmosavletmcdneoba XI*, 117-132
- კოჭლამაზაშვილი, ვ (2023). საბას ლავრის ტიპიკონის არაბული თარგმანის შესავალი. *აღმოსავლეთმცოდნეობა XII*, გვ. 290-298.
- Kochlamazashvili, V. (2023). Sabas lavris tipikonis arabuli targmanis shesavali [Introduction to the Arabic Translation of St. Sabas Typicon]. *Aghmosavletmcdneoba XII*, 290-298
- მერჩულე, გ. (951). ნაწარმოებიდან „შრომა და მოღვაწეობა ღირსად-ცხოვრებისა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისა ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებულისა და მის თანა ქსენება მრავალთა მამათა ნეტართა“. Retrieved from <https://www.nplg.gov.ge:https://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/saskolo/document/HASH0101776b499f20f6ef94a411;jsessionid=1A86FB253AEF355D97C800E7A96FD679?ed=1>
- Merchule, G. (951). šromay da moġuac'ebay ġirsad cxorebisay c'midisa da net'arisa mamisa čuenisa grigolisi arkimandrit'isay, xanztisa da šat'berdisa aġmašenebelisay da mis tana qsenebay mravaltamamata net'artay. [The Life and Labour of the Venerable and Blessed Father of Ours Gregory, Archimandrite and Founder of Khandzta and Shatberdi, and the Commemoration of Many Blessed Fathers with Him].
- ტიკაძე, მ. (2012). არაბული ქვეყნები ოსმალთა ბატონობის პერიოდში, XVI-XIX ს. დამდეგი. თბილისი: უნივერსალი.
- Tikadze, M. (2012). Arabuli kveknebi osmalta batonobis periodshi, XVI-XIX s. damdegi [Arab countries in the period of Ottoman domination, XVI-XIX cc. beginning], Tbilisi: “Universal” publishing house.
- ISBN 978-9941-17-554-1

ჭელიძე, ე. (რედ.). (2015). *ბიბლია*. თბილისი: ალილო

Chelidze, E. (Ed.). (2015). *Biblia*. Tbilisi: Alilo

- ادلبي، ا. ن. (1988). *جولة في كنائس حلب القديمة*. حلب: مطبعة الاحسان.
- رستم، أ. (1988). *كنيسة مدينة الله أنطاكية العظمى، الجزء الثالث 1453-1928*. بيروت: منشورات نوري.
- المعلوف، ع. ا. (1911). *أفتيميوس كرم الحموي الثالث بطريرك أنطاكية وسائر المشرق /النعمة*. 7-22 و 99-112.
- بولس، ا. (1912). *سفرة البطريرك مكاروريوس الحلبي*. المسرة. 81-88.
- ديك، ا. ا. (2008). *المسيحية في سورية تاريخ واشعاع" العصر الوسيط من الفتح العربي إلى الفتح العثماني*. حلب.
- كلزي، ا. م. (1913). *حياة البطريرك أفتيميوس كرمه*. المسرة. 81-89.
- ميخائيل بريك الدمشقي. (1930). *تاريخ الشام (1720-1782)*. حاريسا، الناشر: مطبعة القديس بولس.
- نصرالله، ا. ي. (1947). *الاداب الملكية في اللغة العربية*. المسرة. 436-440.

Encyclopedia Britannica, Inc. (2025): <https://www.britannica.com/topic/Russo-Turkish-wars>